ახალი
ივერია

თებერვალი 2026
N.11

ინტერვიუ
ტომ პალმერთან

სტივენ ჯონსი
რობერტ პიერპონტ ბლეიკი და ქართველოლოგიის საწყისები ამერიკის შეერთებულ შტატებში

გივი თარგამაძე
ფიცის მწამს, ბოლო მაკვირვებს

ახალი ივერია

„ახალი ივერია“ -

გამომცემელი:
ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი
რედაქტორი: ქეთი ქურდოვანიძე
დიზაინი და დაკაბადონება: ლაშა გაბელია

ნომერზე მუშაობდნენ:
შამილ შუგაევი
კოკა თოფურია
გიორგი ხარებავა
გიგა ჯოხაძე

© 2026 „ახალი ივერია“
ყველა უფლება დაცულია

ჟურნალი გამოიცემა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისთვის, საქართველოს უნივერსიტეტისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

ტირაჟი 1000 ცალი
www.akhaliiveria.ge

ჭავჭავაძის ცენტრი
ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

Auswärtiges Amt

www.akhaliiveria.ge

„ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან მარცხი არჩევანი არ არის!“

ტომ პალმერი

საჩჩევი

6
ინტერვიუ ტომ პაღმერთან
ინტერვიუ

18
გიგა ჯოხაძე
დასუსტებული რუსეთი და განიავებული ისტორიული შანსი
პოლიტიკა

24
სტივენ ჯონსი
რობერტ პიერპონტ ბლეიკი და ქართველოლოგიის საწყისები ამერიკის შეერთებულ შტატებში
ქართველოლოგია

31
გივი თარგამაძე
ფიცის მწამს, ბოლო მაკვირვებს
კამიტის საქმე

35
თენგო გოგოტიშვილი
ღრონების გაღაფრენის სეზონი
რუსეთი

43
ქეთი ქურდოვანიძე
პეტრეს ღილეგა
საზოგადოება



46
ლევან თარხნიშვილი
დამოუკიდებლობის 35 წელი
მეხსიერება და იდენტობა

52
ნანა ტრაპაიძე
იდენტობის რიტუალური ტოპოსი და მისი ტრანსფორმაცია
კულტურა და იდენტობა



68
იოანე ტეტიაშვილი
მორჩილების ფსიქოლოგია
Quo Vadis?



60
ნანა კალანდაძე
თბილისი ჩემებურად...
ცოცხალი ისტორია

68
გიგი გიგინეიშვილი
გაგრა 1992 - რუსული განაჩენი, პირველი მოქმედება
აფხაზეთი

78
ირაკლი ლაითაძე
დისტოპიური რეალობა
საზოგადოება

ინტერვიუ ტომ პალმერთან

ჟურნალ „ახალი ივერიის“ მთავარმა რედაქტორმა, ზაზა ბიბილაშვილმა, ინტერვიუ ჩაწერა ტომ გორდონ პალმერთან — სოციალურ მეცნიერებათა თეორიტიკოსთან, პოლიტოლოგთან (ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორი) და ლიბერალური პრინციპებისათვის მებრძოლ ვეტერან აქტივისტთან. 1980-იან წლებში ტომ პალმერს კომუნისტურ ქვეყნებში მალულად შეჰქონდა აკრძალული ლიტერატურა, საბეჭდი აპარატები, სხვა ტექნიკური საშუალებები და წლების განმავლობაში თანამშრომლობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კლასიკური ლიბერალიზმის ანალიტიკურ ცენტრებთან. ტომ პალმერი აფილირებულია არაერთ ორგანიზაციასთან, მათ შორის მადრიდის თავისუფლების განვითარების ფონდთან (Fundación para el Avance de la Libertad), კატონის ინსტიტუტთან (Cato Institute), Atlas Network-თან და IES Europe-თან. ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებები ავტორის პირად პოზიციას ასახავს.

ზ.ბ.: მადლობას გიხდით, რომ თქვენს დატვირთულ განრიგში გამონახეთ დრო „ახალი ივერიისთვის“ ამ ექსკლუზიური ინტერვიუს მოსაცემად. მოდით, დავიწყოთ ზოგადი კონტექსტით: ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენ გავხდით ავტორიტარიზმის აღზევებისა და ლიბერალური დემოკრატიის გლობალური კრიზისის მოწმენი. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია მოვლენების ასეთი განვითარება და რა უნდა გაკეთდეს ამ ტენდენციის შესაბრუნებლად?

ტ.პ: პროგნოზების უმეტესობა ფოკუსირებულია დემოგრაფიაზე, ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ეკონომიკურ სტრუქტურებზე, რაც ამ ტენდენციებს გარდაუვალობის გარკვეულ ელფერს სძენს. ვფიქრობ, მსგავსი ხელშემწყობი ფაქტორები მართლაც არსებობს, განსაკუთრებით მედიის ფრაგმენტაცია ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამო, თუმცა ავტორიტარიზმის აღზევება არ იყო ტექნოლოგიის ან დემოგრაფიის რაიმე ავტონომიური „ძალების“ გარდაუვალი შედეგი.

ვფიქრობ, ყურადღება უნდა მივაქციოთ რუსეთში ავტორიტარიზმის მიზანმიმართულ მრავალმხრივ იდეოლოგიურ კულტივირებას. პუტინმა ძალაუფლება სწორედ მაშინ განიმტკიცა, როდესაც გააცნობიერა, რომ ნავთობიდან მიღებული შემოსავლების პირობებში მას აღარ სჭირდებოდა კანონის უზენაესობა იმისთვის, რომ საზოგადოებაში შეექმნა ისეთი ეკონომიკური ნამატი, რომლის ექსპროპრიაციასაც თავად შეძლებდა. მისი მმართველობის დასაწყისში ნავთობის ფასების ზრდამ — განსაკუთრებით

კი 2004–2008 წლებში დაფიქსირებულმა მკვეთრმა მატებამ — რუსეთის პრეზიდენტს მისცა თავისუფლება, ყოფილიყო ისეთი ტირანი, როგორიც სურდა. ნავთობსა და გაზზე სახელმწიფო კონტროლის, ფაქტობრივად კი საკუთარი კონტროლის, აღდგენა მან დრამატულად 2003 წლის ბოლოს მიხეილ ხოდორკოვსკის დაპატიმრებით დაიწყო.

ძალაუფლებისთვის ხელსაყრელი იდეოლოგიაც, ასე ვთქვათ, უკვე თაროზე იდო. ამ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს უცნაური ნეონაცისტი იდეოლოგი ალექსანდრ დუგინი, რომელმაც 1997 წელს გამოაქვეყნა წიგნი, სახელწოდებით „გეოპოლიტიკის საფუძვლები“. ეს ნაშრომი ფართოდ გავრცელდა პუტინის გარემოცვის წამყვან რუს სამხედრო და პოლიტიკურ ელიტაში. უდავოა, რომ დუგინი ექსცენტრიკული და წინააღმდეგობრივი ფიგურაა, თუმცა ჭკვიანი. მისმა წიგნებმა და საქმიანობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამედროვე რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაზე. მან ღიად სცადა ფაშისტური იდეოლოგიის რეაბილიტაცია და გამოაცხადა გლობალური „ჯიჰადი“ შეერთებული შტატების, როგორც



ლიბერალური სახელმწიფოს, და ზოგადად ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1997 წელს დუგინი მოუწოდებდა რუსეთის სახელმწიფოს, რომ „ამერიკის შიდა საქმიანობაში გეოპოლიტიკური ქაოსი შეეტანა, წაეხალისებინა ყველანაირი სეპარატიზმი, ეთნიკური, სოციალური თუ რასობრივი კონფლიქტი, აქტიური მხარდაჭერა გამოეცხადებინა ყველა დისიდენტური მოძრაობისთვის — ექსტრემისტული, რასისტული და სექტარიანული ჯგუფების ჩათვლით — და ამგვარად მოეხდინა აშშ-ის შიდა პოლიტიკური პროცესების დესტაბილიზაცია“. მოგვიანებით ეს სტრატეგია განხორციელდა ისეთი სტრუქტურების მეშვეობით, როგორიცაა სანქტ-პეტერბურგში ბაზირებული „ინტერნეტ-კვლევების სააგენტო“ (IRA). ეს უკანასკნელი ევგენი პრიგოჟინმა ჩამოაყალიბა: მან შექმნა IRA საინფორმაციო ომისათვის, ხოლო „ვაგნერის ჯგუფი“ — ლიბერალური საზოგადოებებისა და მოძრაობების წინააღმდეგ სასტიკი კინეტიკური (ძალისმიერი) ომის საწარმოებლად.

დუგინი და სხვები როგორც ულტრამემარჯვენე, ისე ულტრამემარცხენე ფლანგზე, დაკავებულნი იყვნენ კარლ შმიტისა და სხვა ნაცისტი თუ ნაციზმის ხელშემწყობი მოაზროვნეების იდეების აღორძინებით. (იგულისხმება ე.წ. „კონსერვატიული რევოლუცია“, რომელიც გერმანიაში 1920-იანი წლებიდან 1940-იან წლებამდე მიმდინარეობდა). შმიტის სისტემური თავდასხმები ლიბერალიზმზე ზოგადად და, კერძოდ, დელიბერაციულ (სათათბირო) დემოკრატიაზე, საბაზრო ეკონომიკასა და კანონის უზენაესობაზე — ანუ წესებზე დაფუძნებულ სამართალზე — ახლა რენესანსს განიცდის. მისი გეოპოლიტიკური თეორია, ანუ „Großraumordnung“ (დიდი სივრცის წესრიგი), პუტინის სტრატეგიის ფუნდამენტია. ის დუგინის გეოპოლიტიკის შესახებ დაწერილი წიგნის საკვანძო ელემენტი იყო.

რუსული რეჟიმისთვის გარდამტეხ მომენტად იქცა 2011 წელი, როდესაც რეჟიმის ძალაუფლების შერყევის მცდელობა გაჩნდა

და რუსულმა ოპოზიციამ სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით მასობრივი საპროტესტო აქციები გამართა. პუტინმა ლიბერალიზმი საკუთარ ხელისუფლებაზე პერსონალურ საფრთხედ აღიქვა და ენთუზიაზმით მიიღო დუგინისა და სხვა ექსტრემისტი მოაზროვნეების რეკომენდაცია — დაეწყო გლობალური ომი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

შესაბამისად, რუსეთი ილიბერალიზმის (ანტილიბერალიზმის) ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფო სპონსორად ჩამოყალიბდა. პუტინმა და მისმა თანამოაზრეებმა, მათ შორის კონსტანტინ მალოფეევმა და ვლადიმერ იაკუნინმა, უზარმაზარი ფინანსური და სხვა სახის რესურსები მიმართეს ულტრამემარჯვენე ძალების მხარდასაჭერად და მათი გლობალური ანტილიბერალური კამპანიების გასაძლიერებლად.

არ მჯერა, რომ ისტორია შეიძლება განისაზღვროს საწყისი პირობების საფუძველზე. არსებობს შემთხვევითობის ფაქტორიც. უგედეი ყაენი 1241 წლის 11 დეკემბერს რომ არ გარდაცვლილიყო, მისი არმიები, თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ევროპის სიღრმეში შეიჭრებოდნენ და იქ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სოციალურ და პოლიტიკურ წესრიგს გაანადგურებდნენ. საინტერესოა, რომ როდესაც სხვა ყაენები ყარაყორუმში ახალი ყაენის ასარჩევად დაბრუნდნენ, ბათუ ყაენი ცენტრალური ევროპიდან კი გამოვიდა, მაგრამ ყარაყორუმში არ დაბრუნებულა; ნაცვლად ამისა, მან დააარსა ის, რაც მოგვიანებით „ოქროს ურდოს“ სახელით გახდა ცნობილი. სწორედ აქედან იღებს სათავეს მოსკოვის/მუსკოვიის ძალაუფლება, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც აბსოლუტურად ავტოკრატიული და მტაცებლური სახელმწიფო და შემდგომ მიითვისა კიევის რუსეთის მემკვიდრეობა, რომელიც მოსკოვის სამეფოს ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. ამგვარად, ცენტრალური და დასავლეთ ევროპა განადგურებას გადარჩა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპამ საკუთარ თავზე იწვნია ოქროს ურდოსა და მისი სასტიკი გადასახადების მთავარი ამკრეფების — მოსკოვის მთავრების — რისხვა მხოლოდ იმის გამო, რომ შხამის ერთმა ყლუპმა, ან შესაძლოა ჭარბმა ალკოჰოლმა, ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს არის შესავალი იმისთვის, რომ შემთხვევითობის კიდევ ერთ მაგალითად დონალდ ტრამპის უცნაური აღზევება მოვიყვანოთ. 2015 წელს იგი რესპუბლიკური პარტიის ნომინაციისთვის მებრძოლ 17 კანდიდატს შორის ერთ-ერთი იყო. მაშინ კანდიდატებს შორის იყვნენ რესპუბლიკელი სენატორები, წარმომადგენელთა პალატის წევრები და გუბერნატორები — სულ 15 რეპუტაციული პირი, ასევე ერთი ექსცენტრიული ნეიროქირურგი და ერთიც მედიაზე ორიენტირებული რეალითი-შოუს ვარსკვლავი, რომელსაც პროვოკაციებით, ტროლინგითა და გამიზნული აღვირახსნილობით მედიის თითქმის 100%-იანი ყურადღების მიქცევის გასაოცარი უნარი აღმოაჩნდა. ტრამპმა 2016 წელს გაიმარჯვა — რუსეთის არცთუ მცირე დახმარებით — და შემდეგ, ისეთი იდეოლოგის მხარდაჭერით, როგორიცაა სტივ ბენონი (კიდევ ერთი ფაშისტი თეორიტიკოსის, იულიუს ევოლას, დიდი თაყვანისმცემელი), მოახერხა ორი უმსხვილესი

პარტიიდან ერთ-ერთზე თითქმის 100%-იანი კონტროლის დამყარება. არცერთი ეს მოვლენა არ ყოფილა გარდაუვალი, თუმცა თითოეული მათგანი უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი აღმოჩნდა.

ზ.ბ.: ტრამპის ადმინისტრაციამ გამოაცხადა ის, რაც, ფაქტობრივად, ეროვნული უსაფრთხოების ახალ დოქტრინას უტოლდება. მას აშკარად განსხვავებული საერთაშორისო დღის წესრიგი აქვს, რომელშიც დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ევროპელი მოკავშირეების მხარდაჭერა პრიორიტეტს აღარ წარმოადგენს. რა შეიძლება იყოს ამ მიდგომის პოტენციური შედეგები საქართველოსთვის, უკრაინისა და სხვა იმ წინა ხაზზე მყოფი ქვეყნებისათვის, რომლებიც აღორძინებულ რუსეთს უპირისპირდებიან?

ტ.პ.: როგორც ჩანს, ტრამპის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის რეალურ საფრთხეს, რაშიც ისინი დონალდ ტრამპის მიერ ძალაუფლების შენარჩუნებას გულისხმობენ, არა ჩინეთისა და რუსეთის დიქტატურები, არამედ ევროპის დემოკრატიები წარმოადგენენ. აშშ ამჟამად აუქმებს სავიზო და ფინანსურ შეზღუდვებს რუსი კრიმინალებისთვის და მათ ევროპელ პოლიტიკურ ფიგურებს უწესებს. ტრამპის ადმინისტრაციის წამყვანი ფიგურები სულ უფრო აშკარად უჭერენ მხარს პუტინის გლობალურ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ ტრადიციული ამერიკული ღირებულებებისა და პრინციპების წინააღმდეგ. რუსეთმა წლების განმავლობაში მიზანმიმართულად გააძლიერა საკუთარი კავშირები შეერთებულ შტატებში და დღეს თეთრ სახლში ისეთი ღირებული აქტივებითაა წარმოდგენილი, როგორიცაა ტულსი გაბარდი.

საკმაოდ დარწმუნებული ვარ, რომ სადაზვერვო გაერთიანება „ხუთი თვალის“ (Five Eyes) სხვა წევრებს — დიდ ბრიტანეთს, კანადას, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას — ისევე როგორც სხვა მეგობარ დემოკრატიულ ქვეყნებს, სულ უფრო ნაკლები სურვილი აქვთ შეერთებულ შტატებს გაუზიარონ თავიანთი მეთოდები და სადაზვერვო მიგნებები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც თავად ტრამპმა დაუფიქრებლად გაუმხილა სენსიტიური ინფორმაცია რუსეთის ელჩსა და საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ნაბიჯებზე, რომლებიც ნებისმიერ გონიერ ადამიანს სერიოზულად შეაშფოთებდა. ტრამპისტებმა ბევრი გააკეთეს ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული მოკავშირეების გაუცხოებისთვის.

ვფიქრობ, სრულიად ნათელია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის გარკვეული ნაწილისთვის გაზიარებული ინფორმაცია, დიდი ალბათობით, ძალიან მალე კრემლს ეცოდინება. ამან გამოიწვია ის, რომ მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს შორის სადაზვერვო მონაცემების გაცვლა საგრძნობლად შემცირდა.

ზ.ბ.: თითქმის ოთხი წელია, უკრაინა იბრძვის არა მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის, არამედ მთელი თავისუფალი სამყაროსა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის დასაცავად. პირადად თქვენ ბევრი გააკეთეთ ამ ბრძოლაში უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად. როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილებები, როდესაც 2022 წელს, ომის ადრეულ ეტაპზე, ადგილზე ჩახვედით? რომელმა პოლიტიკამ და მიდგომებმა მისცა უკრაინას შესაძლებლობა, გაეძლო და გაეგრძელებინა ბრძოლა რაოდენობრივად აღმატებული მტრის წინააღმდეგ?

ტ.პ.: უცნაური დრო იყო. ბევრი დრო დავუთმე უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანასა და პოლონეთში ლტოლვილების — დედების, ბავშვების, კატების, ასევე, ნაკლებად მობილური მოხუცების — გამოყვანას; გარდა ამისა, მოგვყავდა დახმარების ჯგუფის წევრები, რომელთაც სასწრაფო დახმარების მანქანებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ჩამოყვანის შემდეგ უკან დაბრუნება სჭირდებოდათ. დრო სხვანაირად გადიოდა. არაერთი ღამე მანქანაში, ყინვაში გავათენე, ზოგჯერ კი დღე-ღამეში 16 საათის განმავლობაში მიწევდა საჭესთან ჯდომა. ვყიდულობდი მანქანებს ჩემთვის, უკრაინელებისთვის და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მოხალისეებისთვის და ვტვირ-





თავდი მათ სამედიცინო საშუალებებით ჭრილობების სამკურნალოდ, სამხედრო ზურგჩანთებით, ჩექმებით, წინდებით (ჯარისკაცები დაადასტურებენ, რომ სუფთა წინდები ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც სანგრებში ხარ), ჯავშანჟილეტებით, ჩაფხუტებით, მედიკამენტებით, სახვევებითა და სხვა მრავალი საჭირო ნივთით. ასევე ვმუშაობდი კოლეგებთან ერთად სხვადასხვა საჭირო ნივთის შესაძენად რამდენიმე მილიონი დოლარის მობილიზებაზე. პრაღისკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩემი მეზობელი აღმოჩნდა ჩეხური წარმოშობის, პენსიაზე გასული კანადელი მეხანძრე. საუბრის შემდეგ მან შემომთავაზა დახმარება ინდური ფარმაცევტული მწარმოებლებისგან მაღალი ხარისხის მედიკამენტების — მათ შორის ქირურგიული ანესთეზიის, კრუნჩხვის საწინააღმდეგო პრეპარატების, ანტიბიოტიკებისა და სხვა საშუალებების — შესყიდვაზე მოლაპარაკებებში. ეს ტვირთი რუმინეთში ჩადიოდა, ხოლო იქიდან რუმინელ მოხალისეებს უკრაინაში შეჰქონდათ.

პირადი ინიციატივით, ასევე დავეხმარე სამხედრო ინოვაციებისთვის თანხების მოძიებას და გავიცანი ადამიანები უკრაინული ტექნოლოგიური ინოვაციების სექტორიდან. ისინი მართლაც საოცარი ხალხია.

ერთ-ერთი რამ, რაც ვისწავლე, შესაძლოა, ცოტა ბანალურად ჟღერდეს, თუმცა ჩემთვის ეს გარდამტეხი მომენტი იყო. ძალიან ადრეულ ეტაპზე, როდესაც ტვირთით სავსე მანქანას ვმართავდი, ჩავუარე ავტოსამრეცხაოს, სადაც კაცი თავის მანქანას რეცხავდა. ეს ძალიან უცნაურად მომეჩვენა. რატომ უნდა რეცხავდე მანქანას მაშინ, როდესაც შენს ქვეყანაში მტერი შემოიჭრა? მაგრამ მალევე მივხვდი პასუხს: იმიტომ, რომ მისი მანქანა დასვრილი იყო. ასეთ საშინელ პირობებშიც კი, ცხოვრება მაინც გრძელდება. პრეზიდენტმა ზელენსკიმ ამ პრინციპს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, როდესაც უკრაინელებს მოუწოდა ევლოთ სამსახურში — ბანკებში, ფერმებში, ქარხნებში, ტელეფონების მაღაზიებში, რესტორნებში, ტანსაცმლის მაღაზიებსა და ნორმალური საბაზრო ეკონომიკის ყველა სხვა საწარმოსა და სფეროში. უკრაინელებმა უნდა იცხოვრონ და შექმნან დოვლათი, რათა საკუთარი თავის დაცვა შეძლონ.

რაც შეეხება უკრაინული გამოცდილების იმ ელემენტებს, რომლებმაც მათ გადარჩენისა და სიმტკიცის შენარჩუნების საშუალება მისცა, მე სიის სათავეში აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას დავასახელებდი. როდესაც პუტინის დიქტატურა 2014 წელს პირველად შეიჭრა უკრაინაში, ქვეყნის დასაცავად სამხედრო ძალა, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ის სრულიად გაპარტახებული და განადგურებული იყო პუტინის მიერ უკრაინის სათავეში მოყვანილი კაცის, ვიქტორ იანუკოვიჩის მიერ, რომელმაც სახელმწიფო გაძარცვა და პრაქტიკულად დაუცველი დატოვა. ბაზებზე ტანკების უმეტესობას არ ჰქონდა ძირითადი კომპონენტები, რომლებიც საჭიროა ფუნქციონირებისთვის, როგორებიცაა აკუმულატორები და ძრავები, რადგან ისინი რეჟიმის წარმომადგენლებმა გაძარცვეს და გაყიდეს. ქვეყანა ფაქტობრივად გაკოტრებული იყო, სამხედროებს უკიდურესად შეზღუდული აღჭურვილობა ჰქონდათ და თავდაპირველად ქვეყნის დაცვა მოუმზადებელ და ცუდად აღჭურვილ არმიას დაეკისრა. ისინი, ვინც ქვეყნის დასაცავად პირველებმა გაილაშქრეს, მოხალისეები იყვნენ — არა მხოლოდ მოხალისე მებრძოლები, არამედ მოხალისე მხარდამჭერებიც. ისინი არემონტებდნენ ტექნიკას, ამზადებდნენ საკვებს ჯარისკაცებისთვის, აღადგენდნენ და აწვდიდნენ აღჭურვილობას, აგროვებდნენ თანხებს, კერავდნენ ფორმებს და კიდევ უამრავ აუცილებელ საქმეს ასრულებდნენ. ეს ადამიანები იყვნენ ტაქსის მძღოლები და ინჟინრები, მუსიკოსები და ბარისტები, მასწავლებლები და ფერმერები, ავტობუსის მძღოლები და პენსიონერები. შედეგად, უკრაინის სამხედრო ძალები, სავარაუდოდ, მსოფლიოში ყველაზე დეცენტრალიზებულ და ჰორიზონტალურად ორგანიზებულ თავდაცვის ძალად ჩამოყალიბდა. ეს ნათლად გამოჩნდა 2022 წელსაც, როდესაც ირპენის მოქალაქეებმა შეაჩერეს რუსების წინსვლა, ააფეთქეს ხიდი, მოახდინეს მო-

სახლეობის ევაკუაცია და რეგულარულ არმიას კონტრშეტევისთვის საჭირო დრო მისცეს. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ ჩემს მეგობართან, პარლამენტის წევრ მარიანა ზაბლოტსკისთან ერთად, ირპენის დამცველებისთვის გადამეცა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მაიამის ქალაქმა კრიმინალებს ჩამოართვა და უკრაინის მამაც დამცველებს შესწირა.

დღეს ფრონტის ხაზზე მყოფი ჯარისკაცები აღჭურვილობას მხოლოდ ზემდგომი გენერლებისგან კი არ იღებენ, არამედ თავად უკვეთავენ იმას, რაც ზუსტად იციან, რომ სჭირდებათ და რაც მათ კონკრეტულ პოზიციებზე ეფექტურად მუშაობს. ეს პროცესი საოცარი მასშტაბით მიმდინარეობს და ხშირად იმ თანხებით ფინანსდება, რომლებიც მხარდამჭერებისგან დონაციების სახით გროვდება.

ამ მიდგომის წარმატების აღიარების შედეგად — მიდგომისა, რომელიც თავდაპირველად აუცილებლობამ წარმოშვა — თავდაცვის სამინისტრო უკვე ადგილობრივ დანაყოფებს გამოუყოფს სახსრებს, რათა მათ უშუალოდ განათავსონ შეკვეთები მწარმოებლებსა და მომწოდებლებთან, ბიუროკრატიის უსასრულო ლაბირინთების გავლის გარეშე. დეცენტრალიზებული, პოლიცენტრული და პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ქვეყნის საერთო თავდაცვაში, შესაძლოა, უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე იყოს.

ზ.ბ.: სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ უკრაინა თავის დაცვას დასავლეთის მასშტაბური ფინანსური და სამხედრო დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა. აშშ-ის მხარდაჭერა მკვეთრად შემცირდა და კვლავ იქმნება შთაბეჭდილება, რომ აშშ უკრაინაზე ზეწოლას ახორციელებს, რათა მან კაპიტულაცია გამოაცხადოს. კითხვა, რომელიც ყველას აწუხებს, არის შემდეგი: შეუძლია თუ არა ევროპას შეავსოს ის დეფიციტი, რომელიც აშშ-ის დე ფაქტო გასვლამ გამოიწვია, და აქვს თუ არა ევროპას ამისათვის საკმარისი პოლიტიკური ნება?

ტ.პ.: ეჭვგარეშეა, რომ მას შემდეგ, რაც უკრაინამ 1996 წელს დათმო თავისი რაკეტები — როგორც ბირთვული, ისე არაბირთვული — 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმით გათვალისწინებული უსაფრთხოებისა და თავდაუსხმელობის გარანტიების სანაცვლოდ (რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, არაფრის მაქნისი დაპირებები იყო), სხვა ქვეყნებიდან იარაღის მიღებას მათი თავდაცვისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მნიშვნელოვან შეიარაღებას შორის იყო ტანკსაწინააღმდეგო „ჯაველინები“ აშშ-დან და NLAW-ები დიდი ბრიტანეთიდან; MANPADS-ები — პორტატული მიწა-ჰაერის კლასის რაკეტები — აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, შვედეთიდან და ნიდერლანდებიდან; საარტილერიო შეიარაღება დანიიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან, ესტონეთიდან და საბერძნეთიდან; საარტილერიო ჭურვები ვარშავის პაქტის ყოფილი ქვეყნების მარაგებიდან, საჰაერო თავდაცვა, მსუბუქი იარაღი, მობილური საავადმყოფოები და მრავალი სხვა. აშშ-ის მხარდაჭერა, უდავოდ, მნიშვნელოვანი იყო, თუმცა მისი მასშტაბები ხშირად გადაჭარბებულად არის წარმოჩენილი რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ ყოვლისა, დოლარებში აღრიცხვისას ხშირად იყენებდნენ „ჩანაცვლების ღირებულებას“, რაც რეალურ ჯამს მილიარდობით დოლარით ზრდიდა. ბევრი ნივთი საკმაოდ ძველი იყო, მათი საბალანსო ღირებულება ნულს უტოლდებოდა ან მათი ექსპლუატაციიდან ამოღება უკვე დაგეგმილი იყო, რაც დამატებით ხარჯებს წარმოადგენდა. მეორეც, რუსეთის მხრიდან „ხმლის ჟღარუნის“ (ბირთვული შანტაჟის) შიშით დაწესებულმა შეზღუდვებმა შეამცირა ამ იარაღის ეფექტურობა. ჩემი აზრით, აშშ ზედმეტად გაუბედავი აღმოჩნდა. ცხადია, ყოველივე ეს არ ნიშნავს აშშ-ის კონტრიბუციის დაკნინებას, თუმცა სამთავრობო განცხადებებში ეს წვლილი მეტისმეტად გაზვიადებული იყო.

აშშ-ის მთავრობა ამჟამად უკვე პრაქტიკულად აღარაფერს აწვდის უკრაინას. ევროპული მხარდაჭერა კი გაიზარდა და ჩვენ ვნახეთ რიგი ევროპული ქვეყნებისა, რომლებმაც ძალიან მნიშვნელოვანი, შედე-



გზე ორიენტირებული ვალდებულებები აიღეს. ევროპა ძალებს იკრებს, თუმცა მას კიდევ უფრო მეტი მოეთხოვება და — რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია — მათ ეს უნდა გააკეთონ უკრაინასთან ერთად და არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ საკუთარი გადარჩენისთვისაც. თავდაცვის მომავალი არა ოქროთი მოჭედილი საბრძოლო ხომალდები ან უაღრესად ძვირად ღირებული, მაღალტექნოლოგიური იარაღია, რომლის შემუშავებასა და წარმოებას წლები სჭირდება, არამედ სწრაფი ინოვაციები და გაცილებით იაფი, „ჭკვიანი“ იარაღის სწრაფი წარმოებაა.

უკრაინელები ამ სფეროში პიონერები არიან. ევროპელებმა გულისყურით უნდა მოუსმინონ უკრაინელებს და მათთან თანამშრომლობით მათგან ბევრი რამ ისწავლონ. უკრაინაში შექმნილი და გამოცდილი თავდაცვითი სისტემები შესაძლებელია და უნდა იწარმოებოდეს კიდეც ევროპის სხვა ქვეყნებში. შესაძლოა, სალიცენზიო შეთანხმების ნაწილი იყოს პროდუქციის გარკვეული წილის უკრაინისთვის გადაცემა. დრონები ყველაზე ცნობილი მაგალითია იმ ტექნოლოგიისა, რომელშიც უკრაინელები ყველაზე მეტად არიან დაწინაურებულნი, თუმცა ეს ერთადერთი მაგალითი არ არის. თუ ევროპელები უახლოეს მომავალში არ გააქტიურდებიან და არ დაიწყებენ თავიანთი ქმედებების კოორდინაციას უკრაინასთან და მისი მხარდაჭერის გაძლიერებას, მაშინ მალე — შესაძლოა, 2030 წლამდეც კი — ისინი აღმოჩნდებიან შედარებით იაფი დრონების უზარმაზარი გუნდის თავდასხმის სამიზნე. ასეთმა შეტევებმა შეიძლება მწყობრიდან გამოიყვანოს საკვანძო ინფრასტრუქტურა, მოახდინოს სამხედრო პოტენციალის პარალიზება, მიზანში ამოიღოს მედია და პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მასშტაბური ზიანი მიაყენოს მოსახლეობას — მას შემდეგ, რაც, რა თქმა უნდა, კიბერშეტევები წინასწარ მწყობრიდან გამოიყვანს ელექტრო ქსელებს, კაშხლებს, ტელეკომუნიკაციებს, საავადმყოფოების მართვის სისტემებს და სხვა კრიტიკულ ობიექტებს.

იმედი მაქვს, რომ ევროპის დაცვა — რაც მხოლოდ უკრაინის დაცვასთან მჭიდრო კოორდინაციით არის შესაძლებელი — დროულად და ადეკვატურად განხორციელდება.

საკუთარი თავის დაცვის ნება — და ამის გაკეთება ყველაზე ეფექტური გზით, რაც სწორედ უკრაინის დახმარებაა — სულ უფრო იზრდება. რა თქმა უნდა, რუსული პროპაგანდისტული აპარატი დაკავებულია ჩვეული დეზინფორმაციის გავრცელებით და ამტკიცებს, რომ თავდაცვისკენ გადადგმული ნაბიჯები „ომის გაჩაღებაა“. მათ ჰყავთ თავიანთი „ჯიბის“ პოლიტიკოსებიც — ხშირად მოსყიდულები, ზოგჯერ დაშანტაჟებულები, ხშირად კი ანტიდემოკრატიული, დიქტატორული იდეოლოგიების მიმდევრები. ეჭვგარეშეა, რომ ისინი წარმოადგენენ აგრესიული უცხო სახელმწიფოს ფასდაუდებელ აქტივებს, რომელიც ევროპის თავისუფალი ქვეყნების დამორჩილებას ცდილობს. ჰიბრიდული ომი მოიცავს ნორმალური პოლიტიკური პროცესების სისტემურ ძირგამომთხრელ საქმიანობას, საზოგადოებების დათრგუნვას იმით, რასაც RAND-ის კორპორაცია „სიცრუის ნაკადს“ უწოდებს, და პარლამენტის წევრების მოსყიდვას. ეს ყველაფერი წარმოადგენს კომბინირებულ სტრატეგიას, რომელიც ასევე გულისხმობს წყალქვეშა კაბელების გადაჭრას, საზღვაო პორტებსა და აეროპორტებში სათვალთვალო დრონების გამოყენებას, მატარებლებისა და იარაღის საწყობების აფეთქებას და სხვა მრავალ ქმედებას. საბოლოოდ, ეს პროცესი სრულდება ძალისმიერი, კინეტიკური დარტყმებით — იმით, რასაც ჩვენ კონვენციურ ომს ვუწოდებთ.

ჰერმან რაუშნინგი, ნაცისტური წრის წევრი, რომელიც 1934 წელს მათ დაუპირისპირდა, ციტირებდა ჰიტლერის სიტყვებს, რაც რუსეთის დღევანდელი პოლიტიკის ზუსტი აღწერაა: „მომავალ ომში არტილერიის მომზადება შეტევის წინ, როგორც ეს მსოფლიო ომის [პირველი მსოფლიო ომის] დროს ხდებოდა, ჩანაცვლდება მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური დეზორიენტაციით რევოლუციური პროპაგანდის მეშვეობით“. ეს

ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია დღეს პუტინისა და მისი მსახურების მიერ არის ამოქმედებული.

ზ.ბ.: რა მომავალი ელის ლიბერალურ დემოკრატიასა და წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს, თუ რუსეთი უკრაინაში გაიმარჯვებს?

ტ.ჰ: ასეთი შედეგი კატასტროფა იქნება მთელი მსოფლიოსთვის და არა მხოლოდ უკრაინელებისთვის, რომლებიც პირველები იწვნევენ ფილტრაციის ბანაკების, სისტემატური წამების, გაუპატიურების, სიკვდილით დასჯისა და ბავშვების გატაცების უმძიმეს შედეგებს. ამას მოჰყვება მათი იძულებითი გაწვევა გაცილებით დიდ არმიაში, რომელიც „საზარბაზნე ხორცად“ იქნება გაგზავნილი ევროპის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაშინ როცა სადამსჯელო დანაყოფები სასტიკად გაუსწორდებიან ყველას, ვინც ბრძანებებს არ დაემორჩილება. ეს ადამიანებისთვის ენით აღუწერელი ტანჯვა იქნება და ისტორიულად ძალიან დაემსგავსება პოლონეთისა და უკრაინის ნაცისტური ოკუპაციის გამოცდილებას. ეს იქნება ნამდვილი ჰუმანიტარული და ცივილიზაციური კატასტროფა.

დანარჩენი მსოფლიოსთვის ეს გამოიწვევს დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების მოშლას, რის შემდეგაც მათ ერთმანეთის მიყოლებით გაანადგურებენ. თუ „ტრამპისტები“ შეძლებენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე სრული კონტროლის დამყარებას და შექმნიან დიქტატურას, რომლისკენაც ისწრაფვიან მათი ყველაზე რადიკალური მხარდამჭერები, მსოფლიო გაიყოფა, ტრამპის ხედვის შესაბამისად, მის გავლენის ზონად და სი ძინპინისა და პუტინის გავლენის ზონებად. ევროპა გახდება მუდმივი ჰიბრიდული ომის ობიექტი, მისი თავდაცვისუნარიანობა დაქვეითდება და დაიწყება მიზანმიმართული მცდელობები ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემების დიქტატურებით ჩასანაცვლებლად. ევროპის ნაწილები სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მოექცევა — განსაკუთრებით ის ტერიტორიები, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს (მათი „დაცვის“ საბაბით) ან რომლებიც საბჭოთა თუ რუსეთის იმპერიების ნაწილს წარმოადგენდნენ. აფრიკული ქვეყნები აღმოჩნდებიან რუსეთისა და ჩინეთის მიერ მართული ახალი, სასტიკი კოლონიალიზმის ქვეშ, სადაც, არ არის გამორიცხული, საკუთარი წილი „ტრამპისტანმაც“ მიიღოს. სი, დიდი ალბათობით, შეეცდება აღმოსავლეთ აზიაზე გაცილებით ფართო ჰეგემონური კონტროლის დამყარებას — ამას უფრო ფრთხილად გააკეთებს, ვიდრე უფრო რისკიანი პუტინი — რაც, სავარაუდოდ, მოიცავს სრულმასშტაბიან თავდასხმას ტაივანზე და შესაძლოა სამხედრო მოქმედებებს იაპონიისა და კორეის წინააღმდეგაც კი.

> **განათლება თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეს დაეხმარებოდა იმის უკეთ გაცნობიერებაში, რომ იგი თავისუფალი ადამიანია და რომ თავისუფალი ხალხი გულხელდაკრეფილი არ ზის მაშინ, როდესაც მათ უფლებებს ართმევენ, როდესაც მათ დასაცავად მოწოდებული პირები კანონებს არღვევენ და როდესაც დემოკრატიულ მსჯელობას დიქტატი ანაცვლებს.**

ვფიქრობ, ლიბერალური დემოკრატიისთვის ბრძოლა მრავალ ფრონტზე მიმდინარეობს — ინტელექტუალური, პოლიტიკური, მორალური, სამართლებრივი და სხვა მიმართულებებით. თუმცა ამ ეტაპზე, ალბათ, ყველაზე გადამწყვეტი მაინც სამხედრო წინააღმდეგობაა, რომელიც უკრაინის მეშვეობით ხორციელდება. სიმამაცე უკრაინელებისა, ქართველებისა და მოლდოველებისა, რომლებიც „მეოთხე რაიხს“ უპირისპირდებიან, შთაგონების წყაროა

ყველასთვის, ვისაც სურს თავისუფლად და შიშის გარეშე ცხოვრება. მათ არა მხოლოდ სჭირდებათ ჩვენი მხარდაჭერა — ისინი სრულად იმსახურებენ მას.

ზ.ბ: დასავლურ სამყაროში ტრადიციული მემარცხენე-ცენტრისტული და მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიების მიერ წარმოდგენილი მეინსტრიმული ლიბერალური იდეოლოგია სულ უფრო მეტ გამოწვევას აწყდება. ევროპის მასშტაბით თვალსაჩინოა როგორც უკიდურესი მემარჯვენე, ისე უკიდურესი მემარცხენე პოპულიზმის მკვეთრი ზრდა. ბევრი მოქალაქე მიიჩნევს, რომ სისტემამ და პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა მათ იმედები გაუცრუა. რა ტიპის რეფორმები უნდა გატარდეს ამ ფუნდამენტური გამოწვევის დასაძლევად?

ტ.პ: ეს მართლაც მილიონდოლარიანი — და შესაძლოა უკვე ტრილიონდოლარიანი — კითხვაა. ამ რთულ საკითხზე ბევრს ვფიქრობ. იმავე კითხვას სხვებსაც ვუსვამ; ვუსმენ დისკუსიებს პოდკასტებში; ვკითხულობ წიგნებსა და სტატიებს; ზოგჯერ სიზმარშიც კი ამაზე ვფიქრობ. ამიტომ შემიძლია გაგიზიაროთ გარკვეული მოსაზრებები, თუმცა ისინი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული გამარჯვების ერთიან და სრულად თანმიმდევრულ სტრატეგიად. ამასთან, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ გვჭირდება არა ერთი, არამედ მრავალი სტრატეგია, რომლებიც სხვადასხვა შესაძლებლობებით აღჭურვილმა ადამიანებმა უნდა განახორციელონ. ისინი, ვინც თავისუფლებას ვუჭერთ მხარს, არ ვართ ურთიერთშემცვლელი ხრახნები ან ერთი მექანიზმის უსახო ნაწილები; ჩვენ ვართ პიროვნებები უნიკალური უნარებით, ცოდნითა და ნიჭით. სწორედ ამიტომ, მრავალფეროვან სტრატეგიებს შეუძლიათ ერთმანეთის შევსება და გაძლიერება — და არა ერთმანეთთან კონკურენცია.

ამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ პოპულიზმის იმ ფორმას, რომელიც ჩვენს თანამოქალაქეებს, რომლებსაც შესაძლოა არ ვეთანხმებოდეთ და რომელთაგანაც შეიძლება რელიგიით, ინტერესებითა და მრავალი სხვა ნიშნით განვსხვავდებოდეთ, „მტრებად“ აცხადებს. „მტრის“ იარლიყის მიკერება პოპულიზმის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია, რომელიც საზოგადოებას ყოფს „ხალხად“ და „ხალხის მტრებად“. პოპულისტი ავტორიტარები ამას სრულიად გაცნობიერებულად იყენებენ. ამის ნათელი მაგალითია ერნესტო ლაკლაუ — პერონისტი, მარქსისტი და მოგვიანებით „პოსტმარქსისტი“, ავტორი წიგნისა „პოპულისტური გონების შესახებ“, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უკიდურეს მემარცხენე აზროვნებაზე — ისევე როგორც მისი ინტელექტუალური შთაგონების წყარომ, კარლ შმიტმა. პოპულისტური ხედვის მიხედვით,

> **ვფიქრობ, ეფექტური სამოქალაქო განათლების კარგ მაგალითს წარმოადგენს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების - „საქართველოს მომავლის აკადემიის“, „ჭავჭავაძის ცენტრის“, „ქართველი სტუდენტები თავისუფლებისთვის“, „ახალი სკოლის“ და მრავალი სხვა ორგანიზაციის - მუშაობა, რომლებიც კოორდინირებულად მოქმედებენ, რათა დაეხმარონ ახალგაზრდებს დაინახონ, თუ რა დევს სასწორზე და დაიკავონ თავიანთი ერის პოზიცია, როგორც თავისუფალმა, პასუხისმგებლიანმა და მამაცმა მოქალაქეებმა.**

არსებობს „ხალხი“ და არსებობენ „ხალხის მტრები“, რომლებიც პრაქტიკულად ნებისმიერი შეიძლება იყოს. „ხალხი“ თავად პოპულისტი დემაგოგის მიერ შექმნილი კონსტრუქტია — კონსტრუქტი, რომელიც

სწორედ მტრის განსაზღვრის გზით ყალიბდება. გამჭრიახმა ლიბერალმა პლურალისტმა, ისაია ბერლინმა, ჯერ კიდევ 1967 წელს აღნიშნა პოპულიზმის შესახებ: „მცდარად თუ მართებულად, ის [პოპულიზმი] წარმოადგენს ადამიანთა უმრავლესობას — იმ უმრავლესობას, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით ზიანი მიადგა. ვისგან მიადგათ მათ ზიანი? ელიტისგან — იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რასობრივი; რაიმე სახის ფარული თუ აშკარა მტრისგან — კაპიტალიზმისგან, ებრაელებისგან და ასე შემდეგ. და ის, თუ ვინ არის ეს მტერი — უცხოელი თუ ადგილობრივი, ეთნიკური თუ სოციალური — არსებითად მნიშვნელოვანი არ არის". ამგვარად, ყველა სახის არალიბერალური მოძრაობა, რომელიც ზედაპირულად შეიძლება ძალიან განსხვავებულად გამოიყურებოდეს, იზიარებს ერთსა და იმავე რწმენას: ხალხი „მტრის" მსხვერპლია. ტრამპისტებისთვის ეს „M&M"-ები—მედია, მექსიკელები და მუსლიმებია, სხვებისთვის კი ებრაელები ან მათი მოკავშირეები, „1%", „ფინანსური ელიტა" და ა.შ. არიან. ამჟამად იმიგრანტებისთვის მტრის იარლიყის მიკვრა მარტივია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დანიშნული მტრები იშვიათად არიან ის ადამიანები, რომელთაც რეალურად იცნობთ. ცოტა ხნის წინ ვესაუბრე ერთ კარგ ამერიკელს, რომელიც არ დამეთანხმა საიმიგრაციო და საბაჟო სამსახურის (ICE) „აის-ტაპოს" (ICEtapo), როგორც მე მათ ვუწოდებ, აგენტების ქმედებების ჩემეულ აღწერას, რასაც მე კრიმინალურ ქცევად მივიჩნევ. მან მითხრა, რომ ესპანურენოვან იმიგრანტებთან დაკავშირებით არსებობს პრობლემები — თუმცა არა იქ, სადაც თვითონ ცხოვრობს (გაითვალისწინეთ), რადგან მის მეზობლად მცხოვრები იმიგრანტები შრომისმოყვარე, ოჯახზე ორიენტირებული და ზრდილი ადამიანები არიან, რომლებიც სხვებს ნამდვილად ეხმარებიან. პრობლემას ქმნიან სხვა ესპანურენოვანი პირები — საშიში ტიპები — რომლებიც ქვეყნის მეორე მხარეს ცხოვრობენ, ანუ ისინი, ვისაც ის სინამდვილეში არასდროს შეხვედრია. ეს საკმაოდ გავრცელებული ტენდენციაა.

ჩვენ უნდა ვიმუშაოთ სხვების დემონიზაციის დასაძლევად, იქნება ეს ეთნიკური ჯგუფები თუ პოლიტიკური „მტრები" — ლიბერალები, კონსერვატორები, მემარცხენეები, მემარჯვენეები, ზომიერები თუ სხვა. თქვენ შეგიძლიათ იყოთ ოპონენტები ისე, რომ არ გახდეთ მტრები. აშშ-ში გადაღებული ახალი დოკუმენტური ფილმი — UnDivideUsMovie.com — წარმოადგენს პოზიტიურ ნაბიჯს იმ მიმართულებით, რომ ადამიანები ერთმანეთს

ეს არ არის სპრინტი, ეს მარათონია. ეს ნიშნავს, რომ ბრძოლაში მთელი ძალისხმევა უნდა ჩავდოთ, მაგრამ, ამავდროულად, ძალები სწორად გადავანაწილოთ. არ უნდა გადავიწვათ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კვირაში, ამ თვეში ან ამ წელს ვერ გავიმარჯვეთ, რადგან ჩვენ ტირანიის წინააღმდეგ რბოლაში კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ვიქნებით.

ხედავდნენ როგორც უთანხმოებებისა და განსხვავებების მქონე თანამოქალაქეებს და არა როგორც მოსისხლე მტრებს.

რაც შეეხება პოლიტიკის საკითხებს, ვფიქრობ, რომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას მეტი შესაძლებლობა ეკონომიკური ზრდისთვის, რაც გულისხმობს ეკონომიკის გათავისუფლებას დამთრგუნველი და ხშირად უაზრო მარეგულირებელი სისტემებისგან, რომლებიც უზარმაზარ შესაბამისობის ხარჯებს აწესებენ, რაც ხშირად აღემატება ნებისმიერ აშკარა საზოგადოებრივ სარგებელს. მჯერა, დროა დავამკვიდროთ თავისუფლების პრეზუმფცია ეკონომიკური ინოვაციებისთვის — ე.წ. „ინოვაცია ნებართვის გარეშე". ელიტური კორუფციის ზრდა მხოლოდ რუსეთის პრობლემა არ არის — ის აქტუალურია პრაქტიკულად ყველგან და დიდწილად არის შედეგი

იმისა, რომ სახელმწიფო პრივილეგიებს ანიჭებს მათ, ვინც უკვე „სისტემაშია“, „სისტემის გარეთ“ მყოფთა ხარჯზე. ეს არ ეხება მხოლოდ ძველ სტერეოტიპებს შავ ცილინდრებში გამოწყობილი, სიგარიანი ინდუსტრიალისტების შესახებ; ეს გაცილებით უფრო სისტემური მოვლენაა და გვხვდება ყველგან, სადაც სახელმწიფოს ინტერვენციონიზმი ქმნის სივრცეს იმისთვის, რასაც პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტები „პირდაპირ არაპროდუქტიულ რენტის ძიებას“ (Directly Unproductive Rent-Seeking) უწოდებენ — დღეს მას

უბრალოდ „რენტის ძიებას“ (rent-seeking) ეძახიან. ეს არის სიმდიდრის მოპოვება სხვებისთვის რეალური დამატებითი ღირებულების შექმნის გარეშე.

ერთ-ერთი ფორმა, რომელიც სათანადოდ არ არის განხილული, გვხვდება ახალი საცხოვრებლის მშენებლობაზე დაწესებულ შეზღუდვებში მსოფლიოს თითქმის ყველა მდიდარ ურბანულ უბანში. NIMBY-იზმი – „არა ჩემს უკანა ეზოში“ (Not In My Back Yard) – ართულებს ახალი საცხოვრებლის შექმნას, რაც მშენებლობაზე დამატებით მარეგულირებელ შეზღუდვებთან ერთად, სულ უფრო ართულებს ახალგაზრდების საცხოვრებლით უზრუნველყოფას, ოჯახის შექმნასა და საკუთარი ოცნებების რეალიზებას. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებს, რომლებსაც უკვე აქვთ სასურველი უძრავი ქონება, არ სურთ, რომ „უბნის ხასიათი“ შეიცვალოს და შესაბამისად, ისინი შეზღუდვებს აწესებენ მეზობლების შესაძლებლობაზე, ააშენონ მეტი სახლი, განათავსონ დამატებითი სართულები, შესთავაზონ უფრო პატარა, უფრო ეფექტური და უფრო ხელმისაწვდომი ბინები და ა.შ. საბედნიეროდ, ბევრმა უკვე გააცნობიერა ეს და არაერთ ქვეყანაში YIMBY — „დიახ, ჩემს უკანა ეზოში“ (Yes In My Back Yard) — მოძრაობები მუშაობენ მიწოდებაზე არსებული შეზღუდვების მოსახსნელად. საქმე ეხება არა „უფრო ხელმისაწვდომი, იაფი საცხოვრებლის მშენებლობას“, არამედ ზოგადად მეტი საცხოვრებლის მშენებლობას. როდესაც მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება, ფასები იკლებს შეზღუდულ მიწოდებასთან შედარებით — აქ არაფერია რთული. შესაბამისად, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც, ჩემი პროგნოზით, მისი განხორციელების შემთხვევაში, შეამცირებს იმ რისხვას, რაც გამოწვეულია სრულიად მართებული აღქმით, თითქოს „თამაში“ ახალბედების — ამ შემთხვევაში კი ახალგაზრდების — წინააღმდეგაა მიმართული.

რაც შეეხება განათლების დონეს, ვფიქრობ, დროა დავუბრუნდეთ სამოქალაქო განათლებას, რომელიც ერთ დროს ბევრ ქვეყანას ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით მასზე უარი თქვეს, მას შემდეგ რაც დემოკრატიული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემები ჩაიძირა ცინიზმში, რელატივიზმსა და პოსტმოდერნისტულ ირონიაში. განათლება თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეს დაეხმარებოდა იმის უკეთ გაცნობიერებაში, რომ იგი თავისუფალი ადამიანია და რომ თავისუფალი ხალხი გულხელდაკრეფილი არ ზის მაშინ, როდესაც მათ უფლებებს ართმევენ, როდესაც მათ დასაცავად მოწოდებული პირები კანონებს არღვევენ და როდესაც დემოკრატიულ მსჯელობას დიქტატი ანაცვლებს. თავისუფალი ქვეყნის მოქალაქემ იცის და აფასებს აღმსარებლობის თავისუფლებას, საკუთარი რწმენის გამოხატვის თავისუფლებას და თავისუფლებას, იცხოვროს ისე, როგორც მას ურჩევნია — სხვების თანაბარი თავისუფლების შეზღუდვის გარეშე. ეს იყო იმ გზავნილების ძირითადი ნაწილი, რომლებსაც ახალგაზრდები იღებდნენ ევროპაში,

ჩრდილოეთ ამერიკასა და სხვა თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებებში; თუმცა ეს გზავნილები გაიფანტა რელატივიზმის, „ვოტაბაუტიზმისა“ და საკუთარი თუ სხვისი თავისუფლების ღირებულებისადმი გულგრილობის ნელთბილ შლამში. ვფიქრობ, რომ ეფექტური სამოქალაქო განათლების კარგ მაგალითს წარმოადგენს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების - „საქართველოს მომავლის აკადემიის“, „ჭავჭავაძის ცენტრის“, „ქართველი სტუდენტები თავისუფლებისთვის“, „ახალი სკოლის“ და მრავალი სხვა ორგანიზაციის - მუშაობა, რომლებიც კოორდინირებულად მოქმედებენ, რათა დაეხმარონ ახალგაზრდებს დაინახონ, თუ რა დევს სასწორზე და დაიკავონ თავიანთი ერის პოზიცია, როგორც თავისუფალმა, პასუხისმგებლიანმა და მამაცმა მოქალაქეებმა.

ზ.ბ.: ჩვენი ბოლო კითხვა საქართველოს ეხება. ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ უკვე იქცა ავტორიტარულ რეჟიმად და სწრაფად მიიწევს ტოტალიტარიზმისკენ. ჩვენ გვყავს 150-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი, ოპოზიციის ლიდერების უმეტესობა ციხეში ან დევნილობაშია, დამოუკიდებელი მედია სულს ღაფავს, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება რეპრესიული კანონებით ფაქტობრივად გაგუდულია. როგორი იქნება თქვენი გზავნილი/რჩევა საქართველოს მოქალაქეებისთვის, აქტივისტებისა და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აგრძელებენ ამ უთანასწორო ბრძოლას რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ივანიშვილის „ოცნების“ რეჟიმის წინააღმდეგ?“

ტ.პ.: თქვენ არ ხართ მარტო. თქვენ გყავთ მეგობრები. თქვენი საქმე კეთილშობილურია; თქვენს წინააღმდეგ მიმართული ძალები მძლავრია; თქვენ კი ჩვენი გმირები ხართ. ეს ნაწილობრივ თქვენი შეუპოვრობის დამსახურებაა. მე მჯერა, რომ თუ რუსეთის სახელმწიფო წაიბორძიკებს, მათი მარიონეტები სხვა ქვეყნებში ძალიან სწრაფად დაეცემიან — ბელარუსში, საქართველოში და სხვაგან. ეს არ არის სპრინტი, ეს მარათონია. ეს ნიშნავს, რომ ბრძოლაში მთელი ძალისხმევა უნდა ჩავდოთ, მაგრამ, იმავდროულად, ძალები სწორად გადავანაწილოთ. არ უნდა გადავიწვათ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კვირაში, ამ თვეში ან ამ წელს ვერ გავიმარჯვეთ, რადგან ჩვენ ტირანიის წინააღმდეგ რბოლაში კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ვიქნებით. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ტირანები იბრძვიან არა მხოლოდ ძალაუფლებისთვის, არამედ იმ ბინძური ფულისთვის, რომელიც ძალაუფლებას მოაქვს და რომელსაც ისინი პატიოსან და პროდუქტიულ ადამიანებს ართმევენ. და როდესაც მათ ფულს საფრთხე ემუქრება, ტირანებს, მათ მსახურებსა და დაქირავებულ ჯალათებს შეუძლიათ ნამდვილი სისასტიკე გამოავლინონ. მათ უყვართ თავიანთი ბინძური ფული და იბრძოლებენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად, რომელიც ამ ფულის წყაროებზე წვდომას აძლევს. სათანადოდ უნდა შეაფასოთ, რამდენად უხეშები, სასტიკები და აგრესიულები შეიძლება გახდნენ ისინი. მაგრამ გახსოვდეთ, რომ საბოლოოდ, მათ აქვთ იმ ვირთხების მორალი, რომლებიც თეფშიდან მოპარული სენდვიჩის გამო ერთმანეთს ღრღნიან. თქვენ მათზე უკეთესები ხართ. და მათ ეს იციან. ■



გიგა ჯოხაძე

დასუსტებული რუსეთი და გაბიავებული ისტორიული შანსი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაზე განხორციელებული სრულმასშტაბიანი აგრესია შეუქცევადი გეოპოლიტიკური ძვრების დასაწყისი გახდა. თებერვლის იმ მძიმე დღეებში ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ომი 1400 დღეზე მეტხანს გაგრძელდებოდა და ხანგრძლივობით „დიდ სამამულო ომსაც“ გადაუსწრებდა, თან ისე, რომ ომის მეოთხე წელს რუსეთის გლობალური გავლენები შესამჩნევად შესუსტებული იქნებოდა.

უკრაინაში გაწელილმა ომმა, რომელმაც პუტინის რეჟიმი შესამჩნევად გამოფიტა, ყოფილი საბჭოთა სივრცისა და კომუნისტური ბლოკის ქვეყნებისთვის (და არამხოლოდ) შესაძლებლობების ისტორიული ფანჯარა გახსნა. მრავალმა მათგანმა ეს ისტორიული შანსი უსაფრთხოების გასაძლიერებლად და საკუთარ ქვეყნებში რუსეთის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენების შესასუსტებლად გამოიყენა. უკვე შემდგარი ფაქტია, რომ რუსეთის ფედერაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალას ისე დომინანტურად ვეღარ პროეცირებს, როგორც, თუნდაც, 5 ან 10 წლის წინ. კრემლის გავლენის მასშტაბი არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან რეგიონში, მათ შორის: ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიასა და დასავლეთ ნახევარსფეროში - უპრეცედენტოდაა შემცირებული.

ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც რუსეთის დასუსტებით ნაჩუქარი ისტორიული შანსი გაანიავა - საქართველოა. გადავხედოთ იმ სახელმწიფოების სიას, რომლებიც უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ კრემლის გავლენებს „დაუძვრნენ“:

ფინეთი: ზამთრის ომში (1939-1940) სამხედრო გამარჯვების მოპოვების მიუხედავად, ფინეთი იძულებული გახდა საბჭოთა კავშირისთვის საკუთარი ტერიტორიის ნაწილი დაეთმო. ამის შემდეგ ფინეთი თითქმის 75 წლის განმავლობაში ნეიტრალური სახელმწიფო იყო. უკრაინაზე სრულმასშტაბიანი რუსული თავდასხმის შემდეგ ფინელებმა გააცნობიერეს, რომ ნეიტრალიტეტის პირობებში შესაძლოა რუსეთის შემდეგი სამიზნე გამხდარიყნენ და რომ უსაფრთხოების ყველაზე მყარი გარანტია მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე

რუსეთისა და ნატოს საერთო საზღვრის ამსახველი რუკა: ფინეთის ნატოში გაწევრიანებამდე რუსეთს ნატოსთან 1215 კმ-იანი საერთო საზღვარი ჰქონდა. ფინეთის ნატოში გაწევრიანების შემდეგ საერთო საზღვარი 1340 კმ-ით გაიზარდა.

ძლიერ სამხედრო ალიანსში - ნატოში გაწევრიანება იქნებოდა. 2023 წელს ფინეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 31-ე წევრი სახელმწიფო გახდა. უკრაინაში ომის დაწყების ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად კრემლი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერებას ასახელებდა. პუტინმა საპირისპირო შედეგი მიიღო - ფინეთის ნატოში გაწევრიანებით ალიანსსა და რუსეთს შორის საერთო საზღვარი 1340 კმ-ით - ანუ ორჯერ - გაიზარდა.

შვედეთი: ფინეთის ომში (1808-1809) განცდილი მარცხის შემდეგ შვედეთის სამეფო იძულებული გახდა, საკუთარი ტერიტორიების მესამედი დაეთმო. ამის შემდეგ შვედეთი ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ნეიტრალური სახელმწიფო იყო. შვედეთს ნეიტრალიტეტის პოლიტიკისთვის არ უღალატია არც ორი მსოფლიო ომის განმავლობაში, არც ცივი ომის დროს და არც მისი დასრულების შემდეგ. ნეიტრალიტეტის ორსაუკუნოვანი ტრადიციის შეწყვეტის მიზეზი უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ინტერვენცია გახდა. მიუხედავად იმისა, რომ შვედეთს რუსეთთან პირდაპირი საზღვარი არ გააჩნია, რუსეთისგან მომდინარე საფრთხემ შვედეთი აიძულა, სამხედრო ნეიტრალიტეტზე უარი ეთქვა და მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ძლიერ სამხედრო ალიანსში - ნატოში გაწევრიანებულიყო.

სომხეთი: ყარაბაღის მეორე ომის მიმდინარეობისას სომხეთმა კრემლის მიერ კონტროლირებად კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას მე-4 მუხლის ამოქმედება და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში დახმარება სთხოვა, თუმცა ორგანიზაციამ წევრი სახელმწიფოს დასაცავად თავი არ შეიწუხა. ომში განცდილმა მძიმე მარცხმა სომხეთის ხელისუფლება საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ რუსეთი სანდო მოკავშირე არ არის. რუსული უსაფრთხოების ძირგახვრეტილი ქოლგით იმედგაცრუებულმა სომხეთმა თვალი დასავლეთს მიაპყრო.

2025 წლის იანვარში სომხეთმა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. სომხეთმა პროაქტიულად დაიწყო მუშაობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასა და ვიზალიბერალიზაციის მიღებაზე. გარდა ამისა, სომხეთის მოქმედი პრემიერ-მინისტრი, ნიკოლ ფაშინიანი, აქტიურად უპირისპირდება სომხეთის საპატრიარქოში ჩაბუდებულ კრემლის აგენტურულ ქსელს. სომხეთში ივნისში საპარლამენტო არჩევნებია ჩანიშნული, რომელშიც, ყველა სოციოლოგიური გამოკითხვით, აშკარა ფავორიტი ფაშინიანის „სამოქალაქო კონტრაქტია“.

ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც რუსეთის დასუსტებით ნაჩუქარი ისტორიული შანსი გაანიავა - საქართველოა.

აზერბაიჯანი: რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა 2024 წლის დეკემბერში, როდესაც რუსულმა საჰაერო თავდაცვამ აზერბაიჯანული სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდო. პასუხად, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა, რამდენიმე მკვეთრი ანტირუსული ნაბიჯი გადადგა: (1) 2025 წლის 9 მაისს დემონსტრაციულად არ ჩავიდა მოსკოვში „გამარჯვების დღის“ აღმნიშვნელ ღონისძიებაზე; (2) აზერბაიჯანულმა სპეცსამსახურებმა „სპუტნიკის“ ოფისში რეიდი ჩაატარეს და რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით რამდენიმე თანამშრომელი დააკავეს; და (3) აზერბაიჯანმა სკოლებში რუსულ ენაზე სწავლება აკრძალა.

მოლდოვა: უკრაინაში ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე მოლდოვამ უკრაინასა და საქართველოსთან ერთად განაცხადი გააკეთა ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის მისაღებად. 2022 წლის 23 ივნისს მოლდოვამ და უკრაინამ კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსი მიიღეს. მალევე, 2023 წლის დეკემბერში, ევროკავშირმა მოლდოვას გაწევრიანების საკითხზე მოლაპარაკებები გაუხსნა. პარალელურად, მოლდოვის ეროვნულმა პროევროპულმა ხელისუფლებამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გასვლის პროცესიც დაიწყო.

კრემლმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე სცადა მოლდოვის შიდა საქმეებში ჩარევა, თუმცა, თითოეულ შემთხვევაში კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: პირველად, 2024 წლის ოქტომბერში, როდესაც მოლდოვამ ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე რეფერენდუმი ჩაატარა. მძიმე რუსული ჩარევის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესობამ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა. მეორედ რუსული ჩარევა 2025 წლის შემოდგომაზე ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებისას დაფიქსირდა, თუმცა, კრემლის ჰიბრიდული სპეცოპერაციის მიუხედავად, არჩევნებში მოქმედი პრემიერის, მაია სანდუს, პარტიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

2026 წლის იანვრიდან მოლდოვამ და უკრაინამ ლოჯისტიკურ ბლოკადაში მოაქციეს რუსეთის მიერ ოკუპირებული დნესტრისპირეთის რეგიონი, რაც რუსეთისთვის გეოპოლიტიკური კატასტროფაა, რადგან ოკუპირებულ რეგიონთან მას პირდაპირი სახმელეთო საზღვარი არ აქვს, შესაბამისად, რეგიონში დისლოცირებულ 1500 სამხედროს ვეღარ ამარაგებს. ბოლო პერიოდში მოლდოვის მოქმედი ხელისუფლება აქტიურად განიხილავს რუმინეთთან გაერთიანების პერსპექტივასაც, რასაც მოლდოვის მოქალაქეთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს.

რუმინეთი: 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევა უპრეცედენტო მასშტაბის იყო. შედეგად, რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლომ არჩევნების შედეგები ბათილად გამოაცხადა. ხელახალ არჩევნებში კრემლის წინააღმდეგობის მიუხედავად, პროევროპელმა კანდიდატმა, ნიკუშორ დანიმ, გაიმარჯვა. ნატომ რუმინეთში, როგორც ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგის კრიტიკულად მნიშვნელოვან სახელმწიფოში, სამხედრო წარმომადგენლობა გააძლიერა. რუმინეთმა მოკავშირეებისგან ათობით F-16 ტიპის მრავალფუნქციური გამანადგურებელი

შეისყიდა და გამოსცა კანონი, რომელიც რუმინეთის სამხედრო ძალებს ქვეყნის საჰაერო სივრცეში შემოფრენილი ნებისმიერი მფრინავი ობიექტის ჩამოგდების უფლებას აძლევს. რუმინეთმა კანონმდებლობა გაამკაცრა იმ კომპანიებისა და ინდივიდებისთვისაც, რომლებიც რუსეთს დასავლური სანქციების გვერდის ავლაში ეხმარებიან.

ყაზახეთი - ათწლეულების განმავლობაში ყაზახეთი რუსეთის ექსკლუზიური გავლენის ზონად ითვლებოდა. ქვეყნის ახალმა ლიდერმა თანდათანობით რუსული გავლენის შემცირება და მისი მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკით ჩანაცვლება დაიწყო. კრემლის გავლენის შემცირებას ყაზახეთი, ძირითადად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებით ცდილობს. ტოყაევის ხელისუფლებამ 2023 წელს „ენის განვითარების ინიციატივა“ წარმოადგინა, რომლის მიზანიც მოსახლეობაში ყაზახური ენის პოპულარიზაცია და თანდათანობით რუსული ენის ყაზახურით ჩანაცვლებაა. უკანასკნელ წლებში ყაზახეთში მრავალმილიარდიანი ჩინური ინვესტიციები შევიდა. ორი ათწლეულის განმავლობაში ყაზახეთის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი რუსეთი იყო, 2023 წელს კი ამ კატეგორიაში მოსკოვი პეკინმა ჩაანაცვლა. ჩინეთის „ერთი სარტყელი - ერთი გზა“ ინიციატივაში ყაზახეთს ცენტრალური როლი აქვს. რუსეთს უკრაინაში გაწელილი ომის გამო ყაზახეთში ჩინეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენის ზრდის დასაბალანსებლად რესურსი არ ჰყოფნის.

სირია: სირიის სამოქალაქო ომში ჩართვის გადაწყვეტილება რუსეთის პრეზიდენტმა 2015 წლის შემოდგომაზე მიიღო, როდესაც ბაშარ ასადის რეჟიმი გადარჩენისთვის იბრძოდა. ასადის ხელისუფლებაში დარჩენა, დიდწილად, სწორედ რუსული ავიაციის მიერ აჯანყებულთა პოზიციების გამუდმებულმა დაბომბვებმა განაპირობა. მადლიერმა ასადმა რუსეთს ტარტუსის საზღვაო პორტი 49 წლით გადაუფორმა და ლატაკიაში ჰმეიმის საჰაერო ბაზა აუშენა. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ასადის პოზიციები თანდათანობით შესუსტდა. 2024 წლის დეკემბერში აჯანყებულებმა დამასკო აიღეს, ასადი იძულებული გახდა, მოსკოვში გაქცეულიყო, სირიაში მდებარე ბაზებიდან კი რუსული საჯარისო ნაწილები სრულად ევაკუირდა. ასე დაკარგა რუსეთმა ახლო აღმოსავლეთში მდებარე სამხედრო ბაზები და შესაბამისად, რეგიონზე ძალის პროეცირებისთვის საჭირო ბოლო ინსტრუმენტი.

ირანი: აიათოლების რეჟიმი ახლო აღმოსავლეთში პუტინის ბოლო მოკავშირეა. ირანი რუსეთს უკრაინაში ომის დაწყების დღიდან დრონებითა და საარტილერიო ჭურვების გადაცემით ეხმარება. 2025 წლის ივნისში ირანის ბირთვული პროგრამის განადგურების მიზნით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ისრაელმა ისლამურ რესპუბლიკაზე იერიში მიიტანეს. ჯერ ისრაელმა ირანის საჰაერო თავდაცვის სისტემები (მათ შორის რუსული S-400-ები) გათიშა, შემდეგ კი აშშ-მა B2 ტიპის ბომბდამშენებით ირანის მთავარ ბირთვულ ობიექტებს დაარტყა. 13-დღიან ომში მარცხმა აიათოლების რეჟიმს წყალი შეუყენა. ომის შემდეგ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი გაღრმავდა - გაზრდილი ფასებისა და ინფლაციის წინააღმდეგ 2025 წლის დეკემბერში დაწყებული პროტესტი მალე მთელ ქვეყანას ხანძარივით მოედო და სრულფასოვან რევოლუციად გარდაიქმნა.

ირანში აქციები დღემდე მიმდინარეობს. დასრულდება თუ არა მალე აიათოლების რეჟიმი, ამას უახლოესი კვირები გვიჩვენებს, თუმცა უკვე მოცემულობაა, რომ დასუსტებული ისლამური რესპუბლიკა უკრაინის ომში რუსეთს ისეთი მასშტაბით ვეღარ ეხმარება, როგორითაც გასული 3 წლის განმავლობაში.

ვენესუელა: დასავლეთ ნახევარსფეროში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები, ჯერ კიდევ მონროს დოქტრინიდან (1823) მოყოლებული, საკუთარი ექსკლუზიური გავლენის ზონად მიიჩნევს, პუტინის ბოლო დასაყრდენი მადუროს რეჟიმი იყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2026 წლის 3 იანვარს ვენესუელაში წარმატებული სამხედრო ოპერაციის ფარგლებში, არასრულ 2 საათში დააპატიმრა და ამერიკაში გადაიყვანა ვენესუელის პრეზიდენტი. ამასთან, ამერიკულმა

გემებმა ატლანტის ოკეანეში რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი რამდენიმე ნავთობტანკერიც შეიპყრეს, რომელთაც სანქცირებული ნავთობი გადაჰქონდა. შედეგად, მადუროს რეჟიმის დამხობით პუტინმა დასავლეთ ნახევარსფეროში ბოლო ძლიერი მოკავშირეც დაკარგა.

ევროპა: უკრაინაზე თავდასხმამდე ევროპა რუსულ ენერგორესურსებზე კრიტიკულად იყო დამოკიდებული. ბებერი კონტინენტი ბუნებრივი აირის 40%-ს, ნავთობის 27%-სა და ქვანახშირის 45%-ს რუსეთისგან იღებდა. უკრაინის ომის მეოთხე წლისთვის ეს რიცხვები, შესაბამისად 15, 10 და 5%-მდე შემცირდა. პოლონეთმა, ბალტიისპირა სახელმწიფოებმა და ჩეხეთმა სრულად შეწყვიტეს რუსული ენერგორესურსების შესყიდვა.

უკრაინის ომმა ახალი სიცოცხლე შთაბერა ევროპის რემილიტარიზაციის გეგმას. გერმანიამ 2029 წლისთვის თავდაცვითი ხარჯების 85-დან 152 მილიარდამდე გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. ევროპის კავშირმა 800 მილიარდიანი „თავდაცვის ფონდი“ შექმნა, რომლის მიზანი მომავალ ათწლეულში ევროპის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებაა. ევროპის რემილიტარიზაციას ხელს უწყობს ტრამპის ადმინისტრაციის ხისტი ტრანსატლანტიკური პოლიტიკაც, რომელიც ნატოს წევრ სახელმწიფოებს თავდაცვითი ხარჯების 2%-დან 5%-მდე გაზრდას აიძულებს.

საქართველო: ხელიდან გაშვებული შანსი - ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც უკრაინაში ომის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობების ფანჯარა არ გამოიყენა, საქართველოა.

„ქართულმა ოცნებამ“ ომის შემდეგ რუსეთზე პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულება მკვეთრად გაზარდა. საქართველო გახდა „უსაფრთხო თავშესაფარი“ ომს გამოქცეული რუსებისა და ერთ-ერთი მთავარი ტრანზიტი ორმაგი დანიშნულების პროდუქციის რუსეთში გატანისთვის.

ომის პირველივე დღეებიდან ქართულმა ოცნებამ რუსეთის მხარე დაიჭირა - უკრაინა ომის თავიდან ვერარიდებაში (ანუ კაპიტულაციაზე არდათანხმებაში) დაადა-

ეროვნული ხელისუფლება უკრაინაში რუსეთის დასუსტებით ისარგებლებდა და, სულ მცირე, კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ სასწრაფოდ გახსნიდა ევროკავშირთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებებს, დაიწყებდა გასაწევრიანებლად საჭირო დავალებების შესრულებას, გააძლიერებდა დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, რათა საჭირო მომენტში ევროკავშირის გაფართოების მომდევნო ტალღას მომზადებული შეხვედროდა. „ოცნებამ“ კი ყველაფერი საპირისპიროდ გააკეთა. მაშინ, როდესაც ყველა თავმოყვარე სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, რომელსაც ეროვნული ხელისუფლება მართავს, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ შეცვლილ გეოპოლიტიკურ კონტექსტთან მორგებას და რუსული გავლენის ზონიდან თავის დაღწევას ცდილობს, საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლების მოქმედებები არა მხოლოდ ისტორიული შანსის განიავება, არამედ ეროვნული ინტერესების მიზანმიმართული და თანმიმდევრული ღალატია.

ნაშაულა, ხოლო ომის მთავარ გამჩაღებლად - ჯერ წარმოსახვითი „გლობალური ომის პარტია“, შემდეგ ასევე წარმოსახვითი „დიფსთეითი“, სინამდვილეში კი, დასავლეთი გამოაცხადა.

„ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის გაზაფხულზე რუსული კანონი მიიღო, რომლის მეშვეობით კრიტიკული ხმის გაჩუმება, ავტორიტარიზმის ჩაცემენტება და ქვეყნიდან დასავლეთის გაძევება სცადა. შემდეგ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები გააყალბა, რომელიც არცერთმა დასავლურმა სახელმწიფომ არ აღიარა. არჩევნების გაყალბებიდან ერთ თვეში ივანიშვილის პრემიერმა, კობახიძემ, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის 2028 წლამდე შეჩერება გამოაცხადა. გაყალბებული არჩევნებითა და ევროკავშირთან ურთიერთობების გაწყვეტით განრისხებული მოქალაქეები, რომლებიც მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე გამოვიდნენ, „ოცნებამ“ იგორ როდიონოვის სტილში დაარბია, ქიმიური იარაღით მოწამლა, ასობით ადამიანი კი უკანონოდ დააკავა და აწამა. 2025 წელს „ოცნებამ“ ერთიმეორის მიყოლებით მიიღო ისეთი რეპრესიული კანონები, რომელთა მსგავსი რუსეთსა და ბელარუსშიც კი არაა.

ეროვნული ხელისუფლება უკრაინაში რუსეთის დასუსტებით ისარგებლებდა და, სულ მცირე, კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ სასწრაფოდ გახსნიდა ევროკავშირთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებებს, დაიწყებდა გასაწევრიანებლად საჭირო დავალებების შესრულებას, გააძლიერებდა დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, რათა საჭირო მომენტში ევროკავშირის გაფართოების მომდევნო ტალღას მომზადებული შეხვედროდა. „ოცნებამ“ კი ყველაფერი საპირისპიროდ გააკეთა. მაშინ, როდესაც ყველა თავმოყვარე სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, რომელსაც ეროვნული ხელისუფლება მართავს, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ შეცვლილ გეოპოლიტიკურ კონტექსტთან მორგებას და რუსული გავლენის ზონიდან თავის დაღწევას ცდილობს, საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლების მოქმედებები არა მხოლოდ ისტორიული შანსის განიავება, არამედ ეროვნული ინტერესების მიზანმიმართული და თანმიმდევრული ღალატია.

სტივენ ჯონსი

რობერტ პიერპონტ ბლეიკი და ქართველოლოგიის საწყისები ამერიკის შეერთებულ შტატებში



რობერტ ბლეიკის მინაწერი 1743 წლის ე.წ. „ბაქარის ბიბლიის“ ფურცელზე

„ჰოუტონის ბიბლიოთეკა, ჰარვარდის უნივერსიტეტი - 2025-718“.

შესავალი

საქართველოს შესახებ ცოდნამ ამერიკის შეერთებულ შტატებამდე გვიან მიაღწია. ევროპელ მოგზაურებს, ვაჭრებსა და მისიონერებს საქართველოსა და კავკასიასთან გაცილებით ადრე ჰქონდათ შეხება. შავი ზღვა და აბრეშუმის გზა უხსოვარი დროიდან იზიდავდა როგორც ევროპის სავაჭრო იმპერიებს, ისე სახარების მქადაგებელ მისიონერებს, განსაკუთრებით ვატიკანიდან. ამის ნათელი მაგალითებია კათოლიკე მისიონერები - არქანჯელო ლამბერტი და დონ კრისტოფორო დე კასტელი, რომლებიც XVII საუკუნეში ქართული კულტურისა და ადათ-წესების გულმოდგინე მკვლევრებად ჩამოყალიბდნენ. თუმცა ქართველოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ევროპაში მხოლოდ XIX საუკუნის შუახანებში ჩამოყალიბდა, როდესაც ფრანგმა მეცნიერმა მარი-ფელისიტე ბროსემ გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე“. 1858 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოქვეყნებული ბროსეს „ისტორია“ საქართველოს შესახებ ნოვატორული კვლევა იყო, რომელიც ორ ათასწლეულზე ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა და დასავლურ მეცნიერებაში ქართველოლოგიის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი.

რუსეთში კავკასიისადმი მეცნიერული ინტერესი პირველად იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745–1781) და იაკობ რეინეგსმა (1744–1793) გამოიჩინეს. XIX საუკუნის მეორე

ნახევარში სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება და სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი აქტიურად სწავლობდნენ იმპერიის სამხრეთით ახლად შეძენილი ტერიტორიების დემოგრაფიულ, ლინგვისტურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას. რუსი „აღმოსავლეთმცოდნეებისთვის“ საქმიანობა მნიშვნელოვნად გაამარტივა ქართველი მეცნიერების, მათ შორის: დიმიტრი ბაქრაძის (1826–1890), დავით ჩუბინაშვილის (1814–1891), პლატონ იოსელიანისა (1810–1875) და ექვთიმე თაყაიშვილის (1863–1953) მრავალრიცხოვანმა ნაშრომებმა, რომლებმაც ქართული ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის სფეროში გადამწყვეტი როლი შეასრულა და კავკასიის სამეცნიერო კვლევების განვითარებას მყარი საფუძველი ჩაუყარა. ქართველი ინტელექტუალების ინტერესი საკუთარი კულტურისა და ეროვნული იდენტობის მიმართ 1860-იან წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ეს პროცესი შთაგონებული იყო ქართველი მწერლებისა და ჟურნალისტების საქმიანობით, რომლებიც კავკასიაში რუსეთის კულტურულ ჰეგემონიას ეწინააღმდეგებოდნენ. „თერგდალეულთა“ სახელით ცნობილი ეს ინტელექტუალები აკვირდებოდნენ ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში ეროვნული და კულტურული აღორძინების ევროპულ მოდელებს და აქტიურად უწყობდნენ ხელს საქართველოში ქართული კულტურული ინსტიტუტების განვითარებას — განსაკუთრებით კი ქართული სკოლების დაარსებას.

ამერიკელთა მიერ საქართველოს აღმოჩენა

XIX საუკუნეში საქართველოში ამერიკელი თავგადასავლების მოყვარულთა და მისიონერთა მხოლოდ მცირე რიცხვმა იმოგზაურა. ადრეულ ამერიკელ მოგზაურებს შორის ყველაზე ცნობილნი იყვნენ ჯოელ პოინსეტი (1779–1851), მოგვიანებით აშშ-ის თავდაცვის მდივანი; უილიამ შერმანი (1820–1891), ამერიკის სამოქა-

რობერტ პიერპონტ ბლეიკი
(გრიგორისილვა, 2018 - ვიკიპედია)

ლაქო ომში უნიონისტური/ფედერალური არმიის სახელგანთქმული გენერალი; და ჯორჯ კენანი (1845–1924), რომელიც კავკასიაში 1870-იან წლებში ჩამოვიდა და კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ეთნოგრაფი გახდა. თუმცა ნავთობის აღმოჩენამდე აშშ-ის მთავრობა კავკასიის რეგიონის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ 1886 წელს ბათუმში აშშ-ის პირველი საკონსულოს დაარსება განაპირობა. პირველი მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. 1919 წელს, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, აშშ გამარჯვებული „დიდი ოთხეულის“ წევრი იყო, რომელთაც ერების ბედის გადაწყვეტა ხელეწიფებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის გეოგრაფიული მნიშვნელობა ვაჭრობისთვის და მისი ფუნქცია ბუფერულ ზონად — ერთი მხრივ, მუსტაფა ქემალის თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და, მეორე მხრივ, ბოლშევიკებს შორის — ფართოდ იყო

აღიარებული, აშშ-ის დიპლომატიური ინტერესი კავკასიისადმი მაინც მინიმალური იყო. ამერიკულ სამეცნიერო სივრცეში საქართველოს ფაქტობრივი არარსებობა ნაწილობრივ განპირობებული იყო აშშ-ში ქართული დიასპორის სიმცირით (შედარებისთვის, სომხურ დიასპორას ძლიერი ლობი ჰყავდა), აგრეთვე, ამერიკულ ბიბლიოთეკებსა და არქივებში მნიშვნელოვანი ქართული საკოლექციო მასალების ნაკლებობით, რაც სამეცნიერო კვლევების ჩატარებას არსებითად ართულებდა.

რობერტ ბლეიკი

რობერტ პიერპონტ ბლეიკი (1886–1950) ერთ-ერთი პირველი ამერიკელი მკვლევარი იყო, რომელიც ამერიკელ მეცნიერებს საქართველოს უფრო ღრმა და სისტემური შესწავლისკენ მოუწოდებდა. ბლეიკის მნიშვნელობა ამერიკული ქართველოლოგიისთვის ჩემთვის კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთა 2025 წელს, როდესაც ჰარვარდის ჰოუტონის ბიბლიოთეკამ (Houghton Library) პირველი სრული ნაბეჭდი ქართული ბიბლია — ე.წ. „ბაქარის ბიბლია“ შეიძინა, რომელიც 1743 წელს მოსკოვში გამოიცა. ბიბლიის ფურცლებზე დაცულ მინაწერებს შორის, რომლებიც მის წარსულ მფლობელებზე გვაწვდის ინფორმაციას (მათ შორის არიან მწერლები ილია და ნინო ნაკაშიძეები), განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რობერტ ბლეიკის მიერ 1920 წლის 29 ივლისით დათარიღებული ჩანაწერი. ამ ჩანაწერში განმარტებულია, რომ ბიბლია მისი პირადი კოლექციიდან დროებით იყო გადაცემული ჰარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკისთვის. საბედნიეროდ, 2025 წელს ბიბლიამ კვლავ ჰარვარდში დაიდო ბინა.



ბლეიკი იყო ბრწყინვალე ბიზანტინოლოგი, კლასიცისტი და არმენოლოგი, ისევე როგორც ქართველოლოგი. მისი აკადემიური კარიერა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე დაიწყო, სადაც ჯერ - 1910–1912, ხოლო მოგვიანებით — 1914–1918 წლებში სწავლობდა. მისი მენტორი და მასწავლებელი მეტად წინააღმდეგობრივი ქართველი ფილოლოგი - ნიკო მარი (1864–1934) იყო, ხოლო გიორგი ჩუბინაშვილი, აკაკი შანიძე და ივანე ჯავახიშვილი მისი თანაკურსელები იყვნენ. ბლეიკი პოლიგლოტი გახლდათ და, მარის მსგავსად, სულ მცირე, 13 ენაზე შეეძლო კითხვა (თუმცა თავად აღნიშნავდა, რომ თავისუფლად მხოლოდ ოთხ ენაზე საუბრობდა). ბლეიკი ქრისტიანული აღმოსავლეთის სპეციალისტი იყო, თუმცა მისი ინტერესი ქართული ისტორიული ხელნაწერების მიმართ უნიკალური მოვლენა იყო აშშ-სთვის XX საუკუნის პირველ ნახევარში. ბლეიკმა მოახდინა კატალოგიზაცია, თარგმნა და ფირზე აღბეჭდა ასობით ქართული რელიგიური ნაწერი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უგულებელყოფილი იყო. მან იმოგზაურა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ესტუმრა ყოფილ ქართულ მონასტრებსა და სკრიპტორიუმებს იერუსალიმში, სინას უდაბნოში და ათონის მთაზე. ბლეიკმა გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ ქართული ტექსტების მოძიების, შენარჩუნებისა და გამოქვეყნების საქმეში, რომლებიც ხშირად ერთადერთ შემორჩენილ ვერსიას წარმოადგენდა და ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ენებზე მიუწვდომელი იყო. ბლეიკის საკუთარი ეგზეგეზები (განმარტებები) ქართულ რელიგიურ ტექსტებზე და მის მიერ გამოქვეყნებული კატალოგები (რომლებიც შეიცავს საქართველოდან და ახლო აღმოსავლეთიდან მოპოვებულ შუა საუკუნეების ქართული ტექსტების დეტალურ ჩანაწერებს), აშშ-ში ქართველოლოგიის საწყისს წარმოადგენს.

ბლეიკის ლექციები და სტატიები ავლენს ქრისტიანული აღმოსავლეთის სამონასტრო თემების სიღრმისეულ ცოდნას და იმ როლს, რომელსაც ქართველები ადრეულ შუა საუკუნეებში პალესტინისა და სხვა რეგიონების მრავალეთნიკურ და მრავალკონფესიურ მონასტრებში ასრულებდნენ. მისი ნაშრომები შუა საუკუნეებში ქართველი ბერების მომლოცველობებზე, ქართველი მწიგნობრების წარმომადგენლობაზე პალესტინის წმინდა საბას ლავრაში (მარ საბა), ისევე როგორც მისი კვლევები ათონელებისა და ტაო-კლარჯეთის სკოლის შესახებ (როგორებიც არიან გრიგოლ ხანძთელი და ჰიმნოგრაფი მიქაელ მოდრეკილი) წარმოადგენს ქართული ენის განვითარების მომხიბლავ ქრონიკას, რომელიც მე-12 და მე-13 საუკუნეებში გელათისა და იყალთოს დიდ ქართულ ფილოსოფიურ აკადემიებში აყვავდა.

ბლეიკმა დოქტორის ხარისხი ჰარვარდში

ტფილისის ფოტოები, 1905 წელი
(ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი)

1916 წელს მოიპოვა (დისერტაცია „კონსტანტინე [დიდის] და მისი მემკვიდრეების რელიგიური პოლიტიკა“), ხოლო 1918 წელს მან მიიღო იაფეტური არქეოლოგიის მაგისტრის ხარისხი პეტროგრადის უნივერსიტეტში. 1918 წლის მაისში, იმავე თვეში, როდესაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ბლეიკმა პეტროგრადი იმპერიული მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალური მისიით დატოვა. დავალებაში მითითებული იყო, რომ მას უნდა შეესწავლა „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ძეგლები თბილისის წიგნსაცავებსა და საქართველოს მონასტრებში“. 32 წლის ასაკში, სამოქალაქო ომისა და რევოლუციის ფონზე, ბლეიკმა იმოგზაურა დაღესტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ვლადიკავკაზამდე, შემდეგ კი გადაკვეთა საქართველოს საზღვარი არდონის ხეობით და ჩავიდა ცხინვალში. მან თავისი თავგადასავლები მოგვითხრო ჟურნალ Atlantic Monthly-ის სტატიაში, სახელწოდებით „ათი დღე ოსეთში“, რომელშიც აღწერა ის, თუ როგორ აიძულეს არყის დალევა, ისევე როგორც მისი სახიფათო მოგზაურობა მთის უღელტეხილების გავლით.

ტფილისი

ბლეიკი 1918 წლის ივლისიდან 1920 წლის მაისამდე მუშაობდა თბილისში — ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში. ეს საქართველოში ინტენსიური შემოქმედებითი და ინტელექტუალური საქმიანობის ხანა იყო. თბილისის უნივერსიტეტი 1918 წლის იანვარში დაარსდა (რასაც მისი ქართველი მენტორი, ნიკო მარი, ეწინააღმდეგებოდა). უნივერსიტეტმა სწრაფად მიიწვია ბლეიკის ყოფილი ქართველი კოლეგები პეტროგრადიდან. უნივერსიტეტის ახალ პროფესორებს საშუალება მიეცათ, იმპერიული ცენზურის მკაცრი კონტროლის გარეშე გამოეკვლიათ საქართველოს ისტორიული, ლინგვისტური და კულტურული ფესვები. გიორგი ჩუბინაშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და ივანე ჯავახიშვილი, რომელთაც ბლეიკი სანქტ-პეტერბურგში სწავლის პერიოდიდან იცნობდა, მოგვიანებით იმ ქართული სამეცნიერო აღორძინების გიგანტებად იქცნენ, რომელიც 1918 წლიდან მოყოლებული საბჭოთა პერიოდამდე გრძელდებოდა.

ბლეიკის ყურადღების ცენტრში მოექცა თბილისის იმ სამი უმთავრესი ხელნაწერის კოლექცია, რომლებიც ეკუთვნოდა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (დაარსებული 1879 წელს); „ეთნოგრაფიისა და ისტორიის საზოგადოებას“ (დაარსებული 1906 წელს) — რომელსაც სათავეში ედგა ექვთიმე თაყაიშვილი, ბლეიკის მასპინძელი თბილისში; და ქართლ-კახეთის სამღვდელოების მუზეუმს. ბლეიკის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული „მემუარები“ — „ბიზანტიის ძიებაში: ბიოგრაფია“, ბლეიკის სტატიებისა და მოგზაურობის ჩანაწერების კრებულია, რომელიც მისმა ვაჟმა, იგორმა, შეადგინა და რომელშიც სამივე კოლექციაა აღწე-

რილი. კოლექციები განთავსებული იყო უნივერსიტეტის ახალი შენობის ზედა სართულზე (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია) ვაკეში, თბილისის მაშინდელ გარეუბანში. ბლეიკმა თავი მიუძღვნა ამ მასალების გადაწერას, კომენტირებას, ფოტოგრაფირებასა და თარგმნას. ეს ახალგაზრდა მეცნიერისთვის, რომელმაც ახლახან დაასრულა ასპირანტურა, არაჩვეულებრივ მიღწევას წარმოადგენდა. 1921 წელს ბოდლეს ბიბლიოთეკაში (ოქსფორდი) წაკითხულ ლექციაზე ბლეიკი დეტალურად აღწერს ამ კოლექციებსა და კატალოგებს. მან გაიხსენა ექსპედიციები გელათის, მარტვილისა და მესტიის მონასტრებსა და ეკლესიებში,

კალისტრატე ცინცაძე
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

რომელთა მიზანი დედაქალაქის ფარგლებს გარეთ არსებული საეკლესიო და სამუზეუმო ხელნაწერების კატალოგიზაცია იყო. მისი ქართველი კოლეგების შეფასებით, ბლეიკის კატალოგები ნოვატორული ხასიათის იყო. კორნელი კეკელიძემ ბლეიკის მიერ შედგენილი იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის კატალოგი შეაფასა როგორც „ფასდაუდებელი“ ყველასთვის, ვინც ქართული ენის ისტორიით არის დაინტერესებული.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ბლეიკი მალევე ჩაერთო რესპუბლიკის ახალი ურბანული ელიტის ცხოვრებაში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა განათლებულ სასულიერო პირებთან, მათ შორის მამა კალისტრატესთან, რომელიც თავადაც ხელნაწერთა კოლექციონერი იყო. სწორედ კალისტრატემ აღასრულა ბლეიკისა და ნადეჟდა ნიკოლაევნა კრიჟანოვსკაიას ჯვრისწერის საიდუმლო 1920 წლის იანვარში, ქაშუეთის ეკლესიაში. 1932 წელს კალისტრატე საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს.

ბლეიკი ასევე ესწრებოდა ქართველი და რუსი მოდერნისტი პოეტებისა და მწერლების (მათ შორის პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძისა და იგორ ტერენტიევის) შთამბეჭდავ გამოსვლებს. იგი ქართველ ეთნოგრაფებთან, ისტორიკოსებსა და არქიტექტორებთან ერთად მონაწილეობდა ექსპედიციებში გორში, ხევსურეთსა და სვანეთში. 1918 წლის ოქტომბერში ბლეიკმა ინგლისური ენის სწავლება დაიწყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სადაც საგნების უმეტესობა, ძირითადად, რუსულ ენაზე ისწავლებოდა). 1919 წლის სექტემბერში ბლეიკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად დაინიშნა. ის ასწავლიდა ბერძნულ ენას და ქართულ ენაზე კითხულობდა ლექციებს ბიზანტიის ისტორიაზე.

ბლეიკი, როგორც საქართველოს პოლიტიკის მცოდნე, ბრიტანეთის 27-ე სალონიკის დივიზიის სამხედრო შტაბმა დაიქირავა, რომელიც 1918 წლის ნოემბერში, გერმანიის დამარცხების შემდეგ, ამიერკავკასიაში დისლოცირდა. იგი ამზადებდა ანგარიშებს საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ქვეყნის შიდაპოლიტიკური საკითხების შესახებ. თანამედროვე ქართული პოლიტიკის შეფასებისას ბლეიკი არ იყო ისეთივე ზუსტი და განსწავლული, როგორიც შუა საუკუნეების ხელნაწერთა შესწავლისას; იგი ხშირად სახელებსაც კი შეცდომით წერდა. მას სიმპათიები არ გააჩნდა მმართველი სოციალ-დემოკრატების მიმართ და პოლიტიკურად იმპერიული შეხედულებების მქონე იმ ევროპელი და ამერიკელი დიპლომატების მხარეს იჭერდა, რომლებიც საქართველოში 1918-1921 წლებში მოღვაწეობდნენ. მისი გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნებულ „მემუარებში“ გვხვდება დამცინავი შენიშვნები ქართველებისა და სომხების ხასიათის შესახებ. უილბერ პოსტმა —

თბილისში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა — 1918 წლის დეკემბერში ბლეიკთან ინტერვიუ ჩაწერა. ბლეიკის მოსმენის შემდეგ პოსტმა დაასკვნა, რომ ქართული სოციალიზმი „ბოლშევიზმთან მოსაზღვრეობდა“, ატარებდა „ამაზრზენ” მიწის რეფორმის პოლიტიკას და აგრესიული იყო მეზობლების მიმართ. ბლეიკი თავადის ქალ ელისაბედ ორბელიანთან ერთად მუშაობდა გაზეთზე „Georgian Messenger“, რომელიც ბრიტანული ჯარებისთვის განკუთვნილი ინგლისურენოვანი გამოცემა იყო.

მიუხედავად ამისა, 1919 წელს ბლეიკმა მხარდაჭერა გამოუცხადა გადარჩენისთვის მებრძოლ ამიერკავკასიის ქვეყნებს და წერილები გაუგზავნა აშშ-ის ექვსი უნივერსიტეტის პრეზიდენტს. ბლეიკი მოუწოდებდა მათ, მიებაძათ გერმანიის მთავრობის მაგალითისთვის, რომელმაც 1918 წელს გერმანიის უნივერსიტეტებში 300 ქართველი სტუდენტისთვის სტიპენდიების გამოყოფის ინიციატივა წამოაყენა. ეს იყო „რბილი ძალის“ გამოყენების ადრეული მაგალითი. ბლეიკმა წერილი მისწერა კალიფორნიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ბენჯამინ უილერს (კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლიში თავად ბლეიკის ალმამატერი იყო):

შეერთებული შტატების მიერ ომის დროს მოპოვებულ პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ მორალური თვალსაზრისითაც. ახლო აღმოსავლეთის ხალხების მზერა ამერიკისკენაა მიმართული; ისინი შეერთებული შტატებისგან არა მხოლოდ ეკონომიკურსა და მატერიალურ, არამედ მორალურსა და სამეცნიერო დახმარებასაც ელიან.

სამწუხაროდ, ეს დახმარება არ განხორციელებულა და აშშ-მა, თავისი ევროპელი მოკავშირეებისგან განსხვავებით, უარი თქვა დამოუკიდებელი საქართველოს როგორც დე ფაქტო, ისე დე იურე აღიარებაზე.

1919 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოვიდა ოლივერ უორდროპი, რომელიც ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისრად დაინიშნა. უორდროპი რამდენჯერმე შეხვდა ბლეიკს და ოქსფორდის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის შესახებ ლექციების წასაკითხად მიიწვია. უორდროპმა, რომელიც მტრულ გარემოცვაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლური მხარდაჭერის აქტიური მომხრე იყო, 1909 წელს, თავისი დის - მარჯორის გარდაცვალების შემდეგ, ოქსფორდში მარჯორი უორდროპის სახელობის კოლექცია დააფუძნა. ოლივერ უორდროპი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების თავდადებული კოლექციონერი იყო და რუსეთისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ, ევროპაში, ქართული მასალების ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექცია შექმნა.

ბლეიკმა მხარდაჭერა გამოუცხადა გადარჩენისთვის მებრძოლ ამიერკავკასიის ქვეყნებს და წერილები გაუგზავნა აშშ-ის ექვსი უნივერსიტეტის პრეზიდენტს. ბლეიკი მოუწოდებდა მათ, მიებაძათ გერმანიის მთავრობის მაგალითისთვის, რომელმაც 1918 წელს გერმანიის უნივერსიტეტებში 300 ქართველი სტუდენტისთვის სტიპენდიების გამოყოფის ინიციატივა წამოაყენა.

1920 წლის ზაფხულში ბლეიკი ჰარვარდში ინსტრუქტორის პოზიციაზე დაბრუნდა. 1921 წელს მან უორდროპის მიწვევა მიიღო და გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში, რათა ოქსფორდის უნივერსიტეტში წაეკითხა ექვსი ლექცია საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ლიტერატურისა და ენის შესახებ. ლექცია თემაზე — „ქართული პატრისტიკული ლიტერატურა: მისი წყაროები, რესურსები და შესაძლებლობები“ — წარმოადგენდა მსოფლიოს მასშტაბით დაცული ქართული ხელნაწერების დეტალურ მიმოხილვას. ბლეიკმა აღნიშნა, რომ ყველაზე მდიდარ კოლექციას რუსეთი ფლობდა და განთავსებული იყო სანქტ-პეტერბურგის (პეტროგრადის) საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკასა და აზიურ მუზეუმში.



საშოგლოში დაბრუნება

1920 წლის ზაფხულში, აშშ-ში დაბრუნების შემდეგ, ბლეიკმა სწრაფად გაითქვა სახელი, როგორც ქართველოლოგმა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიკოსმა. მან და მისმა მეუღლემ ფირზე აღბეჭდეს ათასობით გვერდი ქართული კოლექციებიდან (მისი მეუღლე საქართველოში იმყოფებოდა 1921 წლის აგვისტოდან 1922 წლის აგვისტომდე, რუსეთის საბჭოთა წითელი არმიის მიერ ოკუპაციის პირველ თვეებში). ჯამურად, ბლეიკმა და მისმა მეუღლემ ქართული ხელნაწერებისა და დოკუმენტების 5000-ზე მეტი ფოტოასლი დაამზადეს.

1928 წელს ბლეიკი ჰარვარდის უიდენერის (Widener) ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა, ხოლო 1930 წელს იმავე უნივერსიტეტის ისტორიის სრული პროფესორი გახდა. ბლეიკი აგრძელებდა მიმოწერას ქართველ კოლეგებთან, უზიარებდა მათ შენიშვნებს, წიგნებსა თუ ოჯახურ ამბებს. 1935 წლამდე ბლეიკს მიმოწერა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან (ჯავახიშვილი, რომელიც 1936 წელს დაგმეს ისტორიის შესახებ მისი ანტიმარქსისტული ხედვების გამო, 1940 წელს გარდაიცვალა). ჯავახიშვილმა ბლეიკს ჰარვარდის ბიბლიოთეკის კოლექციისთვის გაუგზავნა თავისი შედევრების - „ქართველი ერის ისტორიისა“ და „ქართული სამართლის ისტორიის“ -ეგზემპლარები.



1930-იან წლებში ბლეიკი ერთ-ერთი პირველი ამერიკელი მეცნიერი იყო, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ აშშ-ის მთავრობასა და სამეცნიერო წრეებს აღმოსავლეთის ენებისა და კულტურებისათვის მეტი ყურადღება დაეთმოთ. ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში ბლეიკს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი, როგორც ქართველოლოგის, მემკვიდრეობა ასახულია არა მხოლოდ მის გამოქვეყნებულ ნაშრომებში ქართული რელიგიისა და ლიტერატურის შესახებ, არამედ ქართული საეკლესიო ლიტერატურის მისეულ სისტემურ კატალოგებშიც. ბლეიკის ჰარვარდის უიდენერის ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშვნამდე, ჰარვარდის ჰოუტონის ბიბლიოთეკამ შეიძინა ქართული საეკლესიო ტექსტების ძვირფასი კოლექცია, მათ შორის ორი მნიშვნელოვანი ქართული ილუმინირებული ხელნაწერი — XI საუკუნის ქართული „თვენი“ (რომელიც ამჟამად ვაშინგტონში, დამბარტონ ოუქსში ინახება) და XII საუკუნის ოთხთავი (სახარება). ჰოუტონის (Houghton) ბიბლიოთეკაში ასევე ინახება 1629 წელს ვატიკანის მიერ საქართველოში კათოლიკური მისიებისთვის დაბეჭდილი ორი ტომი — ქართული ანბანი და ორენოვანი ლოცვანი, ასევე ქართულ-იტალიური ლექსიკონი. უიდენერის (Widener) ბიბლიოთეკის დირექტორის პოსტზე ყოფნისას, ბლეიკმა ხელი შეუწყო ჰარვარდის უნივერსიტეტში აშშ-ში ერთ-ერთი უმდიდრესი ქართული მასალების კოლექციის შექმნას, რომელიც მოიცავს ქართული ტექსტების ფოტოასლებს, რომლებიც მან და მისმა მეუღლემ 1919-1922 წლებში გადაიღეს.

გარდაცვალება და მემკვიდრეობა

რობერტ ბლეიკი 1950 წელს 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ის მუშაობდა წინასწარმეტყველთა წიგნების ძველ ქართულ ვერსიებზე იერუსალიმისა და ათონის კოლექციებიდან. ბლეიკმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა აშშ-ში ქართველოლოგიის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. ის ხაზს უსვამდა ქართველების განსაკუთრებულ როლს ქრისტიანულ აღმოსავლეთში საეკლესიო ლიტერატურის შენარჩუნებასა და განვითარებაში. მისმა სამეცნიერო მოღვაწეობამ სტიმული მისცა ქართველოლოგიურ კვლევებს ამერიკაში იმ დროს, როდესაც საბჭოთა საქართველო დასავლურ მეცნიერებას სრულად მოწყვეტილი იყო. 2022 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა ქართველოლოგიის პროგრამას — ეს რობერტ ბლეიკის მიერ ქართული ისტორიისა და ლიტერატურის კვლევაში გაწეული ინოვატორული შრომის ღირსეული დაფასებაა.

პროფესორი სტივენ ჯონსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის, საქართველოს კვლევების პროგრამის დამფუძნებელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის პროფესორი

გივი თარგამაძე

ფიცის მწამს, ბოლო მაკვირვებს

სიმართლე თავის გზას ყოველთვის გაიკვლევს და სიმართლე უზრუნველყოფს რეჟიმის გასამართლებას. გასამართლებას არა მხოლოდ აქ, დანაშაულის ჩადენის ადგილზე, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშეც. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მრავალგვარი იქნება - როგორც სისხლის სამართლებლივი, საპატიმრო, ისე ფინანსური, მათთვის ყველაზე მტკივნეული და მორალურიც, რაც ალბათ, ყველაზე ნაკლებად ადარდებთ, მაგრამ მაინც.

გომელაურმა, ალბათ უკვე სიმწრით იდაყვზე იკბინა, ნახა რა თავისივე მიცემული ინტერვიუ, სადაც თავგამოდებით ამტკიცებს, დარბევებზე ყველა ბრძანებას მე ვიძლეოდიო, მათ შორის, წყალში გაზის შერევისო. მაშინ ამ თავგამოდებას ქვეშევრდომთა უფროსის იმიჯით ფუთავდა და ასე ყიდდა. სინამდვილეში კი, როგორც ყოველთვის, რეალურ მმართველს, ბატონ ბიძინას, ეფარებოდა, რადგან ეს ბრძანებაც, როგორც ყველა სხვა, სწორედ მისგან მოდიოდა. როგორც გავრილოვობისას ფოსტალიონმა ჩუბინიძემ აახლა ხარებას პატრონის დეპეშა - გახარია დააიგნორე, ჩადი და გადაუარე მაგათ, თავი არ შეიზღუდო, ბოლომდე გამხეცდი, ყველაფერი გამოიყენე და ისე მოექეცი, როგორც შენს პირად, ყველაზე დაუძინებელ მტერს მოექცეოდიო - ახლაც ისევე უბრძანა - ის შხამები რომ გაქვს (და ყოველთვის ზუსტად იცის, ვის, სად, რა აქვს) ახლა მაგის დროა, მიასხი ყველას, არ დაგენანოს, ჩააცალე რამდენსაც შეძლებ, არავინ დაინდო და, ფულის გარდა, მედლებსაც ჩამოგირიგებთო.

გავრილოვის ღამეზე სტრასბურგმა თავისი განაჩენი უკვე გამოაქვეყნა და დაადასტურა დანაშაული - წამება და ძალის გადამეტება დემონსტრაციების დაშლისას. BBC-ის ფილმში გაჟღერებული დანაშაულის განაჩენის დროც მოვა.

თუ ვინმეს ჰგონია, ახლა გომელაურს გადაუგდებს და გამოძვრება - ეს ეტაპი უკვე გავლილია. ამერიკიდან ბატონი ბიძინაა დასანქცირებული, რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებისთვის და ეს მხოლოდ დასაწყისია. გომელაური კი უკვე რა ხანია, სულაც მაგნიტსკის სიაშია გამომწყვდეული და იქ ერთხელ შეყვანა საკმარისია, მეორედ აღარ ჩაიბარებენ.

ეს გაზი, ნაცებისგან ნაყიდი, მეურნეობაში დამხვდაო - გომელაურმა. ანუ, კონკრეტულად, ზუსტად ხსენებული ქიმიური აგრეგატი, დიახაც, გვქონდაო. ყოჩაღ, ხუთიანი. ეს ერთი ეტაპი მაინც საძიებელ-სამტკიცებელი აღარაა. იმათ, რომ შეიძინეს, გამოიყენეს? როგორც ჩანს, არა, თორემ, ხომ გამოიძიებდით, ჩვენც გაგვაგებინებდით და მათაც დასჯიდით, არა?

კარგი. თვითონ შესყიდვა შეცდომა იყო თუ დანაშაული? ეგ არ გამოიძიეთ? ვახ, როგორ გამოგრჩათ? თუ სულმა წაგძლიათ, თქვით, მოდი ახლა ამ ამბავს ნუ ავაწრიალებთ, ჩამოწერა-უტილიზაციით ნუ დავკავდებით, იყოს ეს აქ, ხომ იცით, ოჯახი ხრამია, რა იცით, როდის გამოგვადგესო. და „გამოგადგათ“.

გამოყენების წესშიც იმხილა თავი გომელაურმა - წერია, ასეთ შხამზე კია არა, ჩვეულებრივზეც - გამოყენება შეიძლება, თუ ბავშვები და ორსულები არ არიანო. რეალურად,

ეგ ჩანაწერი ნიშნავს, განურჩევლად ყველას ნუ მიაფრქვევთო, თორემ ამდენ ხალხში ბავშვი სად გამოერევა, რას შეამჩნევ, და ვერც ორსულობის ტესტით იმუშავებთ.

წერია, რომ განსაკუთრებით აგრესიულებს, რომლებიც დანაშაულს სჩადიან, გამოყოფილად, მათ შეიძლება დაუპირისპირო. ოღონდ, ისიც, ჩვეულებრივი გაზი. არა ეს. ეს აკრძალულია - ნიშნავს, რომ არანაირ ვითარებაში არ შეიძლება. არ შეიძლება, რადგან საშიშია. ბუნებრივია, ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს, მაგრამ რისკ-ფაქტორების მატარებლებზე, ასეთი კი ბევრია, ისე მოქმედებს, რომ მხოლოდ მყისიერ ზიანს კი არ აყენებს, შეიძლება გრძელვადიანი, სიცოცხლის ბოლომდე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ინვალიდად აქციოს, ან, სულაც, რაღაც დროის შემდეგ სიცოცხლეც მოუსწრაფოს.

შემდეგ ე.წ. პრემიერმა წყალში გაზს ვურევდითო, მაგრამ რომელსო - ამაშია საქმეო. კეთილი, მოვინიშნოთ - ურევდნენ ქიმიურ აგრეგატს დასახელებით „ამაშია საქმე“. გნებავთ, რჩევას მოგცემთ. „ვერმიცანა“ ჩავწეროთ. იუმორის თქვენეულ აღქმას უფრო შეესაბამება.

ბოლოს მიხვდნენ, რომ აიბურდნენ და სუსის ბრიფინგის წინა დღეს საქართველოს რეალურმა მმართველმა, ბატონმა ბიძინამ, თავის სათამაშო პრემიერს საკუთარი ნება გადასცა - BBC ფილმსა და წყალში გაზის გარევაზე საუბარი დასრულდესო, თან, როგორც ყოველთვის, არ მიუთითებია - როგორ. ჩემი ვარაუდით, შემოუთვალა - მაგათ (ხალხს) გადაეცი, ეს კინო დამთავრდა. სათამაშომაც პირდაპირ გადმოგვცა - უნდოდათ სკანდალი, მაგრამ, სკანდალი არ შედგაო. თითქოს ეს შელოცვა გაბრაზებულ ხალხს და დაზარალებულ ადამიანებს ჯადოსნურად გააქრობდა.

მეორე დღეს სუს-ის უფროსად წოდებულმა თათარიახლად აბდაუბდად შეკოწიწებული დასკვნა მიაშველა, რომელმაც ეჭვები და კითხვები საგრძნობლად გაამრავლა და ისიც დასძინა, ვინც არ შეეშვებით, დაგიჭერთო. მერე ისევ სათამაშო პრემიერმა დაასვა ბეჭედი - ეს გამოძიება დასრულდა, მას აღარ მივუბრუნდებით, თემა ამოიწურაო. არ სიამოვნებს ბატონს და ნუღარ შეაწუხებთო. დამაჯერებლობისთვის აქციის ნებისმიერი ფორმის ამკრძალავი კანონების ახალი პაკეტიც დააწიეს გზაში.

ამას ჰქვიან - რა გითხრათ, რით გაგახაროთ?! ერთი ეს პაკეტი აღმოფხვრის აქციებს და მეორე ის დასკვნა ამოწურავს თემას. საქოცეთში - კი ბატონო. მაგრამ სამყარო საქოცეთზე განუსაღვრელად დიდია და სამყარომ ზუსტად 100 წლის წინ მოაწერა ხელი პირველ შეთანმებას ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ და, რაც მთავარია, ნებისმიერი გამოყენების აკრძალვაზე.

გასაგებია, რომ ბატონი ბიძინა ყოველი შემდგომი გადაწყვეტილებით ცდილობს, შეძლებისდაგვარად უკან დაგვწიოს - ზოგით 10 წლით, ზოგით - 30-ით, 100-ით, საბოლოოდ კი უნდა, ზეზვასა და მზიას ეპოქამდე დაგვაჩოჩოს, სადაც ანთროპოლოგიური მახასიათებლების ხარჯზე ტომის ბელადობის ყველაზე მეტი შანსი აქვს. მაგრამ ეგ, საბედნიეროდ, მხოლოდ მისი ოცნებაა და რეალურ სამყაროში განხორციელება არ უწერია.

რაც შეეხება გამოძიების თემას, ის, არათუ არ ამოწურულა, ახლა იწყება, აუცილებლად აკრეფს სვლას და გარდაუვლად მივა შედე-

გამდე - ბატონი ბიძინას და მისი სათამაშოების პასუხისმგებლობამდე.

მათ, ალბათ, არც იციან, რომ წინა საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე პატიოსანი მოსამართლის, პროკურორის, საბაჟო მოსამსახურის, აგენტის ერთობლივმა ძალისხმევამ დაუკავშირა ერთმანეთს სამხრეთ ამერიკა, კარიბის აუზის ოფშორული კუნძულები, შვეიცარია, სიცილია, ზოგადად ევროპა, მესამე ქვეყნების ყველაზე მსხვილი ბანკი, მისი პაკისტანელი მფლობელი და მსოფლიო მასშტაბის მაფიის ყველაზე ჩახლართული ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა.

ამ გამოძიებას მხოლოდ ერთი სამხილის - ფულადი გადარიცხვის ქვითრების - მრავალწლიანი სკრუპულოზური მიდევნება ედო საფუძველად. „მისდიე ფულს“ - იყო ამ გამოძიების სლოგანი, რომელიც მატეო ფალკონეს ეკუთვნოდა, კაცს, რომელმაც ამ გამოძიებას სიცოცხლე შესწირა, მაგრამ, მაინც გაიმარჯვა.

მას შემდეგ მსოფლიო და პატიოსანი გამომძიებლები გაცილებით შორს წავიდნენ, ქოცები კი საბჭოთა კავშირიდან ოპერირებთ და ამ ჭიდილში შანსი გაქვთ ნული. როგორც მიხვდით, რომ შესყიდვის დოკუმენტის უარყოფას აზრი არ აქვს, სულ რომ ჩაწვდებით, რომ კვალს ვერ წაშლით, მასე ნელ-ნელა მიხვდებით, რომ პასუხს ყველა შემთხვევაში აგებთ.

გაზის ამბავმა ყველას ბუნებრივად აღუძრა მოგონებები 9 აპრილზე და ამ მოგონებებში მკვეთრი სხვაობა შარშანდელთან - მაშინ საბჭოთა საქართველოს მილიციელები, როგორც შეეძლოთ, ყველა ხერხით ეხმარებოდნენ მოქალაქეებს მომხვდურთა ძალადობის წინაშე. დღევანდელი მილიციელები კი თავად იყვნენ მომხვდურები.

არცაა გასაკვირი, ბატონიბიძინი, ხომ სწორედ იმ მომხვდურთა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის დახმარებით აღზევდა იმ სტატუსამდე, რომელიც დღეს აქვს. მაშინ გაზის მფრქვეველები გენერალ ლებედის ბრძანებებს ასრულებდნენ. ივანიშვილმა წლების შემდეგ მისი საარჩევნო კამპანია დააფინანსა. ლებედის ნახევარ ციმბირში გაგუბერნატორობის შემდეგ კი ჯილდოდ იქაური ერთ-ერთი მსხვილი ალუმინის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი მიიღო უფასოდ.

უკვე პუტინობისას, როგორც თავისიანს, სწორედ ეს აქტივი გააყიდინეს ნაღდ ფასად, 3 მილიარდ დოლარად და ის იქცა ოლიგარქად. ფაქტობრივად უკვე მკვდარმა ლებედმა წარსულიდან დღევანდელობაში იმ ჩერიომუხაზე და ორლესულ ნიჩბებზე ბევრად საზიზღარი სასჯელი გამოგვიგზავნა თავისი კაციჭამიებით, ფულებით და ახალი გაზებით.

მაშინ საბჭოთა მთავრობიდან ხალხის პატივისცემა და სიყვარულიც კი დაიმსახურა ჯანდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ექიმთა სრულმა ერთიობამ? დღეს? ჯანდაცვის მინისტრი ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმიტომაა, რომ სხვამ არავინ მოინდომა (ცუდი წინათგრძნობა ჰქონდათ ეტყობა), ამას კი დედა ჰყავს ექიმი. მას ჰიპოკრატეს ფიცი არ დაუდია. იურისტია. სამაგიეროდ, მას დადებული აქვს ადვოკატის ფიცი, რომელიც მკაფიო სამოქალაქო პოზიციასაც გულისხმობს. ამ პოზიციაზე ის ხალხის მიერ დაქირავებული მოხელეა და არა ბიძინას ადვოკატი, როგორადაც პოზიციონირებს.

არადა, საადვოკატო წარსულზე, რომ შეეკითხო, თავს მოიწონებს იმით, რომ რეჟიმის მსხვერპლებს იცავდა. ოღონდ ცხრაწლიანის, პირსისხლიანის. ახლა რამ გაუსქელა შუბლი? ფულმა? თანამდებობამ? ორივემ? როგორც ჩანს, ორივემ და ესეც ჩაიწერება. მისი პოზიცია სამარცხვინოცაა და ამაზრზენიც. გმირობა შეეძლო? თეორიულად - კი. პრაქტიკულად - არანაირად, რადგან პატარა კაცია, ასეთებს კი გმირობამდე არ მიესვლებათ.

იმ „ექიმებზე“, გიჟებივით რომ გამოცვივდნენ და წივილ-კივილით, არცერთ არგუმენტს არ მივიღებთო, აპრავეს ძალადობა, ბევრს არც ვისაუბრებ. სადამს ჰყავდა კარის ექიმები, ასადსაც. საბჭოთა მთავრობებს - რამდენიც გინდათ. მათ მიმართ ერთია საჭირო - სამედიცინო საზოგადოებამ არ უნდა ითაკილოს, თავისი სახელი დაარქვას - რეჟიმის ექიმები და ასეთებად გააცნოს ისინი ყველას აქაც, სამშობლოში, და საზღვრების გარეთაც. მათ არ უნდა იწვევდნენ არცერთ

საერთაშორისო კონფერენციაზე, სხვა ღონისძიებებზე. შემთხვევით თუ მოხვდებიან ასეთზე, გვერდზე მსხდომნი უნდა ადგნენ, გაეცალონ და მიუთითონ, როგორც პროფესიულ კეთროვნებზე. არ მოერიდონ მათს მხილებას, ყოველნაირად იმსახურებენ, მთელი ცხოვრება შხამიანი გაზით აქოთებული რუსთაველის სუნი ასდიოდეთ.

მოკლედ, ამათთან ყველაფერი გასაგებია და მათზე, როგორც ზემოთაც ვთქვი, დიდხანს შეჩერება არ ღირს. უფრო მეტ ბრაზს და მიუღებლობას ისინი იწვევენ, ჩუმად რომ არიან, გაყურსულები. ჩაბუდებულები. ოღონდ მათს კეთილდღეობას არ შეექმნას საფრთხე, დაგაზულ ფულებსაც ლამაზად მოახმარენ ოჯახებს. პირად საუბრებში მეპროტესტეებთან - მთავრობის ძალადობით აღშფოთებას გამოხატავენ მოგუდულად, ქოცებთან - მეპროტესტეების თავგასულობით, უფრო ომახიანად. პროფესიულ ეთიკას, პასუხისმგებლობას, მკურნალის ვალდებულების სტატუსებიც უნდა შეინარჩუნონ და ალბათ შეინარჩუნებენ კიდეც. იციან, კოლეგებს გაუჭირდებათ მათი დამუნათება, წესიერი კოლეგებს, სწორედ თავისი წესიერების გამო. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელდება ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მათ კომფორტის ზონიდან გამოიყვანენ.

ერთი კითხვა მაქვს თქვენთან, ქალბატონო და ბატანო მდუმარე ექიმებო, ტოქსიკოლოგებო, ქიმიკოსებო - თქვენთვის ვინაა იდეალი? ის არსება, ტელევიზორში რომ თქვა, ჩემთვის მთავარია ნაჭამი ვიყოო? აშკარად თავი მოგაქვთ მნიშვნელოვან ტიპებად, მაგრამ მისგან არაფრით განსხვავდებით. საერთოდ არაფრით. არ გაგიკვირდეთ არცერთხელ, ჩემი სიტყვა სადაც დაგხვდებათ წინ. ახლა შეგიძლიათ ჩაიცინოთ, რა შეგიძლიაო, მაგასაც ნახავთ, რა. აუცილებლად ნახავთ.

ახლა ასეთ რეალობაში ვცხოვრობთ, სადაც აპრიორი ცარიელ შენობაში გამთენიას ბენზინის მხოლოდ მომსხმელი ელისაშვილი ყველაზე მკაცრი რეჟიმის ციხეში ზის ტერორიზმის ბრალდებით, და რეციდივისტი ტერორისტი კი აქ, უფრო მსუბუქში, ჩემს არალეგიტიმურ კომისიაზე არმიმსვლელის ცოტა ქვემოთ. სრული აღრევაა, მაგრამ ბოლოს დალაგდება, დაიწმინდება, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ყველას მიეზღვება თავისი დანაშაულის მიხედვით. ■



თენგო გოგოტიშვილი

დრონების გადაფრენის სეზონი

„ქაოსის ექსპორტი შემთხვევითი არაა, ასე უყურებს რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობებს. მზად უნდა ვიყოთ, რომ პუტინი ასე გააგრძელებს, სანამ იძულებული არ იქნება, გადახედოს გეგმებს“. –

ბლეიზ მეტრეველი, ბრიტანული დაზვერვის (MI6) მეთაური

იმ დღეს ჩემს თავზე რაღაც გასკდა. ზუსტად თავს ზემოთ. ნაცნობი ხმებიდან ეს ხმა ყველაზე მეტად აფეთქებისას ჰგავდა. ჭურვის აფეთქებისას.

მაგრამ არ მოჰყოლია დარტყმის ტალღა. არავინ მომკვდარა, ცეცხლი და ბუღი არსად ავარდნილა.

თქვენ ახლა ამის კითხვაზე დაახლოებით იმდენივე დრო დახარჯეთ, რამდენიც მე მაშინ - ამაზე ფიქრზე. და ტყუილად რომ აღარ მოგაცდინოთ - ეგ ბგერის ხმა “გამსკდარა”. იტალიის საჰაერო ძალების ფ-35-ისა, რომელმაც იმ დღეს მაინცდამაინც ჩემს თავზე გადალახა ხმის სიჩქარის ბარიერი, რასაც ყოველთვის ასეთი ტალღა ახლავს თან. ოღონდ, როგორც წესი, პილოტები ამას დასახლებებისგან მოცილებით და გარკვეულ სიმაღლეზე აკეთებენ ხოლმე. მაშინ კი, რა ვიცი, იტალიელ მფრინავს რა სისხლი აუდუღდა, მოკლედ, „დამიმიზნა“.

ამბავი ლატვიაში ხდება. პატარა ზღვისპირა ქალაქში, რომლის ცაც რამდენიმე დღით ნატოს საბრძოლო ავიაციის საწვრთნელ სივრცედ იქცა. იტალიელთა ფ-35-ების გარდა, ის დღეები ძალიან დაბლა დაფრინავდნენ ესპანური „ეუროფაიტერები“ და უნგრული „გრიპენები“.

დაფრინავდნენ? უფრო დაშხუილებდნენ.

ეს შხუილი არის პასუხი რუსი პროპაგანდისტებისა და მათი ფასიანი თუ უფასო რუპორების საყვარელ კითხვაზე - „აი, რას იზამს ნატო, პუტინმა რომ დაარტყას?“

ნატო, საერთოდ, ვინაა?

ნატოა მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს ტერიტორიაზე სვალბარდიდან (რუსები რომ შპიცბერგენს უწოდებენ) კრეტამდე და ტარტუდან ალიასკამდე (ოღონდ, როცა გლობუსს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ აბრუნებთ). მცირედი გამონაკლისებით.

ნატოა ჩემი შვილები, რომლებიც ლატვიაში რამდენიმე კვირის წინ სკოლაში მივიყვანე და შორიდანვე თვალში მეცა მანათობელი სირენების რაოდენობა. ჯერ ვიფიქრე, ვიღაც ცუდად გახდა და სასწრაფო გამოიძახეს-მეთქი. მაგრამ, ახლოს რომ მივედი, სასწრაფო დახმარების, პოლიციის, სახანძრო მანქანებთან ერთად სკოლის ეზოში დამხვდა ჯავშანტრანსპორტიორიც - სკოლაში იმ დღეს ორი გაკვეთილი უსაფრთხოებას მიეძღვნა და ბავშვებს მოუყვანეს ტექნიკა და ადამიანები, რომლებმაც ეს უსაფრთხოება უნდა უზრუნველჰყონ.

უბრალოდ სცადეთ - შედით ლატვიის თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე და ნახეთ ბროშურები საერთო სათაურით „რა გავაკეთოთ კრიზისის პირველ 72 საათში/3 დღეში“.

მრავალთაგან ერთი დრონების თავდასხმის სცენარს განიხილავს: რუკაზე ნაჩვენებია ქვეყნის რეგიონები, სადამდეც შეიძლება მიაღწიონ რუსულმა დრონებმა (იმედია არ გაგიჩნდებათ კითხვა, რატომაა განხილული მხოლოდ რუსეთის შეტევის სცენარი). მოცემულია ყველაზე საშიში დრონის, ირანული „შაჰედის“ (რუსულად „გერანი“) ტექნიკური მახასიათებლები.

- რა უნდა ვქნათ?

- უნდა შევატყობინოთ პოლიციას და შეძლებისდაგვარად შემოვსაზღვროთ ტერიტორია.

- რა არ უნდა ვქნათ?

- არ უნდა შევეხოთ.

პირადად მე ყველაზე მეტად ეს ნაწილი მომწონს - გაფრთხილება, რომ ნებისმიერი ცნობა ლატვიის ხელისუფლების კაპიტულაციის შესახებ აპრიორი „ფეიკი“ იქნება. „ნატოს მოკავშირეებთან ერთად ჩვენ დავიცავთ ყოველ თქვენგანს!“ „არ ითანამშრომლო აგრესორთან“.

ლატვიელებს ასეთი ბროშურების იდეა ჰაერიდან არ გასჩენიათ. შვედებმა, მრავალი წლის წინ, ჯერ კიდევ ყრუდ ნეიტრალურები რომ იყვნენ, დაიწყეს მსგავსი სახელმძღვანელოების ბეჭდვა და მოქალაქეებისთვის ფოსტით დაგზავნა. ნეიტრალურები კი იყვნენ, მაგრამ საფრთხეს ყოველთვის გრძნობდნენ.

9 სექტემბერს რუსეთმა მართლა მიიტანა შეტევა ნატოზე - პოლონეთის საჰაერო სივრცეში შეფრინდა ორი დუჟინი დრონი. ქვეყნის რამდენიმე აეროპორტი რამდენიმე საათით დაიხურა.

პოლონეთის მთავრობის განცხადებით, მათ ჩამოაგდეს 4 დრონი. დანარჩენები, უნდა ვივარაუდოთ, თავად ჩამოცვივდა, როცა საწვავი ან აკუმულატორის მუხტი ამოეწურათ.

ამდენი თვეა, რუსული პროპაგანდისთვის ეს ამბავი ლამის 1945 წელს ბერლინის აღებას უტოლდება. დიდ გამარჯვებად ასაღებენ და ძალიან იფხანენ გულს, რომ ძლევამოსილმა ნატომ მათ შეტევას ვერაფერი დაუპირისპირა.

ოღონდ, ნაბიჯ-ნაბიჯ, წუთობრივად გარჩეული ეს ამბავი რადიკალურად განსხვავებულად ჩანს.

1. დრონების გაშვება უკრაინელმა სამხედროებმა ჯერ კიდევ რუსეთისა და ბელარუსის საჰაერო სივრცეში დააფიქსირეს. სამწელიწადნახევრიანმა ბრძოლამ კარგად ასწავლა მფრინავი ობიექტების ამოცნობაცა და საბოლოო სამიზნის განსაზღვრაც.

2. ამ გამოცდილებით უკრაინელებმა პოლონელებს წინასწარ შეატყობინეს, რომ დარტყმის ერთ-ერთი შესაძლო სამიზნე მათი ტერიტორია იყო.

3. გაფრთხილება ისეთი დროული იყო, რომ პოლონელებმა მოასწრეს ჰაერში ავიაციის აწევა და საჰაერო თავდაცვის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა.

4. დრონებს, რომელთაც გადაკვეთეს პოლონეთის საჰაერო საზღვარი, შეხვდნენ პოლონური ფ-16-ები და ნიდერლანდური ფ-35-ები, ხმელეთიდან კი ისინი მიზანში ჰყავდა გერმანულ „პეტრიოტის“ სისტემებს.

5. რაკი გამანადგურებელ თვითმფრინავს მცირე მოცულობის ავზები აქვს და, როგორც წესი, 1 საათზე მეტი ფრენისთვის არ ჰყოფნის, მათთან ერთად ჰაერში იყვნენ ბელგიური საჰაერო ტანკერები - ფრენისას საწვავის შესავსებად. პარალელურად კი - იტალიური მზვერავი თვითმფრინავები სრული კონტროლისთვის.

6. ამგვარად, რუსულ შეტევას პოლონეთმა კი არა, მთელმა ნატომ უპასუხა თავისი წინასწარ დამტკიცებული სამოქმედო პროტოკოლით, რომელსაც მის ენაზე Quick Reaction Alert ჰქვია.

ამ ყველაფერზე კრემლის პროპაგანდისტები, რა თქმა უნდა, არ საუბრობენ. მათთვის უფრო მომგებიანია ყვირილი, რომ რუსული დრონები დაუბრკოლებლად შევიდნენ ნატოს საჰაერო სივრცეში, რომელმაც მხოლოდ 4 მათგანის განადგურება შეძლო. შეფარდება 4 დრონი 23-იდან (ზოგი შეფასებით - 19-დან) მართლაც უცნაურად ჩანს. სანამ კალკულატორს არ ჩართავ. ან ქვეშმიწერით არ იანგარიშებ:

დრონის ფასი, მით უფრო, თუ მარტივი კამერითაა აღჭურვილი და არ აქვს საბრძოლო მუხტი, 300-დან 1000 დოლარამდეა. ფ-16-ის ფრენის ერთი საათის ფასი 25 ათას დოლარამდეა, ფ-35-ისა კი - 42 ათასამდე. "პეტრიოტის" თითო რაკეტა 4 მილიონი დოლარი ღირს. „ჰაერი-ჰაერის" ტიპის რაკეტა, რომელსაც გამანადგურებელი ისვრის, ღირს 400 ათასიდან 1 მილიონ დოლარამდე.

ჰოდა, დათვალეთ ახლა, რა ხარჯი აიცილა ნატომ იმით, რომ ყველა დრონი ცალ-ცალკე არ ჩამოყარა. „ჩამოვყარეთ ისინი, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენდნენ" - პოლონეთის მთავრობის ეს განცხადება კიდევ ადასტურებს, რომ კარგად ხედავდნენ და წინასწარ ანგარიშობდნენ დრონების ტრაექტორიასაცა და რუსის განზრახვასაც.

რამდენიმე დღეში რუსებმა ნატოს საჰაერო თავდაცვა ესტონეთისკენ გამოსცადეს. სამი მიგ-31 12 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა მის საჰაერო სივრცეში. მათთვის არავის არაფერი უსვრია, რამაც კრემლის პროპაგანდას, დაწყებული სოლოვიოვითა და დამთავრებული მოროშკინათი, კიდევ ერთხელ შეასხა ფრთები. ოღონდ შემდეგ ნატომ ახსნა, რა იყო მიზეზი. რუსებმა კარგად გათვალეს და იფრინეს ბალტიის ზღვის თავზე ზუსტად ესტონეთისა და ნეიტრალური საჰაერო სივრცის ზღვარზე. რამდენიმე ასეული მეტრის დარღვევით. „მიგებისთვის" რაკეტა რომ ესროლათ და მოერტყათ, პილოტებს დარჩებოდათ დრო, თვითმფრინავები ნეიტრალურ საჰაერო სივრცეში გადაეყვანათ და შემდეგ ეძახათ, რომ ნატო მათ უმიზეზოდ დაესხა თავს, რის პასუხადაც რამეს ჩაიდენდნენ.

იგივე მოხდა ათი წლის წინ სირიის ომშიც, როდესაც თურქებმა თავის სივრცეში ესროლეს, მაგრამ „არათურქულ" ზონაში ჩამოაგდეს რუსული სუ-25.

ყველა ეს შემთხვევა გაკვეთილია. სწავლობს რუსეთი. სწავლობს ნატო.

ნატოში გაწევრიანების დღიდან ბალტიის სახელმწიფოების ცას ალიანსი იცავს. მორიგეობით, რამდენიმეთვიანი როტაციით, ლიეტუვისა და ესტონეთის აეროდრომებზე ერთმანეთს ენაცვლებიან მოკავშირე ქვეყნების ესკადრილიები. მათ თავიანთი „დღიურებიც" აქვთ. აი, სულ რამდენიმე დღის მუშაობის შედეგი:

● 13 ოქტომბერს ნატოს გამანადგურებლებმა აღმოაჩინეს და „გააცილეს" რუსული ილ-20 (სადაზვერვო თვითმფრინავი), რომელიც საერთაშორისო საჰაერო სივრცეში კალინ-

ინგრადის რაიონში დაფრინავდა გამორთული ტრანსპონდერითა და რადიოთი. ეკიპაჟს არ გაუგზავნია ფრენის წინასწარი შეტყობინება ფრენების რეგიონული ცენტრისთვის;

● 14 ოქტომბერს ნატოს გამანადგურებლებმა აღმოაჩინეს და „გააცილეს“ რუსული ილ-20, რომელიც კალინინგრადიდან დედა-რუსეთში მიფრინავდა საერთაშორისო სივრცის გავლით. ისევ გამორთული ტრანსპონდერითა და წინასწარი შეტყობინების გარეშე. თუმცა დისპეტჩერებთან ამჯერად რადიოკონტაქტი მაინც ჰქონდა;

● იმავე 14 ოქტომბერს ნატოს გამანადგურებლები ასწიეს ჰაერში სუ-30-ის გადასაჭერად, რომელიც კალინინგრადთან ახლოს, საერთაშორისო საჰაერო სივრცეში, დაფრინავდა გამორთული ტრანსპონდერითა და რადიოთი, წინასწარი შეტყობინების გარეშე;

● 15 ოქტომბერს ნატოს გამანადგურებლები ააფრინეს სუ-30სმ-ის გადასაჭერად, რომელიც კალინინგრადთან ახლოს, საერთაშორისო საჰაერო სივრცეში, დაფრინავდა. ასევე გამორთული ტრანსპონდერითა და რადიოთი, წინასწარი შეტყობინების გარეშე.

„სულ უფრო მეტს საუბრობენ, რომ ნატო არ დაეხმარება ბალტიის ქვეყნებს რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში. ამას ითვალისწინებთ?“ - ვკითხე ლატვიური არმიის გაერთიანებული შტაბის უფროსს, გენერალ გეორგს კერლინსს.

- ამას იმ დღიდან ამბობენ, როცა ნატოში გაწევრიანება გადავწყვიტეთ.

გენერალი კერლინსი მართალია. რუსული პროპაგანდა, რა ენაზეც უნდა მეტყველებდეს ან წერდეს, პირველივე დღიდან გაჰყვირის, რომ ბრიტანელებს ან იტალიელელებს ცალ „ბატინკზე“ ჰკიდიათ შორეული ბალტიური ქვეყნების უსაფრთხოება. „ჩვენთვის არავინ იომებს“ - უნდათ, რომ რუსეთის ყველა მეზობელი ასე ფიქრობდეს.

„ვითვალისწინებ იმას, რომ ლატვია ასრულებს ყველა სამოკავშირეო ვალდებულებას, ესე იგი, მოკავშირეებიც შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს“ - გენერალ კერლინსს აქვს მაგალითი, რომელიც რუსულ პროპაგანდას რიხს გვარიანად უკარგავს. ლატვიაში, ისევე როგორც ლიეტუვაში, ესტონეთსა და პოლონეთში, 2017 წლიდან ნატოს „მოწინავე განთავსების“ სამხედრო ძალებია განლაგებული.

ეს იყო 2014-ის გაკვეთილი. როცა მთელმა ნატომ გაიგო, რომ აღმოსავლელი წევრები არ პანიკიორობდნენ და არ აბუქებდნენ, როცა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ამტკიცებდნენ, შემდეგი ჩვენ ვიქნებითო.

მაშინ გადაწყდა რუსეთთან სახმელეთო საზღვრის მქონე ყველა წევრ სახელმწიფოში გაერთიანებული ბატალიონების განთავსება. უფრო სიმბოლურად. რუსს რომ წინასწარ სცოდნოდა - ამ პატარა ქვეყანას თუ დავარტყამ, გამოდის, რომ უნდა ვესროლო კიდევ 5 ან 10 ქვეყნის სამხედროს. ეს კი მართლა მთელ ნატოსთან ომია.

გაკვეთილი 2022-საც ჰქონდა. ასეთივე მრავალეროვნული შენაერთები განთავსდა უკვე უკრაინის მეზობელ ნატოს ქვეყნებში. ოღონდ გადაწყდა, რომ ახალიცა და უკვე არსებული ძალებიც ბატალიონიდან ბრიგადამდე გაიზრდებოდა. ლატვიაში ნატოს ბრიგადა განთავსებულია დედაქალაქიდან 25 კილომეტრში, ადაჟის სამხედრო ბაზაზე.

- ადაჟიში უცხოური კონტინგენტი უფრო სიმბოლურია თუ რეალური ძალაა შესაძლო აგრესიის შემთხვევაში?

გენერალი კერლინსი: **„ორივე ერთად. იქ ახლა 14 ქვეყნის სამხედრო მსახურობს და, რა თქმა უნდა, ეს კარგი სიმბოლოა. მაგრამ, ამავე დროს, ძალიან ბრძოლისუნარიანი შენაერთია. დამიჯერეთ, საქმეში მინახავს“.**

რა საბუთი გვაქვს, არ დავუჯეროთ? ლატვიისთვის, რომლის არმიაც სულ 7.900 სამხედროსგან და 10.000 მოხალისე „ზემესარძისგან“ (ჩვენებურად, ეროვნული გვარდია) შედგება, სრული ბრიგადის

დამატება კიდევ 4 ათასამდე ჯარისკაცსა და ოფიცერს ნიშნავს. სხვისი სამხედრო ბიუჯეტიდან.

წამყვანი ძალა აქ კანადისაა - ბრიგადის მეთაური ამ ქვეყნიდან ინიშნება და, როტაციით, ერთი კანადური ბატალიონი მუდამ ადგილზეა. ლიეტუვაში ამ ფუნქციას გერმანია ასრულებს, ესტონეთში - ბრიტანეთი. პოლონეთში - აშშ.

მაგრამ მთავარი ცვლილება ბატალიონიდან ბრიგადამდე ზრდა არაა. ლატვიას მთავარი სიახლე ორი აქვს - თავდაცვითი ბიუჯეტის ზრდა 5 პროცენტამდე (ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ამ გადაწყვეტილებას ნატოს ბოლო სამიტი მიიღებდა) და გაწვევის აღდგენა.

გაწვევა ამ პატარა არმიების მქონე ქვეყნებში იგივე არაა, რაც საბჭოთა კავშირში - საყოველთაო. მაგრამ, ამ თუ იმ ფორმით, ყველა ვალდებულია, დადგეს აღრიცხვაზე და, ხშირად, მომზადებაც გაიაროს.

რეგიონების ქვეყნებიდან, გაწვევა უკვე მოქმედებს ლიეტუვაში, ესტონეთში, ფინეთსა და ნორვეგიაში. შვედურ სისტემას „ნაწილობრივ სავალდებულო სამსახური ჰქვია“ - სათანადო ასაკის ნებისმიერი ვაჟი ან გოგონა შეიძლება გამოიძახონ.

გამონაკლისი ჯერჯერობით პოლონეთია, თუმცა მისი პროფესიული არმია ყველაზე დიდია (მე-13 ადგილზე მსოფლიოში) - 300.000 სამხედრო პლუს 350.000 რეზერვისტი, პრემიერი ტუსკი კი ღიად მოუწოდებს სავალდებულო სამსახურის სისტემაზე გადასვლას.

სხვათა შორის, იმავეს ცდილობს გერმანიის თავდაცვის მინისტრი პისტორიუსიც. იქაურ პოლიტიკოსებში ეს იდეა ჯერჯერობით მყარი უმრავლესობის მოწონებით ვერ სარგებლობს, მაგრამ, საკმარისი იქნება, რუსმა კიდევ რამე ჩაიდინოს და ეს განწყობა შეიცვლება.

პოლონეთი და გერმანია სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემებით თქვენ წარმოიდგინეთ. ან, რა ვიცი, წიგნებში მოძებნეთ ისტორიული პარალელები.

მოკლედ, ეს ის არაა, რაც რუსს უნდა უნდოდეს. სიტყვა „უნდა“ ხაზგასმული შემთხვევით არ არის. ლოგიკურად არ შედის რუსის ინტერესში, რომ გერმანელებში, პოლონელებში, „ბალტებში“, „ნორდიკებში“ ტევტონური, რეჩპოსპოლიტური, ვიკინგური ან ძველპრუსიული სული გააღვიძოს. და წარსულის ყველა ამ აჩრდილს, უკვე გაერთიანებულს, მარტო დაუხვდეს. ოღონდ, ხანდახან ისე ჩანს, რომ სწორედ ამას ცდილობს.

აბა, სხვანაირად არ შექმნიდა ვითარებას, რომ შვედეთი და ფინეთი, ბევრი ფიქრისა და საზოგადოებრივი დისკუსიის გარეშე, ნატოში შეცვენილიყვნენ.

სხვანაირად არ დაუშვებდა ვითარებას, რომელსაც ნატომ იძულებით უპასუხა სამხედრო ხარჯების ზრდით მშპ-ს 5%-მდე. აქედან 3.5% უშუალოდ სამხედრო ხარჯი უნდა იყოს, 1.5% კი - სამხედრო მიმართულების კვლევები, კიბერუსაფრთხოება, სამოქალაქო თავდაცვა და სხვა.

სხვანაირად არ აიძულებდა ევროკავშირს, სერიოზულად დაეწყო თავდაცვით ალიანსად ქცევა. და ევროკავშირის პირველ თავდაცვის კომისრად დაენიშნა ქართველებისთვის ძალიან კარგად ნაცნობი ანდრიუს კუბილიუსი. ჰო, აი, ის კაცი, ბობოლა ქოცებმა რომ მოისაკლისეს ბოლო თვეებში, სად დაგვეკარგა, ეტყობა მიხვდა, რომ მართლები ვართ და ვეღარ გვაკრიტიკებსო - მაგ კუბიულისს ევროპის 27 სახელმწიფომ თავდაცვის ერთიანი პოლიტიკა ჩააბარა. ზუსტად მაგას.

კომისარი კუბილიუსი, რომელსაც ზარქუასა და ოხანაშვილის დონის პოლიტიკური ფალავნები კბენდნენ ერთ არაპოლიტიკურ ადგილას, ახლა მუშაობს გეგმებზე, რომლებიც 2030 წლამდე სასწრაფოდ იქნება გასაკეთებელი.

„ეს არის ბოლო ვადა, რომელიც გვაქვს, სანამ რუსეთი ჩვენს ერთ ან რამდენიმე ქვეყანას დაესხმება თავს“ - ამაზე სრულიად სერიოზულად საუბრობენ არა მხოლოდ კულუარებში და არა მხოლოდ მარგინალები. კუბილიუსი წყაროდ გერმანიის დაზვერვის

ხელმძღვანელს ასახელებს, რომელიც ასეთ გადამოწმებულ ინფორმაციას ფლობს.

2025 წლიდან ნატომ ბალტიის ზღვაში უკვე წამოიწყო მუდმივი ოპერაცია „Baltic Sentry“ („ბალტიის გუშაგი“). ამოცანა წყალქვეშა ინფრასტრუქტურის დაცვაა. ამ საქმისთვის ალიანსის ქვეყნების 10 ხომალდი მორიგეობით პატრულირებს ზღვაში, მათ კი თვითმფრინავები და დრონები ეხმარებიან.

„ნატოს სურს, მაქსიმალურად შეზღუდოს რუსეთის ტვირთის გადაზიდვა ბალტიის ზღვით“, უთხრა მარია ზახაროვამ РИА Новости-ს. „ევროპის ეს ნაწილი კონფ-რონტაციის ზონა გახდა, რაც შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანებით კიდევ უფრო მწვავე პრობლემად იქცა“.

ნატო არ იზამს, იზამს ევროკავშირი.

ნოემბერში ევროკომისიამ „სამხედრო შენგენის“ პროექტი წარადგინა. ბლოკის წევრ ქვეყნებს მშვიდობიან პერიოდში ექნებათ 3 დღე, რათა თავიანთ გზებზე გაატარონ სხვა ქვეყნების არმიები. და მხოლოდ 6 საათი -საგანგებო ვითარების გამოცხადებისას.

პრაქტიკულად - სანამ ეშელონი პორტუ-გალიური ტანკებით ესპანეთის საზღვარს გადაკვეთს, მას უკვე ექნება ფორმალური ნებართვა, გაიაროს საფრანგეთიც, გერმანიაც, პოლონეთიც, ლიეტუვაც, ლატვიაცა და ესტო-ნეთიც.

ევროკავშირის მიმდინარე 7-წლიან ბიუჯე-ტში სამხედრო მობილობის მუხლით 1.7 მილიარდი ევროა გათვალისწინებული. შემდეგ ციკლში კი, რომელიც 2028 წლიდან დაიწყება, სრული 18 მილიარდი.

პროექტზე მუშაობისას გამოავლინეს 500 პრობლემური მონაკვეთი - სუსტი ხიდები, ვიწრო გვირაბები, უხერხული გზები, რომელთა შეკეთებასაც 100 მილიარდი დასჭირდება. მაგ ფულსაც ვიპოვნითო, სჯერათ ბრიუსელში.

ბევრ სუსტ წერტილს აერთიანებს პოლო-ნეთისა და ლიეტუვის სარკინიგზო ხაზების შეერთება, რომლებიც დღემდე სხვადასხვა სტანდარტზე რჩებიან. უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს „Via Baltica“-ს ჩქაროსნული ხაზის მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც 3 ბალტიურ ქვეყანაში „ევროპულ“, ვიწრო, რელ-სებს აგებენ.

“План был”-ო, რომ აღარ თქვას შემდეგ პუტინმა გამარჯვებული სახით, როგორც 2012 წლის აგვისტოში აღიარებდა საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყების მზადებას 2006 წლიდან.

„წელიწადზე მეტია, უკრაინაში დრონების ომია და, სანამ პოლონეთში არ შეფრინდა რუსული დრონები, ევროპაში ცოტა თუ აღი-არებდა, რომ ასეთი საფრთხეებისთვის მზად არ ვიყავით“ - ამბობს დღეს კუბილიუსი.

„პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები აძ-ლევენ დასავლეთს საშუალებას, აქციოს ისინი მორიგ პოლიგონად უკრაინის შემდეგ“, - ამ ფრაზის ავტორს სამი მცდელობით გამოიცნობთ? „**არანაირი სხვა სტატუსით ისინი დასავლეთს არ სჭირდება. რა, გერმანიას სურს საკუთარ მიწაზე ომი? არა! ჩვენ მათ მუდამ ყელში ვეჩხირებით. თუ ლიეტუვას, ლატვიას, ესტონეთსა და პოლონეთს უნდათ, ისევ გაქრნენ მსოფლიო რუკიდან, ეს მათი არჩევანია“.**

ეს ჭვრეტა და სიბრძნე, რომელიც თავის-უფლად შეიძლება ეკუთვნოდეს პოლიტიკურ ინტელექტუალთა მთელ კოჰორტას, ყაველა-შვილით დაწყებული და დასრულებული რამინა ბერაძით, ამჯერად ლუკაშენკოს ეკუთვნის. ასეთია დასაბუთება „შიდა ბაზრისთვის“, რატომ აირჩია პუტინის მხარე და როგორ „იბრძვის გადარჩენისთვის“.

არადა, კრემლისტურ პროპაგანდაში სულ უფრო მყარად იმკვიდრებს ადგილს მოთხოვნა - **“Уничтожить нахрен прибалтику... Стереть с лица земли”,** რომელიც ამჯერად ვლადიმერ სოლოვიოვს ეკუთვნის. მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ:

ა) რუსეთში გიჟიც არაა თავისუფალი;

ბ) სოლოვიოვი გიჟი არაა - სახელმწიფო მანქანის ნაწილია.

მაშინ სწორია თუ არა კითხვა - „რას უნდა ელოდნენ ბალტიის ქვეყნები? რას უნდა ელოდეს პოლონეთი? ფინეთი?“

არა, სწორი ასეთი კითხვაა: „როდის უნდა ელოდნენ და სად?“.

„ყველაზე მაღალი რისკის ზონაში ლიეტუვაა. რუსეთი, შესაძლოა, შეეცადოს, იქ დაიწყოს შეტევა ნატოზე“ - ამბობს გენერალი დევიდ პეტრეუსი, რომელიც, სამხედრო კარიერის შემდეგ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორადაც მსახურობდა.

ოქტომბრის ბოლოს გასაჯაროვდა 10 დღით ადრე ესტონურ ბაზა რიდოსთან მომხდარი ამბავი, სადაც რუსეთის მხრიდან მოფრენილი ორი დრონი ჩამოაგდეს. მათი ნარჩენები ვერ იპოვნეს - ვარაუდობენ, რომ ქაობში ჩაცვივდა. რიდოსზე, ესტონური არმიის დანაყოფთან ერთად, განთავსებულია აშშ-ს მე-3 ქვეითი დივიზიის დანაყოფიც, რომელიც, ეჭვგარეშეა, ძალიანაც აინტერესებს რუსეთს.

უფრო ადრე კი, ესტონეთ-რუსეთის საზღვრის მონაკვეთზე, რომელსაც „სააცეს ჩექმას“ უწოდებენ, გამოჩნდა რუს სამხედროთა ჯგუფი - სავარაუდოდ, 20 კაცამდე.

ეს ამბავი რამდენიმე დღით არა მხოლოდ ესტონური, არამედ სრულიად ბალტიური საინფორმაციო სივრცის მთავარ ამბად იქცა. მოეწყო საპარლამენტო განხილვა მინისტრების დაბარებებითა და თავდაცვისთვის დამატებითი დაფინანსების შეთავაზებით.

ამას დაემთხვა ტალინში ფინეთის საპარლამენტო დელეგაციის სტუმრობა, რომლის წამყვან თემადაც სამხედრო თანამშრომლობა იქცა. კერძოდ, ორივე ქვეყანა აპირებს, გამოვიდეს ოტავის კონვენციიდან (ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ) და, სანამ ამას იურიდიულად გააფორმებს, დაიწყოს მზადება ასეთი ნაღმების საწარმოებლად, საყიდლად და განსათავსებლად.

ამჯერად, ალბათ, აღარ დაგჭირდებათ სამი მცდელობა, რომ გამოიცნოთ, რომელ საზღვრებზე ჩადებენ ამ ნაღმებს.

ამის გარდა, აღმოჩნდა, რომ ფინეთს ნატოში გაწევრიანების „ფაციფუცში“ გამორჩა მნიშვნელოვანი ამბავი - საზღვარგარეთ საკუთარი სამხედრო ავიაციის გამოყენების წესი. და ახლა, როცა ესტონეთს დასჭირდა, ძმები და ბიძაშვილები ვერ დაეხმარნენ. ეს აკრძალვაც სასწრაფო წესით ექნება გასაუქმებელი ფინეთის პარლამენტს.

ოტავის კონვენციის ამბავი აქ არ მთავრდება. ხელშეკრულებიდან უკვე გამოვიდნენ ლატვია და ლიეტუვა, ახლა იმავეს აპირებს პოლონეთი. თუ ვინმე იკითხავთ, რა აკრძალვები და პატიოსნების თამაში მოგინდათ, როცა რუსეთი გყავთ მეზობლადო, ცამდე მართლები იქნებით.

ზედმეტი კეთილშობილებაც არ ვარგებულა.

„ჩვენ მათთან - არა, ისინი კი ჩვენთან უკვე ომის მდგომარეობაში იმყოფებიან“ - ევროპაში აშშ-ს არმიის ყოფილმა სარდალმა ბენ ჰოჯესმა ყოველთვის იცის, მარტივად და გასაგებად როგორ აღწეროს ვითარება.

შობა დღეს 1 წელი შეუსრულდა ამბავს, რომელსაც დიდი შანსი აქვს, მესამე მსოფლიო ომის ისტორიის პირველ ფურცლებზე ჩაიწეროს. რუსეთის „ჩრდილოვანი ფლოტის“ ტანკერმა „Eagle S“, რომელსაც ქართველი კაპიტანი დავით ვადაჭკორია მეთაურობდა, ღუზით გაგლიჯა ბალტიის ზღვის ფსკერზე გადებული მაღალი ძაბვისა და ინტერნეტის კაბელები, რომლებიც ფინეთსა და ესტონეთს აკავშირებდა.

ტანკერი ფინურმა პოლიციამ რამდენიმე კვირით დააკავა. კაპიტან ვადაჭკორიას, მის სომეხ და ინდოელ თანაშემწეებს აუკრძალა ქვეყნიდან გასვლა. თუმცა ჰელსინკის სასამართლომ სექტემბერში დაადგინა, რომ დანაშაული მის კომპეტენციას სცილდება, რაკი ფინეთის ტერიტორიული წყლების გარეთ მოხდა.

როგორც რუსები იტყოდნენ, „Гримасы де-

мократии” და, ცოტა არ იყოს, მართლები იქნებოდნენ, მაგის ჯანი არ იყოს!

ბრალდებულები გაათავისუფლეს. ახლა, გრიმასების გაგრძელებად, კაბელების მფლობელი კომპანიები ზარალის ანაზღაურებას გემის მფლობელებისგან ცდილობენ. თუმცა ძალიან საეჭვოა, რამეს გახდნენ - „Eagle S” რეგისტრირებულია გაერთიანებულ ემირატებში აზერბაიჯანელი ქალის კუთვნილი კომპანიის მიერ და დაცურავს კუკის კუნძულების დროშით.

ზუსტად წლისთავზე, ზუსტად შობას, 2025 წლის 25 დეკემბერს, სატვირთო გემმა „ფიტბურგმა“ დააზიანა კაბელი ბალტიის ზღვაში. გემი ისევ რუსეთიდან მოდიოდა. ეკიპაჟი უმთავრესად რუსებისგან შედგებოდა. დაუმიზნა და გაგლიჯა იგივე კაბელი - „ისტლინკ 2“. და ისევ - ღუზით. გემი ფინეთის პოლიციამ 31 დეკემბერს დააპატიმრა და გამოძიება დაიწყო.

ეს არაა დამთხვევა. ეს ომია. გამოუცხადებელი.

„კრემლი გვაკვირდება და ცდილობს გაარკვიოს, რამდენად არის მზად შეერთებული შტატები, რამდენად არიან მზად ევროპელები“, აჯამებს გენერალი ჰოჯესი. **„კი გამოვაცხადეთ 5%-იანი ბიუჯეტი სამხედრო ხარჯებისთვის, მაგრამ, სანამ ეს რეალურ შესაძლებლობებად გარდაიქმნება, დრო გავა. ასეთი ამბები სულ მოხდება. და, თუ არ ვუპასუხებთ, (თავდასხმა) მხოლოდ გახშირდება“.**

ნეტავ ნატოს დედაქალაქებში უსმენდნენ გენერალ ბენ ჰოჯესს ისე, როგორც უსმენენ მოსკოვში - 2026 წლის იანვარი დაიწყო პოლონეთის საზღვრის სიახლოვეს, ლვივის ოლქში, რუსული ბალისტიკური რაკეტის, „ორეშნიკის“ შეტევით.

თანმდევი ფაქტები:

● პოლონეთის სეიმმა დადგენილებით მოითხოვა ვარშავაში განლაგებული რუსული საელჩოს სხვაგან გადატანა. დღეს საელჩო თავდაცვის სამინისტროს გვერდითაა და, სეიმის აზრით, საფრთხეს წარმოადგენს.

● 19 ნოემბერს ლატვიის სამხედრო ხომალდმა ბალტიის ზღვის საერთაშორისო წყლებში გადაიჭირა რუსული ბუქსირი «Нина Соколова», რომელიც ადრეც იყო შემჩნეული სადაზვერვო მოქმედებაში. სხვათა შორის, ნინა სოკოლოვა, ვის სახელიც ჰქვია გემს, საბჭოთა კავშირის პირველი მყვინთავი ქალი იყო.

● ლატვიაში სერიოზულად განიხილავენ რუსეთთან დამაკავშირებელი რელსების აყრას - მტრის არმიამ რომ რკინიგზით ვერ შეძლოს ტვირთებისა და პირადი შემადგენლობის ტრანსპორტირება.

● შვედეთის თავდაცვის სამინისტრომ მთავრობას მიმართა, რუსული საფრთხის გამო 2026 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შორი - 2.000 კილომეტრის რადიუსის, ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტების შეძენის თანხა. სტოკჰოლმიდან მოსკოვამდე 1.200 კილომეტრია.

● ნოემბერში პოლონეთის რკინიგზაზე აფეთქება მოაწყვეს რუსეთის დაქირავებულმა უკრაინელებმა. ამის პასუხად რკინიგზის დასაცავად პოლონეთი 10 ათას სამხედროს შეკრებს.

● 2025 წელს ევროკავშირის სამხედრო ხარჯი 400 მილიარდ ევროს შეადგენს - ორჯერ მეტს, ვიდრე რუსეთის სრულმასშტაბიან ინტერვენციამდე უკრაინაში 2022 წელს.

● ევროკავშირი უახლოეს 10 წელიწადში თავდაცვაზე 3.4 ტრილიონ ევროს დახარჯავს.

● 2026 წლის გაზაფხულზე 155-მილიმეტრიანი ჭურვების პირველ პარტიას დაამზადებს გერმანული “Rheinmetall”-ის ქარხანა, რომელიც ლიეტუვაში შენდება.

● ლიეტუვა იწყებს შვედური CV90 ჯავშანმანქანების აწყობას და, გერმანულ “Rheinmetall”-თან ერთად, Leopard 2A8 ტანკების შესყიდვას.

● ლატვიამ დაასრულა რუსეთის საზღვარზე 280-კილომეტრიანი ღობის შენება.

● ესტონეთს დაგეგმილი აქვს, რუსეთთან საზღვრის სიახლოვეს 600 გამაგრებული პუნქტი მოაწყოს. მათგან 2025 წელს 28 უკვე აშენდა.

● ლიეტუვის სამხედრო ხარჯი 2026 წელს მშპ-ს რეკორდულ 5.4%-ს მიაღწევს.

● ლატვიის მოქალაქეთა შორის გაწვევის სრულ აღდგენას მხარს ლატვიურენოვანთა (ეთნიკურ ლატვიელთა) 71% უჭერს. რუსულენოვანთა 67.5% - ეწინააღმდეგება.

● პოლონეთი იწყებს დრონებისგან დამცავი სისტემების შესყიდვასა და განთავსებას, რაც 2 მილიარდ ევროზე მეტი ეღირება. ხარჯს უმთავრესად ევროკავშირი დაფარავს. ■

ქეთი ქურდოვანიძე

პეტრეს დილემა

„გულში დიდი ეჭვი ჩაუვარდა. ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო — რაში ტყუვდება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა. სწორედ გითხრათ, პირველში მოტყუებას, უფრო ჰთაკილობდა მისი გული: აბა თვალთმაქცობამ ტყუილი მართლად როგორ უნდა მაჩვენოს ამ დროულ კაცსაო. და მართალი-კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი; მაგას როგორღაც უფრო ადვილად ჰყაბულდებოდა ჩვენი პეტრე.“

ასე ფიქრობს ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ერთ-ერთი პერსონაჟი, ხნიერი პეტრე, რომელიც მოედანზე ადამიანის ჩამოხრჩობის საყურებლადაა მისული, თუმცა არ სჯერა, რომ სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ესწრება, მოედანზე მომხდარი თეატრალური წარმოდგენა ჰგონია და ამ აზრს იქ შეკრებილი მხიარული და მოფუსფუსე ხალხის ჩვეულებრივი, ყოველდღიური გუნება-განწყობაც უმაგრებს. თუმცა პეტრე ბოლომდე არც ამაშია დარწმუნებული, რომ რასაც ხედავს, თვალთმაქცობაა.

ასე დგება პეტრე დილემის წინაშე - თუ ეს თვალთმაქცობაა, მაშინ, რატომ ჰგავს ასე სიმართლე, და თუ ეს სიმართლეა, მაშინ რატომ ჰგონია თვალთმაქცობა? აი, ამ კითხვას ვერ უძებნის პასუხს „ჩვენი პეტრე“, სამაგიეროდ იცის, რა ურჩევნია - თვალთმაქცობა სინამდვილედ მიიღოს და შერცხვეს თუ ის, რაც ტყუილი ჰგონია, სიმართლე აღმოჩნდეს, ამიტომაც შერცხვენას სიმართლის უარყოფას ამჯობინებს.

„პეტრეს დილემის“ განზოგადებით ილია ჭავჭავაძე ქმნის არა ინფანტილურ პერსონაჟს, არამედ -„ინფანტილურ მოქალაქეს“, როგორც სოციო-კულტურულ ტენდენციას, რომელიც დღესაც ცოცხალი და აქტუალურია.

სიმართლისა და ტყუილის გარჩევა, აი, რა არის მოთხრობაში პეტრეს პრობლემა, ჩვენს დღევანდელობაში კი - ამაყი ქართველისა, რომელიც შიშობს, რომ სიმართლემ შესაძლოა მისი პიროვნება ჩამოშალოს, ამიტომ სიმართლის უარყოფა პეტრესთვის იქცევა თავდაცვის ფორმად, ხოლო ტყუილის მიღება - ფსიქოლოგიურ კომფორტად. სიმართლე კარგავს მნიშვნელობას, რადგან ის ემოციურად არ შეესაბამება მის მიერ აღქმულ რეალობას, ტყუილი კი რეალობად აღიქმება, რადგან ის არ ეწინააღმდეგება პეტრეს სიმართლეს, მის პირად ილუზიას. რაც უფრო აშკარაა ეს რეალობა, მით უფრო ძლიერი ხდება მისი უარყოფის სურვილი. პეტრე ყველაზე მეტად მაშინაა დარწმუნებული, რომ წარმოდგენას უყურებს და არა ადამიანის სიკვდილით

სიმართლისა და ტყუილის გარჩევა, აი, რა არის მოთხრობაში პეტრეს პრობლემა, ჩვენს დღევანდელობაში კი - ამაყი ქართველისა, რომელიც შიშობს, რომ სიმართლემ შესაძლოა მისი პიროვნება ჩამოშალოს, ამიტომ სიმართლის უარყოფა პეტრესთვის იქცევა თავდაცვის ფორმად, ხოლო ტყუილის მიღება - ფსიქოლოგიურ კომფორტად. სიმართლე კარგავს მნიშვნელობას, რადგან ის ემოციურად არ შეესაბამება მის მიერ აღქმულ რეალობას, ტყუილი კი რეალობად აღიქმება, რადგან ის არ ეწინააღმდეგება პეტრეს სიმართლეს, მის პირად ილუზიას. რაც უფრო აშკარაა ეს რეალობა, მით უფრო ძლიერი ხდება მისი უარყოფის სურვილი.

დასჯას, როდესაც სახრჩობელაზე შემზარავად იკლაკნება მომაკვდავი: „დილამდი რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ“, - ამბობს პეტრე, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ეჭვდება - „იქნება მართლა ჩამოარჩეს!“.

მერყევ მოქალაქეს ამ კითხვებზე პასუხი არ გააჩნია, ამიტომაც ცდილობს პასუხისმგებლობა მუდმივად სხვას დააკისროს, თავის ფიქრებზე პასუხი სხვებისგან მიიღოს.

პეტრეს გარშემო მოფუსფუსე, მოლაპარაკე, მოცინარი და მოვიშვიშე ხალხი ის სოციალური და პროპაგანდისტული წნეხია, რომელიც დღეს ადამიანებს სინდისის უკანასკნელ ნიშნებს უკვალოდ უქრობს და იმ სარჩობელაზე რუსული რეჟიმის მომაკვდინებელი განაჩენის თანამონაწილედ აქცევს. და ასე ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ თუ შეცდომას აღიარებს, გამოვა, რომ თურმე 14 წელი ტყუილს ებღაუჭებოდა, ამიტომ ურჩევნია რეალობაზე უარი თქვას და ოცნებაში გააგრძელოს ცხოვრება.

პეტრეს, რომელსაც თითქოს სჯერა, რომ თეატრალურ წარმოდგენას უყურებს, დასტური მაინც გარეშე პირებისგან სჭირდება, მოხუცისთვის მათი აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთრი განსჯა და სინდისის კარნახი, რომელიც ეუბნება, რომ ადამიანის ჩამოხრჩობის ყურება უკიდურესი ამორალობაა. პეტრეს გარშემო მოფუსფუსე, მოლაპარაკე, მოცინარი და მოვიშვიშე ხალხი ის სოციალური და პროპაგანდისტული წნეხია, რომელიც დღეს ადამიანებს სინდისის უკანასკნელ ნიშნებს უკვალოდ უქრობს და იმ სარჩობელაზე რუსული რეჟიმის მომაკვდინებელი განაჩენის თანამონაწილედ აქცევს. და ასე ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ თუ შეცდომას აღიარებს, გამოვა, რომ თურმე 14 წელი ტყუილს ებღაუჭებოდა, ამიტომ ურჩევნია რეალობაზე უარი თქვას და ოცნებაში გააგრძელოს ცხოვრება.

რეალობის აღმის პრობლემას ქმნის სუსტი განსჯის უნარი და, აქედან გამომდინარე, მუდმივი შიში, რომ არ მოტყუვდეს. ეს მენტალური დამოკიდებულება დღესაც ცოცხალია. ინფანტილური ადამიანები ცდილობენ მოერგონ კოლექტიურ ემოციურ სტანდარტს და ჯიუტად უარს ამბობენ თვითგანსჯაზე, რადგან ინფანტილური მოქალაქის წარმოსახვითი რეალობა ფაქტებს კი არ ეფუძნება, არამედ კოლექტიურ ნარატივებს, რომელებიც მას ემოციურად ამშვიდებს.

თუ პეტრე ინფორმაციულად მიბმულია მოედანზე შეკრებილ ხალხთან, მის თანამედროვე პროტოტიპს სოციალური ქსელები, პროპაგანდისტული მედია, იდეოლოგიური კლიშეები უყალიბებს რეალობის განცდას.

პეტრეს დილემის ყველაზე ძნელად გადასაჭრელი საკითხია პასუხისმგებლობის აღება. ამიტომაც ურჩევნია, ეჭვი ჰქონდეს, ვიდრე რამეს გაარკვევს, ტყუილი სიმართლედ მიიჩნიოს, საკუთარი შეცდომის მიმართ ლოიალური იყოს. ეს ინფანტილური თავდაცვითი მექანიზმია, რადგან ასეთ მოქალაქეს არ გააჩნია მყარი მორალური კრიტერიუმები, ის სიტუაციური მორალის მიხედვით ცხოვრობს. მაგალითად, მისთვის უსიამოვნო ფაქტია ადამიანის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ის მაინც ესწრება ჩამოხრჩობის სცენას, რადგან ამაზე ირგვლივ არავინ რეაგირებს.

სიტუაციური მორალი, ერთი მხრივ, იცავს მას სინდისის ქენჯნისგან, მეორე მხრივ კი, არ ავალდებულებს საკუთარი შეცდომის აღიარებას.

პეტრე „დროულ კაცად“ თვლის თავს, ალბათ, მიაჩნია, რომ გამოცდილი, გამჭრიახი, გონიერი ადამიანია და თუ ის თვალთმაქცობას სიმართლედ მიიღებს, მაშინ მისი თვითშეფასება ჩამოიშლება, მისი ჭარმაგობა განსჯისა და დაცინვის საგნად იქცევა, თავად

პეტრეს დილემის ყველაზე ძნელად გადასაჭრელი საკითხია პასუხისმგებლობის აღება. ამიტომაც ურჩევნია, ეჭვი ჰქონდეს, ვიდრე რამეს გაარკვევს, ტყუილი სიმართლედ მიიჩნიოს, საკუთარი შეცდომის მიმართ ლოიალური იყოს. ეს ინფანტილური თავდაცვითი მექანიზმია, რადგან ასეთ მოქალაქეს არ გააჩნია მყარი მორალური კრიტერიუმები, ის სიტუაციური მორალის მიხედვით ცხოვრობს.

კი მოტყუებული დარჩება. ამიტომაც ურჩევნია, ზღაპარი მოიგონოს და დაიჯეროს, ვიდრე საკუთარი ავტორიტეტი ეჭვქვეშ დააყენოს.

სწორედ ეს არის ცრუ ნეგატივისადმი ტოლერანტობა ანუ სიმართლის გაყალბება, რაც სრულ კომფორტს უქმნის „ინფანტი-

ლურ მოქალაქეს“, ის ვეღარ ხედავს საფრთხეს, რადგან ეს საფრთხე მის წარმოდგენაში წინასწარ ჩამოყალიბებულ სურათს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ვეღარ აღიქვამს ოკუპაციას, რადგან ეს პროპაგანდის მიერ მისთვის წინასწარ ჩამოყალიბებულ „მშვიდობის იდილიას“ არღვევს და შეუმჩნეველს ხდის სისტემურ ბოროტებას, რადგან ის ყოველდღიურობაში ნორმალიზებულია. ჩამოხრჩობა მოედანზე შეკრებილთათვის ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, როგორც ყოველდღიურად უდანაშაულო ადამიანების ცემა, დაპატიმრება და გასამართლება.

სწორედ ეს არის ცრუ ნეგატივისადმი ტოლერანტობა ანუ სიმართლის გაყალბება, რაც სრულ კომფორტს უქმნის „ინფანტილურ მოქალაქეს“, ის ვეღარ ხედავს საფრთხეს, რადგან ეს საფრთხე მის წარმოდგენაში წინასწარ ჩამოყალიბებულ სურათს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ვეღარ აღიქვამს ოკუპაციას, რადგან ეს პროპაგანდის მიერ მისთვის წინასწარ ჩამოყალიბებულ „მშვიდობის იდილიას“ არღვევს და შეუმჩნეველს ხდის სისტემურ ბოროტებას, რადგან ის ყოველდღიურობაში ნორმალიზებულია.

რუსული რეჟიმის არსებობა ბევრისთვის რეალობად არ აღიქმება, სამაგიეროდ, სახელისუფლებო პროპაგანდის მიერ შექმნილი ილუზიაა სიმართლე, რადგან ეს უკანასკნელი ნაკლებად აზიანებს მათ პირად წარმოდგენებს. თუმცა ასეთი ადამიანები მუდმივად დამარცხებული არიან და ეს მათი არჩევანია, რადგან სირცხვილი მათთვის უფრო მტკივნეულია, ვიდრე მარცხი.

ასეთია ტრადიციული ქართველის სოცაღქმა დღესაც. საზოგადოება მკაცრად აყალიბებს მორალურ სტანდარტს: თუ ვიღაც საზოგადოებას ატყუებს, ეს არ არის პრობლემა და არც გაყალბებული რეალობის ავტორისადმი აქვს ვინმეს პრეტენზია, მთავარია თვითონ არ მოტყუვდეს, კომფორტულად იგრძნოს თავი და სულაც აღარ ანაღვლებს, სინამდვილეში როგორ რეალობაში ცხოვრობს ან იცხოვრებს მომავალში.

ისტორიულად ქართველ საზოგადოებაში მაღალი იყო მორალური ეჭვის კულტურა, ადამიანები ცდილობდნენ, არ მოტყუებულიყვნენ ახლობლებისგან, სოციუმისა და ნათესავებისგან. ტყუილის სიმართლედ მიღება — სოციალურ საფრთხედ მიიჩნეოდა; ხოლო სიმართლის ტყუილად მიჩნევა — ნაკლებად სარისკო საქმედ. ამიტომაც ვერ იჯერებს დღემდე ინფანტილური ქართველი, რომ 14 წელია რუსული რეჟიმი საქართველოს მიწასთან გასწორებას ცდილობს და ურჩევნია იფიქროს, რომ ეს ხელისუფლების თამაშია, რათა ომი თავიდან აგვაცილოს გონივრული კომპრომისით.

პეტრეს მსგავსად, ინფანტილური ქართველის ფსიქოლოგიური შიშიც ის არის, რომ ოპოზიციის „თვალთმაქცობამ“ მოტყუებული არ დატოვოს, რაც მის თვითშეფასებას, სოციალურ სტატუსსა და „დროული ანუ ბრძენი კაცის“ ავტორიტეტს გაანადგურებს. ამიტომაც ჯიუტად ეწინააღმდეგება მწარე სიმართლის აღიარებას, რომ 2012 წელს თავისი სამშობლო ერთი კალმის მოსმით რუსებს ჩააბარა. ამის აღიარება ბევრისთვის დღემდე ნიშნავს არა პოლიტიკური რეალობის შეცნობას, არამედ პირადი ცხოვრებისეული არჩევნის ფიასკოს, ამიტომაც თვალს ვერ უსწორებს მძიმე რეალობას და ურჩევნია სიმართლესა და კონფორმისტულ ილუზიას შორის მერყეობა.

პეტრეს დილემა არ არის წარსული, არც ლიტერატურაა, ეს ჩვენი დღევანდელი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც მანამ არ შეიცვლება, სანამ მახინჯი ოცნება გვეყოლება სიმართლის სადარაჯოზე.

ისტორიულად ქართველ საზოგადოებაში მაღალი იყო მორალური ეჭვის კულტურა, ადამიანები ცდილობდნენ, არ მოტყუებულიყვნენ ახლობლებისგან, სოციუმისა და ნათესავებისგან. ტყუილის სიმართლედ მიღება — სოციალურ საფრთხედ მიიჩნეოდა; ხოლო სიმართლის ტყუილად მიჩნევა — ნაკლებად სარისკო საქმედ. ამიტომაც ვერ იჯერებს დღემდე ინფანტილური ქართველი, რომ 14 წელია რუსული რეჟიმი საქართველოს მიწასთან გასწორებას ცდილობს და ურჩევნია იფიქროს, რომ ეს ხელისუფლების თამაშია, რათა ომი თავიდან აგვაცილოს გონივრული კომპრომისით.

ლევან თარხნიშვილი

დამოუკიდებლობის 35 წელი

2007 წელს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა, ფონდ კორდეიდის (ჰოლანდია) და საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრების ფონდის (უნგრეთი) მხარდაჭერით, გამოსცა სერია „საზოგადოება და პოლიტიკის“ მეექვსე წიგნი, რომელშიც სხვა სტატიებთან ერთად დაიბეჭდა ქართველი მეცნიერებისა და მკვლევრების წერილები „10 შეკითხვა საქართველოს დამოუკიდებლობის 15 წლისთავზე“. ათვლის წერტილად აღებული იყო დამოუკიდებლობის საერთაშორისოდ აღიარება, ანუ 1992 წელი. პირველი შეკითხვა შემდეგნაირად ჟღერდა: „რას მიაღწია და რას ვერ მიაღწია საქართველომ დამოუკიდებლობის პერიოდში? როგორ შეიცვალა (თუ შეიცვალა) ამ პერიოდში ქართველი საზოგადოება და კულტურა? საზოგადოების (კულტურის) რა ნიშნებმა (ან ცვლილებებმა) მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე?“ ერთ-ერთი წერილის ავტორი მეც გახლდით. რამდენიმე დღის წინ კომპიუტერში რაღაც დოკუმენტს ვეძებდი და ამ ტექსტს გადავაწყდი, გადავიკითხე და საინტერესოდ მომეჩვენა ამ კითხვასთან 18 წლის შემდეგ მიბრუნება.

2007 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მთავარ მიღწევად მივიჩნევდით: (ა) საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკის არსებობას; (ბ) ქვეყნის განვითარებაში საზოგადოების ჩართულობას და ამ პროცესებში მისი როლის გაზრდას; და (გ) ჩამოყალიბებულ და განვითარებულ საერთაშორისო ურთიერთობებს.

წარუმატებლობებზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა მმართველობის სტაბილური ინსტიტუტები (სამთავრობო, არასამთავრობო და აგრეთვე ბიზნესსტრუქტურები). მეორე მთავარ პრობლემად 2007 წელს მიგვაჩნდა ის, რომ საქართველოში იმ დროისთვის არცერთხელ მმართველი არჩევნების გზით არ ჩანაცვლებულა. შემდეგ პრობლემად მოიაზრებოდა ის, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ვერ შეძლო თავისი თავის ერთ მთლიანობად

აღქმა. დღემდე ვერ მოხერხდა სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური ჯგუფების კონსოლიდაცია/ინტეგრაცია და ერთიან საზ-ოგადოებად ჩამოყალიბება. მაშინაც ვთვლიდი და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს ფენომენი უფრო მეტ თავსატეხს უჩენს საქართველოს, ვიდრე მეოთხე ყველაზე დიდი წარუმატებლობა - საქართველოს ტერიტორიების დროებითი ოკუპაცია.

მაშ ასე, სამი მიღწევა და ოთხი პრობლემა. სად ვართ ახლა, 18 წლის შემდეგ?

დავიწყოთ საკითხით, რომელიც ფორმალურად მაინც შესრულდა – 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების არჩევნების გზით გადაბარება – ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნებში მარცხი აღიარა და ქვეყნის სადავეები "ქართულ ოცნებას" დაუთმო. ეს დღე ისტორიული თარიღი უნდა გამხდარიყო და გაეხსნა გზა სტაბილური დემოკრატიისკენ, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის განვითარებასა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას უზრუნველყოფდა.

რა მივიღეთ რეალურად – კახა ბენდუქიძეს თუ დავესესხებით – ნაბიჯი წინ, მაგრამ ნეხვის გროვაში. არჩევნების გზით ხელისუფლების გადაცემას, გარდა სიმბოლურისა, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ის უზრუნველყოფს მმართველების თან-მიმდევრულ ადგილმონაცვლეობას, როდესაც ყოველი შემდეგი ლიდერი თუ პარტია თავის საქმიანობას წინამორბედის აშენებულზე აგრ-ძელებს. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ანალიზისას ექსპერტების ნაწილი აღნიშნავდა ლიდერების ცვლილებაში ერთგვარ ქანქარას პრინციპს – მემარჯვენე ლიდერს/პარტიას მემარცხენე, ხშირად ყოფილი კომუნისტური პარტიის წევრი ან მიმდევარი, ცვლიდა. ეს ცვლილებები რეფორმების მიმართ გარკვეულ ცვალებადობას იწვევდა, მაგრამ მთლიანად რეფორმის მაკრომიმართულებას, ისე, როგორც ქვეყნის განვითარების მთლიან ვექტორს, იმავეს ტოვებდა. შედეგად, დღეს ეს ქვეყნები ევროკავშირ-ის და ნატოს წევრები არიან და ულტრაპოპულისტი თუ რუსეთუმე (რაც ხშირად ერთია) მმართველების მოსვლაც კი ვერ არყევს მათ სუვერენიტეტსა და განვითარებას.

"ქართულმა ოცნებამ" მოსვლის დღიდან - შეფარულად, ხოლო 2019 წლის შემდეგ კი აშკარად ჩამოაცილა საქართველო თავისი განვითარების ბუნებრივ, ევროატლანტიკურ ვექტორს. საწყის ეტაპზე ეს იყო მათ საარჩევნო პროგრამაში ასახული, თითქოს ორაზროვანი, ჩანაწერი, რომ საქართველო აღარ უნდა იყოს დაძაბულობის საბაბი დასავლეთსა და რუსეთს შორის. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ ლოზუნგს ბევრი რუსეთთან დალაგების მომხრე თუ უბრალოდ კონფრონტაციით დაღლილი ადამიანი მოწონებით შეხვდა ქვეყნის შიგნით, თუ გარეთ. შემდეგ იყო რუსი ჯაშუშების პოლიტპატიმრების ეგიდით ციხიდან გამოშვება, რუსეთისთვის

საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის ფაქტები, წმენდა შსს თუ თავდაცვის რიგებში, რომლის მიზანიც იყო პრო-დასავლური და დასავლეთში განათლებამიღებული კადრების პრორუსულით ჩანაცვლება, რუსეთთან მებრძოლი სპეციალური დანიშნულების ძალების წარმომადგენლების დაპატიმრება და საეჭვო ვითარებაში დაღუპვა (მათ შორის კოდორი-2007 ოპერაციის მონაწილე თითქმის მთელი შემადგენლობის), თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის დასუსტება და საბოლოოდ მოსპობა, ეკონომიკურად და ენ-ერგეტიკულად რუსეთზე დამოკიდებულების ზრდა - ეს ყოველივე ქართული ოცნების მმართველობის

პირველ წლებში ხდებოდა, თუმცა ნაციონალური მოძრაობის დამარცხების თუ რევანშის ჟინით შეპყრობილი საზოგადოების ნაწილი ამ აშკარა ნიშნებს არ და ვერ ამჩნევდა და მათ კვალდაკვალ, იმავეს აკეთებდნენ ჩვენი დასავლელი პარტნი-ორები.

კომფორტული სტატუს-კვოთი გათამამებულმა ქართულმა ოცნებამ შემდეგი ნაბიჯი გადადგა - ფაქტობრივად ღიად დაიწყო რუსული გეგმის განხორციელება. დავესესხები ჩემს უძველეს მეგობარს, გივი თარგამაძეს, და ვიტყვი, რომ რუსეთის ეს გეგმა რამდენიმე დეტალს ითვალისწინებს: ლოიალური ხელისუფლება, დემილიტარიზაცია, დენაციონალიზაცია, ანუ ერის იდენტობის დაკარგვა და ნეიტრალური სტატუსი. პირველი ორი ატრიბუტი უკვე აშკარაა - საქართველოს მეცამეტე წელია რუსეთის მიმართ აბსოლუტურად ლოიალური მთავრობა მართავს, ხოლო დემილიტარიზაციის შედეგად მიღებულ დაუცველ საქართველოზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

თეა წულუკიანის „საპარლამენტო კომისიამ" დაასრულა მესამე ნაბიჯის ძირითადი ნაწილი - 200 წლის ისტორიის გადაწერა. ამ გადაწერის

შედეგად ოკუპანტი რუსეთი ფაქტობრივად მეგობრად შეირაცხა, ჩვენი რეალური მეგობრები და პარტნიორები - მტრებად, რუსეთთან ომები საქართველოს დაჰბრალდა, ოკუპირებული ტერიტორიები კი საერთოდ გაქრა დღის წესრიგიდან. ასევე გადაწერას დაექვემდებარა საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე წარმატებული ცხრა წელი (2003-2012). ანუ ფაქტობრივად ოცნების მმართველობის მეცამეტე წელიწადს ჩვენ ვიღებთ უმძიმეს სურათს - რეალურად ჩვენი სამი მიღწევიდან არც არაფერი დარჩა.

რა ნიშნით უნდა შევაფასოთ ესა თუ ის მმართველობის პერიოდი? პასუხი მარტივია - როგორი იყო ქვეყანა/ორგანიზაცია/წარმონაქმნი ამა თუ იმ პერიოდის დასაწყისში და რა დატოვა მმართველმა წასვლისას.

ავიღოთ სამი მნიშვნელოვანი პარამეტრი - სახელმწიფო, ევროატლანტიკური ინტეგრაცია და არჩევნები, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სიძლიერე.

სახელმწიფო - 2003 წელს, საყოველთაო აღიარებით, საქართველო იყო არშემდგარი სახელმწიფო (failed state) და ასეთად ჩაიბარა ის ნაციონალურმა მოძრაობამ. 2012 წელს საქართველო იყო არასრულყოფილი და პრობლემური, მაგრამ სახელმწიფო და ასეთად ჩაიბარა ის ქართულმა ოცნებამ. მოყოლებული 2012 წლიდან, მათ გააკეთეს ყველაფერი სახელმწიფო ინსტიტუტების მოსაშლელად, გააღრმავეს არსებული პრობლემები და შექმნეს ახალი. შედეგად, დღეს საქართველო ისევე შორსაა თანამედროვე, დასავლური ტიპის სახელმწიფოებისგან, როგორც 2003 წელს, ოღონდ განსხვავებული თვალსაზრისით. რაც გინდა, შეგიძლია უწოდო ქვეყანას - ბიძინას ორღობე, რუსეთის უკანა ეზო, პროვინციელი ოლიგარქის სათამაშო, მაგრამ არა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

ევროატლანტიკური ინტეგრაცია - საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ და, რა თქმა უნდა, არც 2003-12 წლებში, არასდროს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსი და მისწრაფება. უახლოეს მომავალში ქართული ოცნება ეცდება ახალი „არჩევნების" გზით, მათ შორის პარტიების აკრძალვით, მოიპოვოს საკონსტიტუციო უმრავლესობა და ნეიტრალური სტატუსის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერით ჩაანაცვლოს ქვეყნის ევროატლანტიკური არჩევანის შესახებ კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

2012 წელს ბევრად უფრო ახლოს ვიყავით ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან და ცალკეულ პარტნიორ ქვეყნებთან, ვიდრე 2003 წელს. ახლა ისე შორს ვართ, როგორც არასდროს ჩვენს უახლეს ისტორიაში. ამ ყოველივეს ბეჭედი დაასვა ევროკომისიის 2025 წლის ანგარიშმა, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდა. ანგარიში საქართველოზე აღნიშნავს, რომ ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც ევროკავშირის გაწევრიანების პროცესზე უარყოფითად მოქმედებს. 2024 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს დასკვნის შემდეგ, რომ საქართველოს მთავრობის ქმედებებმა გამოიწვია გაწევრიანებამდელი პროცესის დე ფაქტო შეჩერება და მას შემდეგ საქართველოში ფუნდამენტურ საკითხებზე უკუსვლის გაგრძელების ფონზე, კომისია მიიჩნევს, რომ საქართველო კანდიდატი ქვეყანა მხოლოდ ფორმალურადაა. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს მტკიცე ერთგულება კურსის შეცვლისა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე დაბრუნების მიმართ." – წერია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ ევროკომისიის 2025 წლის კომუნიკეში. ასევე აღნიშნულია, რომ 2024 წლის

ნოემბერს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ, არ დაეწყოთ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები, ცალსახად დაადასტურა წინა მთავრობების პოლიტიკისგან, ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის ევროპული მისწრაფებებისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან მათი გადახვევა.

დღეს ჩვენ გვყავს ჩვენი პარტნიორების მიერ სანქცირებული მთავრობა, თავისი ასევე სანქცირებული არაფორმალური მმართველით. ქვეყანა სრულ იზოლაციაშია და ერთადერთი, ვინც გვაქებს, ოკუპანტი რუსეთია. პირველად საქართველოს ისტორიაში მსოფლიო დაფაზე არასწორ მხარეს ვდგავართ.

არჩევნები - 2012 წელს პირველად საქართველოს ისტორიაში მთავრობამ აღიარა არჩევნებში დამარცხება, გადაულოცა ხელისუფლება ოპოზიციას და თვითონ გადავიდა ოპოზიციაში. შეგახსენოთ, რა მოხდა 2024 წელს? რა ხდება დღეს ქუჩებში? არჩევნების გაუქმების შემდეგი ნაბიჯია პოლიტიკური პარტიების გაუქმება და ამის იურიდიული პლატფორმა უკვე შეიქმნა საკანონმდებლო ცვლილებებით და წულუკიანის კომისიის „დასკვნით“.

ქართული ოცნება ამაზეც არ გაჩერდა და ფაქტობრივად პოლიტიკაც აკრძალა. 2025 წლის 6 ნოემბერს გენერალურმა პროკურატურამ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერების - მიხეილ სააკაშვილის, გიორგი ვაშაძის, ნიკა გვარამიას, ნიკა მელიას, ზურაბ ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო. ბრალდების ყველაზე „საინტერესო“ ნაწილი ეხება სანქციებს - პროკურატურის განცხადებით, პოლიტიკოსები „საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ, საერთაშორისო სანქციების დასაწესებლად ხელოვნური საფუძვლის შექმნის მიზნით, უცხო ქვეყნის სახელმწიფოს წარმომადგენლებს აწვდიდნენ ინფორმაციას საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტის, ასევე საქართველოს სამხედრო სფეროში მათ ხელთ არსებული თუ გამოგონილი ვითარების შესახებ, ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას, რომ თითქოს საქართველოს საჰაერო სივრცე გამოიყენებოდა ირანული საბრძოლო დრონების რუსეთის ფედერაციისათვის მისაწოდებლად. გარდა აღნიშნულისა, ისინი ინფორმაციასა და დოკუმენტურ მასალას, მათ შორის საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა სიებს, პერიოდულად სანქციების დასაწესებლად აწვდიდნენ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს. შედეგად, სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან სანქციები დაუწესდა მთლიანობაში საქართველოს 300-მდე მოქალაქეს, მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საჯარო მოხელეებს და ცალკეულ ბიზნესმენებს.“

ფაქტობრივად პროკურატურამ გააჟღერა ორი გზავნილი - პირველი დღეიდან ნებისმიერი პოლიტიკური განცხადება, ისევე როგორც ურთიერთობა უცხოელებთან, დასჯადია და მეორე, ჩვენი უცხოელი პარტნიორებისთვის - დამიწესებთ სანქციებს, მყავს მძევლები, რომლებსაც ციხეში ამოვალპობ.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის დამოუკიდებელ ინსტიტუტებსა და პიროვნებებზე პირველი თავდასხმა. მიუხედავად გავრცელებული რწმენისა, განსხვავებულ აზრსა და მოსაზრებაზე ქართულმა

ოცნებამ შეტევა ფაქტობრივად მოსვლისთანავე დაიწყო. პირველი იყო თვითმმართველობის ინსტიტუტები, რომლებსაც 2012 წლისთვის ისინი ვერ აკონტროლებდნენ. შანტაჟი, დაპატიმრება, მოსყიდვა და შედეგად 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნისთვის ქართული ოცნება მთლიანად აკონტროლებდა თვითმმართველობას და ეს კონტროლი აღარც გაუშვია ხელიდან.

შემდეგი იყო მედია. დღეს ყველა თანხმდება, რომ მარეგულირებელი კომისია დამოუკიდებელ ტელევიზიებზე ზეწოლის და ანგარიშსწორების მთავარი იარაღია. საიდან დაიწყო ეს ყველაფერი? 2013 წლიდან. იმ წელს რამდენიმე რამ მოხდა - მთავრობა უცებ დაინტერესდა კომისიის იმდროინდელი თავმჯდომარის, ირაკლი ჩიქოვანის, სამშენებლო ბიზნესებით და საქმეც სწრაფად შეიკერა, გაცლა სჯობსო, იფიქრა ბატონმა ირაკლიმ და გადადგა. მოვალეობის შესრულება ერთ-ერთმა მოადგილემ - კარლო კვიტაშვილმა იკისრა. აქ სცენაზე პარლამენტის წევრი თინა ხიდაშელი გამოდის. მისი თავმჯდომარეობით ყალიბდება

საპარლამენტო კომისია, რომელიც კომუნიკაციების სფეროს „იკვლევს“. მისი მოკვლევა ძალიან წააგავს წულუკიანის დღევანდელ „მოღვაწეობას“ და იძულებითი გადადგომების მთელი წყებით მთავრდება, კომისიას ქოცების მიმართ ლოიალური - ზურა აბაშიძე, შემდეგ კი დღევანდელი თავმჯდომარე, სანქცირებული კახი ბექაური, უდგება სათავეში. ამას მოჰყვება ტელევიზიებზე სანქციები, პოლიტიკური რეკლამის აკრძალვა, შემოსავლების ხელოვნურად შემცირება, შემდეგ კი საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირება. ასევე მობილურების მონაცემების საშუალებით გადაადგილების თვალთვალი და კონტროლი.

2013 წელს დარტყმის მეორე ობიექტი საზოგადოებრივი მაუწყებელი გახდა. საზმაუ არასდროს ყოფილა ახლოს საჭირო სტანდარტებთან, მაგრამ დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით 2012 წელს საზმაუ BBC-ც იყო და ARD-ც. კომუნიკაციის კომისიისა არ იყოს, აქაც რამდენიმე ფრონტი გაიხსნა. ორგანიზაციის შემოწმება დაიწყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, შემდეგ ფინანსურმა პოლიციამ (კანონით საზმაუს ჰყავს შიდა აუდიტი და შემდეგ ამოწმებს გარე აუდიტი, სახელმწიფო სტრუქტურებს ეს არ ეხება), რომელმაც დამკვრელური ტემპით საქმე გადასცა პროკურატურას. დაიწყო ზეწოლა იმჟამინდელ გენერალურ დირექტორზე. დირექტორი გადადგა და სამეურვეო საბჭომ ახალი აირჩია. ქოცები ახალზე გადაერთვნენ. ახალი დირექტორი უფრო დამყოლი გამოდგა, თუმცა სამეურვეო საბჭო ისევ არ ექვემდებარებოდა კონტროლს. დირექტორს საბჭომ ორჯერ გამოუცხადა უნდობლობა, თუმცა სასამართლომ ორჯერვე მთავრობის პოზიცია დაიკავა და აღადგინა დირექტორი (ხომ არ გეცნობათ?). პარალელურად დაიწყო ზეწოლა საბჭოს წევრებზე. საქმეში ჩაერთო თინა ხიდაშელის კომისია, სამართალდამცავები, ბორდის ერთ-ერთი წევრის შვილი დააკავეს და მისით დაიწყეს შანტაჟი. როდესაც ბორდის უმეტესობასთან ვერაფერს გახდნენ, ქ-ნი ხიდაშელის წინადადებით უბრალოდ შეცვალეს კანონი, გააუქმეს არსებული საბჭო და ახლისთვის გამოაცხადეს კონკურსი. მას შემდეგ, რაც საქმეში ევროპის მაუწყებელთა კავშირი (EBU) ჩაერია, ქოცებმა თითქოს უკან დაიხიეს (მაშინ ევროპელებთან ფლირტი ჯერ კიდევ აქტუალური იყო) და არსებული ვადით მოქმედი საბჭო დატოვეს (თუმცა ახალიც აირჩიეს). როგორც კი სიტუაცია ოდნავ მიწყნარდა, ისევ შეცვალეს კანონი, არსებულს შეუკვეცეს უფლებამოსილება და რეალური მმართველობა უკვე მათ მიერ კონტროლირებად ბორდს გადაულოცეს. შედეგად, ნელ-ნელა მივიღეთ მონსტრი, რომელიც ჩვენივე ფულით ებრძვის საზოგადოებას.

მედიაზე შეტევები ამით არ ამოწურულა. სულ მცირე, ორი დამოუკიდებელი მაუწყებელი გახდა ქოცების მხრიდან დარტყმის ობიექტი. ყოველივე, როგორც ყოველთვის, ლამაზი სიტყვებით იყო შენიღბული - „სამართლიანობის აღდგენა“. რუსთავი-2-ის შემთხვევაში ქოცების სამართლიანობის აღდგენა მრავალჯერ გადაყიდული ორგანიზაციის „ჭეშმარიტ“(წაიკითხე მორჩილ)მფლობელებისთვის „დაბრუნება“ იყო. თუმცა იქამდე იყო რუსთავი-2-ის, როგორც მედიაერთეულის, განადგურების მცდელობა. ძირითადი ინსტრუმენტი იგივე იყო - ფინანსური პოლიცია და პროკურატურა. და თავი დავანებოთ იმას, რომ „ჭეშმარიტი მფლობელის“ განმარტება თავიდანვე გაუგებარი იყო და მრავალჯერ შეიცვალა. „რუსთავი-2“-ის შემდეგ მედიაზე შეტევა გაგრძელდა, შედეგად, „მთავარი“ აღარ მაუწყებლობს, დანარჩენები კი ფინანსური პრობლემების წინაშე დგანან და როდემდე შეძლებენ მაუწყებლობას, უცნობია. ახალმა კანონმდებლობამ ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების (რეკლამა, გრანტი) ქონა. მთავრობა კიდევ უფრო შორს წავიდა არასამთავრობო სექტორზე შეტევისას - ე.წ. „რუსულმა კანონმა“ და თანმდევმა აქტებმა შეუძლებელი გახადა დამოუკიდებელი ორგანიზაციების ფუნქციონირება. ბოლო დარტყმა უნივერსიტეტებზე მზადდება ე.წ. „განათლების რეფორმის“ სახით, რომელიც გეგმის მიხედვით 2026 წელში შევა ძალაში და დამოუკიდებლობის ბოლო კერების მოსპობას ისახავს მიზნად.

შევაჯამოთ: 2025 წელს ჩვენი დამოუკიდებლობის სამი მიღწევიდან - დამოუკიდებელი სახელმწიფო, ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ძლიერი დამოუკიდებელი საზოგადო ინსტიტუტები - ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა. გადავიდეთ ოთხ პრობლემაზე:

პირველ ორზე (არჩევნების გზით მთავრობის ჩანაცვლებასა და მმართველობის გან-

გრძობადობასა და ინსტიტუტების სტაბილურობაზე უკვე ვისაუბრეთ და აღვნიშნეთ, რომ ამ მხრივ, პრობლემა უფრო გაღრმავდა. არავითარი წინსვლა არ შეინიშნება მეორე პრობლემის - ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების მიმართულებითაც, პირიქით, უფრო და უფრო მძლავრდება შიში, რომ ქართული ოცნება კონფედერაციის შექმნის დაპირებით ოკუპირებული ტერიტორიების „დამოუკიდებლობის" გზას დაადგება.

რჩება ბოლო გამოწვევა - ჩვემა საზოგადოებამ ვერ შეძლო თავისი თავის ერთ მთლიანობად აღქმა. დღემდე ვერ მოხერხდა სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური ჯგუფის კონსოლიდაცია/ინტეგრაცია და ერთიან საზოგადოებად ჩამოყალიბება. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ხშირად თავს საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ ვერ აღიქვამს. მეტიც, ქართველებიც მუდმივად იყოფიან ჩვენიანებად და სხვებად – წყალგამყოფი შეიძლება გადიოდეს რელიგიურ მიკუთვნებულობაზე, პოლიტიკურ შეხედულებებზე, კუთხურ წარმოშობასა ან სხვა რაიმე ფორმალურ ნიშანზე, მაგრამ ამით დაქსაქსულობის ხარისხი არ მცირდება. ამჟამად ამ გამყოფ ხაზებს დაემატა კიდევ ერთი - მთავრობასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის. არასოდეს საქართველოს უახლეს ისტორიაში არ ყოფილა მთავრობა ასე მოწყვეტილი საზოგადოებას და, ამავე დროს, ასე დაპირისპირებული საკუთარ მოსახლეობასთან.

2007 წელს ვწერდი, რომ საქართველომ ჯერ ვერ გადაკვეთა ის კრიტიკული ზღვარი, რომლის შემდეგაც უკან დაბრუნება შეუძლებელია. მეტიც, არცერთ სფეროში მიმდინარე რეფორმა არ იყო საბოლოოდ განმტკიცებული ინსტიტუციური ბაზისით. სისტემის სტაბილურობისთვის აუცილებელი იყო, რომ ინსტიტუციონალიზაციის პარალელურად მომხდარიყო რამდენიმე სიმძიმის ცენტრის ჩამოყალიბება, რომლებიც, ერთი მხრივ, საკმარისად ავტონომიურნი იქნებოდნენ და, მეორე მხრივ, განვითარების თანმხვედრი ვექტორი ექნებოდათ. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა და დღეს ბევრად უფრო შორს ვართ ჩვენ მიზნებთან, ვიდრე 2007 წელს.

ნამდვილად არ მინდა სტატიის პესიმისტურ ნოტზე დასრულება, ამიტომ დადებით მომენტსაც გამოვყოფ - ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობის უნარი და პროტესტი, რომელიც აგერ უკვე ერთი წელია უწყვეტად მიმდინარეობს და რომელმაც გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწია - მოპარული არჩევნების არაღიარება, ხელისუფლების დელეგიტიმაცია და იზოლაცია შინ და გარეთ. ახლა დროა, შემდეგ ეტაპზე გადავიდეთ და ვაჩვენოთ, რომ შეგვიძლია საერთო მიზნის გარშემო გაერთიანება, განვითარება და გარდაქმნა. იმაზე, თუ რამდენად მოვახერხებთ ამას, დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის, ჩვენი ოჯახებისა და მთლიანად საზოგადოების ბედი, ჩვენი ქვეყნის განვითარების ვექტორი და, საბოლოოდ, ვიცხოვრებთ დამოუკიდებელ და მოდერნულ საქართველოში თუ ოლიგარქს მიბარებულ რუსეთის უკანა ეზოში. ■



ნანა ტრაპაიძე

იდენტობის რიზუალური ტოპოსი და მისი ტრანსფორმაცია



ბოლო წლებში კვლავ აქტუალური გახდა ქართული კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის საკითხი. ლიბერალურ ვექტორს კონსერვატიული ცვლის. იმისთვის, რომ ცვლილება ქმედითი იყოს, იგი სიმბოლურ დონეზე უნდა მანიფესტირდეს. ამიტომ ეროვნული ჰაბიტუსის სიმბოლური მანიფესტაცია პოლიტიკური საკითხი გახდა. კოლექტიურ ცნობიერებაში სიმბოლო კი მაშინ არის ეფექტური, როცა იგი ნაცნობად აღიქმება. ქართული ეროვნული ჰაბიტუსის არქეტიპული ხატი კი არცთუ შორეულია, იგი საბჭოთა დროს ეკუთვნის - ჩვენი ისტორიული წინაპრების ფიზიკურ იერსახეზე წარმოდგენები, არსებითად, ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ შექმნა. საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ასეთი სიმბოლურ-არქეტიპული ფიგურაა, რომელსაც, გარდა ამ ფიზიკური პერსონალური მანიფესტაციისა, წინამორბედთა საინაუგურაციო „სფიჩის“ საერთო აქცენტების შეცვლა ხვდა წილად. მის საინაუგურაციო სიტყვაში აქცენტირებული იყო ოჯახის იდეა, სუფრის ტრადიცია, ნაციონალური სენტიმენტები, რელიგიური საყრდენი და მშვიდობის მნიშვნელობა.

მშვიდობა რუსული იმპერიული პარადიგმაა კოლონიაში. იგი სრულიად განსხვავდება მშვიდობის დემოკრატიული ჰუმანიზმისაგან. კოლონიური მშვიდობის არსებითი მავნებლობა იყო და არის ის, რომ იგი ისრუტავს კულტურული ნამდვილობის შესაძლებლობას, მაშასადამე, ყველა იმ რესურსს, რომელიც იდენტობის ავთენტიკურ შინაარსს და მისი შექმნის გამოცდილებას უნდა ქმნიდეს. ამის შედეგად მივიღეთ მენტალიტეტის დონეზე ჩამოყალიბებული მიუღებლობა ყოველგვარი ნამდვილისა და მართლის მიმართ, რასაც კი განსხვავებული იერი აქვს. ეს მიუღებლობა, როგორც ფარული ვნება, დეკლარირებული არ შეიძლება იყოს, ის უნდა შეინიღბოს. ამ ნიშნით ჩამოყალიბდა გარკვეული ეთნოკულტურული ტოპოსები, როგორც ნიღბები, რომლებსაც რეალობის კარნავალიზება, ერთობის სიმბოლურ რეგისტრში დამკვიდრება ევალებოდა. ერთ-ერთი ასეთი გავრცელებული პრაქტიკა იყო და კვლავაც არის - ქართული სუფრა, როგორც „მეობისა და ჩახუტების“, ანუ იდენტობისა და ერთობის გამოხატულება.

სუფრის „აკადემიური“ კარნავალი იყო დისერტაციის დაცვის აღნიშვნის ტრადიცია - ე.წ. დესერტაციები. თუმცა სუფრა „აკადემიასთან“ უფრო ნაცნობ კავშირშია სუფრის აკადემიის სახით. საერთოდ, საქართველოში აკადემიას ალტერნატიული სოციალური ტოპოსები მოეპოვება - ეს არის სუფრა და ქუჩა. თუ სუფრა სულის

„აკადემია“ იყო, ქუჩა - ცხოვრების „აკადემიად“ ითვლებოდა. პოლიტიკური აზროვნების დეფიციტმა, რაც საბჭოთა დროს ახასიათებდა, აკადემიურ სივრცეში, აი, ამდაგვარი კულტურული და ინსტიტუციური მუტაცია განიცადა. ამ მუტაციის შედეგებს დღესაც იმკის ქართული საზოგადოება. ხშირად, არსებული რეალობა როგორც სოციალურ ურთიერთობებში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, ახლაც არ არის შორს კულტურული დეგრადაციის წარმომშობი ფესვებისგან. თუმცა არის სხვა ნიშნებიც: „აკადემია“ საკუთრივი მნიშვნელობის სივრცეში ბრუნდება და დღეს ვნახავთ უამრავ აკადემიას - აზროვნების, სიტყვის, ცოდნის და ა.შ. ვარიაციებში.

საბჭოთა წარსულის აჩრდილები დღესაც დადის ჩვენს რეალობაში, მაგრამ არის ცვლილების ნიშნებიც. საჩვენებლად ყურადღებას გავამახვილებ 2024 წლის მასობრივი სამოქალაქო გამოსვლების სოციოლოგიაზე. პირველ ყოვლისა, ეს გამოსვლები არ ხასიათდებოდა ადრე მისთვის დამახასიათებელი ეთნოკულტურული ჰომოგენურობით. იგი ამჯერად გამოირჩეოდა სოციალური ჯგუფების სიჭრელით. სამოქალაქო გამოსვლების კალენდარიც ამაზე მეტყველებდა - დაწყებული პედაგოგების, დამთავრებული მეთევზეთა მარშით. ამ პროცესში იუმორისტულ ელემენტად შევიდა კუთხური მარშები, რაც მინიშნება იყო ეროვნული მთლიანობის მრავალფეროვან სტრუქტურაზე, ეროვნულ სიჭრელეზე, რომელზეც შეიძლება იდგეს სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფოებრივი მთლიანობის შეგნება.

სუფრაც, როგორც კულტურულ-სოციალური ერთობის ტრადიცული ტოპოსი, გასული წლის საპროტესტო პროცესებში (2024) ტრანსფორმირებული სახით წარმოჩნდა. იგი გამოვიდა გარეთ, ოჯახის (სახლის) და რესტორნის გასტრონომიული სივრციდან და ახალი სიმბოლური შინაარსი გამოხატა: თუ სუფრა ოჯახსა და საოჯახო სიტუაციებში აერთიანებდა მონათესავე, დამოყვრებულ, სამეზობლო მიკროსოციუმის წევრებს, თუმცა „შემოსწრებულთა“ მიმართაც გულღია და კეთილი იყო (თავისი „ჯარიმით“), რუსთაველის გამზირის საახალწლო „სუფრაზე“ ეს პროპორცია შებრუნდა - უცხო და შემოსწრებული გახდა დომინანტი, ხოლო ნათესავი და ახლობელი - „თანრიგოსანი“. სუფრის 2025 წლის საახალწლო საპროტესტო პერფორმანსი თითქოს იყო სამოქალაქო ოჯახის რეპრეზენტაცია, რომელიც გრძნობს, რომ მისი სიმშვიდე და განვითარება ოჯახის თითოეული წევრის მიღებასა და პატივისცემაზეა დამოკიდებული.

მშვიდობა რუსული იმპერიული პარადიგმაა კოლონიაში. იგი სრულიად განსხვავდება მშვიდობის დემოკრატიული ჰუმანიზმისაგან.

ისტორიული ერთობის თანამედროვე სახე სხვადასხვა იდენტობის შერწყმაა. ასეთი საზოგადოება, როგორც იორნ რიუზენი წერს თავის წიგნში „Evidence and meaning: a theory of historical studies“: „აერთიანებს წარსულის მოვლენებს, ადამიანებსა და ფაქტებს ისე, რომ ისინი დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ როგორც პიროვნულ, ისე სოციალურ თვითობასთან. [...] ისტორიული იდენტობის ფორმირება პოლიტიკური საკითხია. ის სავსეა ძალაუფლების მოთხოვნებითა და კონფლიქტებით და წარმოადგენს მუდმივ არეულობას ადამიანის კულტურულ ცხოვრებაში. იდენტობა თავისით არ ხდება. ის სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს, რათა გაადვილდეს (პირადი) ურთიერთობა ადამიანსა და საზოგადოებას შორის, ასევე (სოციალური) ურთიერთობა საზოგადოებებს შორის, რათა მათი ურთიერთობა რეალური და ეფექტური იყოს. ჩვენს იდენტობაში ყველა ეს ელემენტი წინასწარ განსაზღვრულია, შექმნილია ადამიანის ცხოვრების გარემოებებში

და ფიქსირდება ჩვენი სუბიექტურობის სიღრმეში. როგორც კი ისინი „შთაინთქმება" ჩვენში, ეს ელემენტები კარგავს კონფლიქტის პოტენციალს და ამ პოტენციალს გადაიტანს ადამიანის თვითობის ფორმირებაში" (რიუზენი Rüsen Jörn, Evidence and meaning: a theory of historical studies,translated from German by Diane Kerns and Katie Digan, Berghahn Books, 2019, 204-205).

ერთობა და ჰიბრიდული ადამიანი

2024 წლის საპროტესტო გამოსვლების მთავარ სუბიექტად „ჯენზი" წარმოჩნდა, თუმცა პროცესების აქტიურ ბირთვად არ დარჩენილა. ამის გამო ბევრს ლაპარაკობენ მასზე. გაჩნდა გარკვეული სკეპსისიც. ამიტომ მნიშვნელოვანია მსჯელობა იმაზე, თუ როგორია „ჯენზის" სოციო-კულტურული წარმოშობა.

„ჯენზი" (Gen Z - თაობა დაბადებული 1995–2010 წლებში) ეს არის თაობა, რომელიც ტრადიციული ოჯახის ნგრევის პირობებში ჩამოყალიბდა. მისი, როგორც ასეთის, ფსიქო-ემოციური გამოცდილება ეს არის პატრიარქალური წესრიგის რღვევით გამოწვეული პირადი ტკივილებისა და გაურკვევლობის ნაზავი: ზოგადი სურათით, იგი გაიზარდა ემიგრანტი მშობლების ფსიქო-ემოციური დანაკლისის, იდეურად კრიზისული საგანმანათლებლო სისტემისა და ინფორმაციულად ჭრელი, უკონტროლო ვირტუალური სივრცის პირობებში. თუ საპროტესტო აქტივობის დინამიკას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ იგი სპორადულია. ეს სხვადასხვაგვარად შეიძლება აიხსნას. მაგრამ მინდა ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომელიც, ერთი მხრივ, სოციო-პოლიტიკური რეალობის შედეგია, მეორე მხრივ, ამ რეალობის ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს. ეს გარემოება კი არის ის, რომ „ჯენზის" თავისუფლება (რომელიც მათ კი არ მიეცათ, არამედ ერგოთ, როგორც ცარიელი სივრცე, რომელშიც ისინი მარტონი არიან) და არსებული სოციალურ-პოლიტიკური ნორმის ურთიერთქმედება მათშივე წარმოქმნის შემაფერხებელ კვანძს, რომელიც შესაძლებელია ჩაიკიროს, როგორც ისტორიული შეფერხება, თუკი არ მოხდა მისი დროული პოლიტიკური გახსნა, - მათი მიღება იმ კულტურულ-პოლიტიკურ სუბიექტად, რომელსაც ეროვნული იდენტობის ტრანსმისია ევალება, რადგან დროთა კავშირის ცოცხალი ბირთვი ახალგაზრდობაა. თუ 90-იანების თაობას, მიუხედავად იმ პირობებისა, რომელშიც ცხოვრება უწევდა (იქნებ სწორედ ამ პირობების გამო), ჰქონდა თავისთავადი მამოძრავებელი - გადარჩენა, ჯენზის გამოწვევაა, განიხილებოდეს კულტურული განახლების პოტენციალად. ამისთვის მას სჭირდება საკუთარი საჭიროებებისა და მისწრაფებების ფორმულირება ფართო სოციალური დიაპაზონის მქონე ენით. სხვა სიტყვებით, პროტესტს ძალას აძლევს თავისუფლების მოპოვებული, განცდილი შინაარსი, რისთვისაც საკმარისი არ არის, რაიმე არ მოგწონდეს, თუნდაც - ძალიან. მამოძრავებელი არასოდეს არის უკმაყოფილება. ეს არ კმარა, მამოძრავებელი შეიძლება იყოს წარმოდგენა კმაყოფილებაზე. დღეს საზოგადოება, როგორც ამ წარმოდგენების სუბიექტი, ვერ ჩანაცვლდება ლიდერით, - ვერც ახლით, ვერც ძველით. ლიდერის არარსებობას საზოგადოების, როგორც სუბიექტის, ის პოლიტიკური მნიშვნელობაც განსაზღვრავს, რომელიც

> **გამოსავალი მოითხოვს პოლიტიკურ შეთანხმებას ეროვნული ერთობის საკითხზე, იმის შესახებ, თუ რა გვაერთიანებს, როცა ვამბობთ - „ჩვენ".**

მას დღეს აქვს. საზოგადოების ეს მნიშვნელობა უკანასკნელი ათწლეულების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი განვითარების ერთგვარი საიმედო შედეგია და ეს შედეგი გამოიცდება დღეს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ: ეს არის თაობა, რომლისთვისაც „მშობლისა" და „სამშობლოს" საერთო სემანტიკური ფუძე ეგზისტენციალურად აცდენილია ერთმანეთისაგან: მათი მშობლები, ძირითადად, არ ცხოვრობენ სამშობლოში, ამ გაგებით, მათ თავიანთი პირადი სამშობლოები უცხოეთში აქვთ. ისინი თავისუფლები არიან ამ

სიტყვის ერთდროულად პოზიტიური (შინაგანი) და ნეგატიური (წყვეტის) მნიშვნელობით, - მშობელი და სამშობლო ორივე თავისი გზით ცხოვრობს, ახალი თაობა - თავისით. ეს „გზები“ ერთმანეთის გარეშე არსად, ანუ ისტორიის მიღმა მიდის. ეგზისტენციალური მნიშვნელობის საკითხია, რომ ისინი გადაიკვეთოს, - ახალი თაობის თავისუფლების, როგორც მოცემულობის, ამ კონტრპოზიციულ მდგომარეობებს შეხების წერტილი მოეძებნოს...

ფაქტი, რომ ეს ვერ ხერხდება, ღრმა კულტურულ-პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი შრეა. გამოსავალი მოითხოვს პოლიტიკურ შეთანხმებას ეროვნული ერთობის საკითხზე, იმის შესახებ, თუ რა გვაერთიანებს, როცა ვამბობთ - „ჩვენ“. უახლესი პერიოდის სამოქალაქო დაძაბულობის მზარდი ტენდენციაც იმას ადასტურებს, რომ ამის შესახებ საზოგადოებრივი წარმოდგენა არა მარტო სუსტია, არამედ წინააღმდეგობრივიც. არ არსებობს ღირებულებითი კონსენსუსი, კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის საერთო ხედვა, თუმცა

კრიზისს, რომელიც ამჟამად არის, უფრო ღრმა მიზეზი აქვს, ვიდრე უახლესი პოლიტიკური რეალობაა: დღეს საქართველოში ჯერ კიდევ სტალინურ ნაციონალიზმში ურთიერთშერწყმული და შემდეგ თანდათან უფრო ღრმად მუტირებული საბჭოურისა და ეროვნულის გამოცალკევების პროცესი მიმდინარეობს.

მისი წარმოქმნის სამოქალაქო მცდელობებსაც ვხედავთ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესის მონაწილე საზოგადოება ერთგვაროვანი არ არის - ის აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, სოციალური და კულტურული ჯგუფის ადამიანებს. იმათაც, ვინც საბჭოთა კავშირში იცხოვრა. შეიძლება ითქვას, პოზიციის ორივე მხარეს, ფიზიკურ თუ არაფიზიკურ დონეზე, ამ (საბჭოური) გამოცდილებით ნამემკვიდრეები განწყობები და შიშებია კონცენტრირებული. ეს ერთგვარი ნიშანია იმისა, რომ კრიზისს, რომელიც ამჟამად არის, უფრო ღრმა მიზეზი აქვს, ვიდრე უახლესი პოლიტიკური რეალობაა: დღეს საქართველოში ჯერ კიდევ სტალინურ ნაციონალიზმში ურთიერთშერწყმული და შემდეგ თანდათან უფრო ღრმად მუტირებული საბჭოურისა და ეროვნულის გამოცალკევების პროცესი მიმდინარეობს. ეს, თავისებურად ფუნქციური, სოციალურ-კულტურული სხეულის ხლეჩას ნიშნავს, ამიტომაც არის მტკივნეული და ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობის მატარებელიც.

სახელმწიფოებრიობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ქართული ამბიციები, რეალურად, დღეს გამოიცდება. მართლაც-

რაში გვჭირდება ის, რაც მხოლოდ დაცვას ითხოვს და რამაც მუდმივად ომის ზღვარზე უნდა გვამყოფოს, თუკი საამისო ეროვნული და კულტურული მოთხოვნილება არ არის? სევდიანი კითხვაა, მაგრამ არა რიტორიკული. სხვა სიტყვებით, ასე შეიძლება დავსვათ კითხვა: ვინ გვსურს ვიყოთ, ეთნოკულტურული მოვლენა, თუ ერი?

და, რაში გვჭირდება ის, რაც მხოლოდ დაცვას ითხოვს და რამაც მუდმივად ომის ზღვარზე უნდა გვამყოფოს, თუკი საამისო ეროვნული და კულტურული მოთხოვნილება არ არის? სევდიანი კითხვაა, მაგრამ არა რიტორიკული. სხვა სიტყვებით, ასე შეიძლება დავსვათ კითხვა: ვინ გვსურს ვიყოთ, ეთნოკულტურული მოვლენა, თუ ერი?

ეთნოკულტურული იდენტობა უცხოს, როგორც მტრის ხატზე იგება და მასზე მიმართული რწმენა-წარმოდგენებით ფუნქციონირებს. იგი ქმნის ჩაკეტილ, პროვინციულ, სოციალურად სეგრეგირებულ მიკროსამყაროს, ისეთს, როგორიც საბჭოთა კავშირში იყო, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების მარტივი სიმშვიდით. ეროვნული იდენტობა - ეს პოლიტიკური ამბიციაა, ის, ერთი მხრივ, კულტურული მეხსიერების სიღრმეში პოულობს ერად ყოფნის აუცილებლობას, მეორე მხრივ, საკუთარ თავს, როგორც სუვერენულ მონაწილეს, თანამედროვე მსოფლიოს კონტექსტში ხედავს. აქ უცხოს, როგორც მტრის, მითოლოგია გამოუსადეგარია და შინაგანი კულტურული ინტეგრაციის მექანიზმსაც ეს ცვლის.

როგორ არის ეს შესაძლებელი? ეს შესაძლებელია, თუ თვითმყოფადობა სამყაროს ცენტრში ინდივიდუალური ყოფნის საკითხი იქნება. ამ შესაძლებლობას წარმოადგენს რიუზენის „ჰიბრიდული ადამიანი", როგორც ახალი იდენტობა, რომელსაც აქვს უნარი შეძლოს პირადი და სოციალური ასპექტების ურთიერთმონაცვლეობა და დაიკავოს თავისი ადგილი ცენტრში ყველა იმ ნიშნით, რომლებიც მის იდენტობას ქმნის და ისტორიული შინაარსი აქვს. თანამედროვე გლობალური სამყაროს რთული გამოწვევა ის არის, რომ ადამიანმა იპოვოს სხვებისგან განსხვავების ახალი გზები.

ასეთ შემთხვევაში „სუბიექტი პოულობს თავის დროით ადგილს ცხოვრებაში, სადაც წარსული და მომავალი მეხსიერებასა და მოლოდინში იკვეთება. აქ განისაზღვრება ადამიანის სუბიექტის შინაგანი დრო. შეგვიძლია ვთქვათ: ამ ისტორიულ სუბიექტურობაში, თვითონ ადამიანი არის დრო" (Rüsen 2019, 210). თუმცა აქვე რიუზენი გამოთქვამს ლოგიკურ მოლოდინს, რომ ეს ახალი ჰიბრიდული იდენტობა ვერ გადაჭრის „ჩვენსა" და „უცხოებს" შორის კონფლიქტს, რადგან ჰიბრიდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კიდევ უფრო მაღალი სირთულის დონეზე"(Rüsen 2019, 210-211). ამ კითხვას რიუზენი ღიად არ ტოვებს და დილემას ხედვის ახალ პერსპექტივაში წყვეტს. ეს არის „ჩემისა" და „უცხოს" კულტურული რელატივიზმის დაძლევა ჰუმანიზმში: „დარჩი ადამიანად - ყოველთვის და ყველგან"; უპირველეს ყოვლისა, უნდა შევინარჩუნოთ ისტორიული კულტურის ადამიანური განზომილება, რომელიც ისტორიული ცოდნის გონებრივ პრეტენზიებშია ჩადებული. იდენტობის ფორმირება საკუთარი თავის ცენტრში მოქცევით უნდა მიემართებოდეს იმ ადამიანურ თვისებებს, რომლებიც ყველას გვეკუთვნის. ამით მართლდება ან დადასტურდება ადამიანობის კულტურული ევოლუციის ისტორიულ-ფილოსოფიური წარმოდგენა იდენტობის ფორმირების პრაგმატიკის კონტექსტში. თანასწორობის კატეგორია, რომელიც უნივერსალიზებული ადამიანობის ცნებაშია ჩადებული, ამცირებს ეთნოცენტრული დაკნინების მტკივნეულობას, რომელიც სხვას „დამცირებული ადამიანის" სახით განიხილავს. მაგრამ რა ვუყოთ ნეგატიური ისტორიული გამოცდილების ჩრდილებს, თუკი მათ ვეღარ მოვიცილებთ სხვებისგან განსხვავების ხაზგასმით? ამ ჩრდილების ინტეგრირება საკუთარი თავის სურათში გვმართებს. როდესაც ამას ვაკეთებთ, „სხვისადმი" ჩვენი დამოკიდებულება არსებითად იცვლება. ნეგატიური ისტორიული გამოცდილება აღარ გადაინაცვლებს სხვებისაგან განსხვავებულობის კონცეპტუალურ სივრცეში. პირიქით, და ეს გადამწყვეტია, იგი გარდაიქმნება საკუთარი თავის ისტორიულ სურათთან მიმართებით წარმოქმნილ ამბივალენტურ დამოკიდებულებად. ამ ამბივალენტურობაში საკუთარი და უცხო თანაბარ პოზიციაზე აღმოჩნდებიან. სხვაში საკუთარი თავის რაღაც ნაწილს ვხედავთ — იმ საერთო ადამიანური თვისების წყალობით, რაც გვაერთიანებს. ჩვენ ვცნობთ საკუთარ ადამიანურობას სხვის იერსახეში და ვხედავთ მასში მის თავისებურებასა და ინდივიდუალობას. როცა ეს ხდება, „ჩვენისა" და „უცხოს" შორის არსებული ეთნოცენტრული ასიმეტრია გარდაიქმნება ბალანსად" (Rüsen 2019, 211).

ამ ჰუმანისტური მოდელის ემპირიულ შესაძლებლობაზე პოლიტიკის ფილოსოფია მსჯელობს. მაგრამ საკითხს აქვს ერთგვარი მეტაპოლიტიკური შლეიფიც, რომელიც ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაშია გამოვლენილი და ქართველისთვის ერთგვარ კულტურულ ალტერნატივად, შინაგან რესურსად არსებობს. ვგულისხმობ კლასიკურ ქართულ ლიტერატურას და, განსაკუთრებით, მის ორ უდიდეს ფიგურას:

შოთა რუსთაველსა და ვაჟა-ფშაველას. ამ ავტორების სახით, ქართულმა პოლიტიკურმა ცნობიერებამ ლიტერატურულ სახეებში შექმნა ადამიანისა და საზოგადოებრივი ერთობის ის მოდელები, რომლებიც ჰიბრიდულ იდენტობას გამოხატავენ. ადამიანი ერთსა და იმავე დროს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული არსება, რომელსაც სხვადასხვა დროსა და სივრცეში განსხვავებული ისტორიული ჰაბიტუსი, კულტურული იდენტობა აქვს; მაგრამ, ამავე დროს, ადამიანს აქვს მეტაისტორიული იდენტობაც, რომელიც სიტუაციურ წინააღმდეგობაში „მესა“ და „ჩვენს“ შორის არსებულ ისეთ დაპირისპირებაში შეიძლება წარმოჩნდეს, რომელსაც არც სოციალური პირობა აქვს, არც კლასობრივი, არც რელიგიური, არც კულტურული. ალუდა ქეთელაური,

ამას შეიძლება ვუწოდოთ პოლიტოგენეზი, რითაც აღვნიშნავ ადამიანის კოლექტიური იდენტობის ევოლუციურ პროცესს, როდესაც ეთნიკური, სისხლით ნათესაობის პრინციპზე დაფუძნებული თვითცნობიერება გარდაიქმნება პოლიტიკური თანაზიარობის ცნობიერებად. ეს გადასვლა გულისხმობს ეთნიკური პრინციპის ჩანაცვლებას ისეთი იდენტობით, რომელიც ეფუძნება გადაწყვეტილებას, სოლიდარობას, თანაგრძნობასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

ისევე როგორც ჯოყოლა, სიტუაციურად დგებიან კულტურული ნაპრალის მეორე, მათთვისაც მანამ უცხო, მხარეს: ისინი სხვაში აღმოაჩენენ იმ მსგავსებას, საერთო ნიშანს, რომელსაც არა ისტორიული, არამედ „უნივერსალური ადამიანი“ ატარებს, ხოლო საკუთართან იმ განსხვავებას აუმხედრდებიან, რომელსაც არაფერი მიანიშნებდა, რადგან დაფარული იყო ურთიერთმსგავსების ისტორიული ფორმით მათი საზოგადოების ერთობას რომ კრავდა. როცა საკუთარ ადამიანურობას სხვის იერსახეში ვცნობთ და მასში ვხედავთ მის თავისებურებასა და ინდივიდუალობას, „ჩვენისა“ და „უცხოს“ ნარცისული ასიმეტრია მარტოოდენ კი არ ბალანსდება, არამედ წარმოიქმნება იმპულსი, კულტურული აფექტი, რასაც ადამიანს, უბრალოდ, პრაგმატული აზრი კი არ კარნახობს, რომ მარტო არ იყოს, არამედ, პირიქით, სწორედ ეს მარტოობა, როგორც ჭეშმარიტების გამოცდილება უბიძგებს, სხვას გაუზიაროს იგი. ამ გაზიარების ყველაზე ღია გრძნობა ზრუნვაა, რომელშიც ნარცისული ჩიხი სხვაზე ზრუნვაში გადაილახება. ამას შეიძლება ვუწოდოთ პოლიტოგენეზი, რითაც აღვნიშნავ ადამიანის კოლექტიური იდენტობის ევოლუციურ პროცესს, როდესაც ეთნიკური, სისხლით ნათესაობის პრინციპზე დაფუძნებული თვითცნობიერება გარდაიქმნება პოლიტიკური თანაზიარობის ცნობიერებად. ეს გადასვლა გულისხმობს ეთნიკური პრინციპის ჩანაცვლებას ისეთი იდენტობით, რომელიც ეფუძნება გადაწყვეტილებას, სოლიდარობას, თანაგრძნობასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობას. ამ კონტექსტში, რელიგიური თუ ეთნიკური განსხვავებულობა აღარ არის გადაულახავი ბარიერი. პირიქით, იგი ხდება მოდერნული პოლიტიკური ერთობის წინაპირობა - წინაპირობა ერთობისა, რომელიც ცნობიერად აღიარებულ მრავალფეროვნებასა და საერთო ღირებულებითი წესრიგის ერთგულებაზე დგას.

ქართული ლიტერატურა ამ შინაარსით მდიდარია. ეს ის სიმდიდრეა, რომელშიც პოლიტიკური სული დგას და ვიყენებთ ხოლმე, როგორც პოლიტიკური რეალობის კომპენსაციას და იმედის ობიექტურ წყაროს. კულტურულად მდიდრისა და პოლიტიკურად ღარიბის ქართული ასიმეტრია ისტორიული მოცემულობაა, რომელიც ამ ასიმეტრიის დამბლარავ იმ მიზეზებსა და ხერხებზე დგას, რომელთა გააზრების გარეშე ყოველთვის დავრჩებით მსოფლიო პოლიტიკური სცენის მარიონეტებად, ეგზოტიკურ თოჯინებად, წარმოსახვით ორეულებს რომ იმიტირებენ, რადგან არ იციან და არ სურთ იცოდნენ, თუ როგორ უნდა იცხოვრონ.

იოანე ტეტიაშვილი

მორჩილების ფსიქოლოგია

„Jedes Volk durchläuft den Ödipuskomplex – es muss seinen König töten, um erwachsen zu werden.“
„ყველა ერი გადის ოიდიპოსის კომპლექსს - რომ გაიზარდოს, მან უნდა მოკლას მეფე.“

- ლევ ტროცკი ხომ თქვენი ფანი იყო. თქვენც თანაუგრძნობდით.

- სანახევროდ. ეგ ამბობდა, რომ რევოლუციას თავიდან სისხლი და გვემა მოჰყვება, ცოტა ხნის მერე კი ხალხი მიიღებს საყოველთაო ბედნიერებასო. ამაში სანახევროდ ვიყავი და ვარ დარწმუნებული, იმიტომ რომ ამ აზრის მხოლოდ პირველი ნაწილის მჯეროდა. - ირონიული ღიმილით უპასუხა ინტელიგენტური გარეგნობის ხმელმა მოხუცმა.

გაზაფხულის წვიმიან საღამოს, უკვე საკმაოდ ხანდაზმული ზიგმუნდ ფროიდი და მისი გამორჩეული პაციენტი, მდიდარი ოდესელი ემიგრანტი სერგეი პანკეევი (პანკეევის ბავშვობაში გადატანილი ფსიქოლოგიური ტრამვის შესწავლით ფროიდმა საფუძველი ჩაუყარა კვლევას - Aus der Geschichte einer infantilen Neurose - Der “Wolfsmann”) ვენის კაფე “ცენტრალში” ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ.

● ექიმო, მე გამუდმებით ვფიქრობ რუსულ ჯოჯოხეთზე, ამდენ სისხლისღვრაზე, გადასახლებებზე.

● ხომ ხედავთ, ტროცკიც კი გაასახლეს, ხალხი დაადუმეს.

● მითხარით, რასთან გვაქვს საქმე? სიგიჟესთან? წყევლასთან?

ფროიდმა სათვალე მოიხსნა და ჯიქურად მიაშტერდა ყოფილ პაციენტს, თითქოს არა ადამიანს, არამედ მთელ ეპოქას უყურებდა.

● ფუჭად ელოდები ფსიქოანალიტიკოსისგან

პოლიტიკური მოვლენების სწორად შეფასებას ან მათი შედეგის პროგნოზირებას. ეს ჩემთვის შეუძლებელია.

● მაშ, რა ხდება? შიზოფრენია?

● არა. შიზოფრენია ეგოს ანადგურებს, აქ პირიქით, ეგო ზედმეტად მოჭარბებულიც კია. ხელისუფლების ეგო იმდენად დიდია, რომ სამყაროს ცენტრად თვლის თავს. ჩვენ ძალაუფლებით ტკბობის საშინელ თამაშს ვაკვირდებით.

● და საკუთარი თანამზრახველების შთანთქმა? ეს ხომ კანიბალიზმია?

● არც ეგაა. კანიბალიზმი ვნების აქტია. აქ კი უფრო ანგარებასთან გვაქვს საქმე. მომხრეებს კი არ ჭამენ, არამედ აწრთობენ და წვრთნიან - მორჩილებასთან, შიშთან, დეპრესიასთან შეგუებას აჩვევენ და ბოლოს ისე ამცირებენ, რომ მსხვერპლი ამას ნორმადაც აღიქვამს.

● აბა, მაზოხიზმი მეტი კი არაფერია?! თვითგვემასა და ტანჯვაში ეძებენ სიამოვნებას.

● მაზოხისტი სიამოვნებას საკუთარი ტკივილებით იღებს. აქ კი სხვების მოთვინიერებით განიცდიან სიამოვნებას, რომელსაც ძალაუფლება აძლევს.

● მაშინ, იქნებ კარმაა? ძველი ცოდვების საზღაური?

● კარმა მოსახერხებელი სიტყვაა მათთვის, ვისაც ეშინია არაცნობიერის აღიარების. ადამიანებისთვის უფრო ადვილია თქვან - „ეს ჩემი კარმაა“, ვიდრე აღიარონ, რომ მათი ქმედებები და პრობლემები მათივე შინაგანი, გაუცნობიერებელი მოტივების შედეგია. კარმა “რელიგიური” დეკორაციაა არაცნობიერის შიშის დასაფარად. საზოგადოება ვერ იტანს იმის აღიარებას, რომ თვითონ ქმნის საკუთარ სატანჯველს - ამიტომაც ამბობს „ეს ჩვენი ბედიაო“, თითქოს იშორებს შინაგან პასუხისმგებლობას.

ფროიდმა სიგარა მოქაჩა, კვამლის სქელი ნაკადი გამოაბოლა. მერე ჩაი მოსვა, ჭიქა ფრთხილად დადგა ლამბაქზე და თავში ცხოვრებაში პირველად გაურბინა ასეთმა აზრმა:

● “მთელი ცხოვრება ადამიანების სიზმრებში ბნელ კუთხეებს ვეძებდი, მაგრამ ყველაზე ბნელი ზმანება გარეთ ყოფილა - ქუჩებში, სახელმწიფოებში, ხალხში, რომელიც ხანდახან საკუთარ მეფესაც კლავს, მაგრამ ისევ ახალ ტირანს შობს”.

● არა, ჩემო ძვირფასო სერგეი... ეს ყველაფერი უფრო ზოოფილიას ჰგავს. ერთგვარი სიყვარული ერთგული ძაღლებისა და საქონლის მიმართ - მათი გაუპატიურებით ორგაზმის განცდა, მოფერების და, იმავდროულად, დამცირების აქტი. ხალხი ერთდროულად სიძულვილით და სიყვარულით არის მიჯაჭვული ძალაუფლებას, რომელიც ანადგურებს თავად მათ. ტოტალიტარიზმი არ არის პოლიტიკური სისტემა - ეს უფრო საზოგადოების ფსიქოსექსუალური პათოლოგიაა. ხელისუფლება ხალხს აღიქვამს, როგორც შინაურ ცხოველებს - ერთდროულად მოსიყვარულე და დამცირებულ არსებებად.

პანკეევი კარგა ხანს დადუმდა. შემდეგ კი ჩუმად ჩაიცინა, ალბათ სიხარულისგანაც, მაგრამ უფრო მეტად ეს სიცილი გონების “განათებით” იყო ნაკარნახები.

ამასობაში გარეთ წვიმა შეწყვეტილიყო. თითქოს მშვიდი ცა უხმოდ იმეორებდა იმას, რაზეც ორნი საუბრობდნენ - არაფერი მთავრდება, მხოლოდ ფორმას იცვლის. ადამიანებს შეუძლიათ მეფის მოკვლა, მაგრამ ვერასდროს კლავენ მორჩილების სურვილს საკუთარ თავში. ■

ნანა კალანდაძე

თბილისი ჩემებურად...

თბილისზე მინდა დავწერო, მე რომ გავიზარდე, იმ დროის თბილისზე! უამრავი ფაქტი, სურათი, მოგონება მეხვევა თავს, მაგრამ არ ვიცი, საიდან დავიწყო... ახლა ისეთი რამ დამემართა სკოლაში ქართულის საკონტროლო წერის დროს, „თემის“ დაწყება რომ გიჭირდა და შეიძლება რვეულის ფურცელიც ამოგეხია საკუთარი პრიმიტიულობით შეწუხებულს. „ყველა ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ!„, „ყველას ჩვენი წილი თბილისი გვაქვს!“, „თბილისის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ!“ და სხვა მსგავსი ფრაზები უკვე ითქვა, თანაც ბევრჯერ და, ცოტა არ იყოს, შაბლონის ელ-ფერმაც დაჰკრა. ორიგინალურობაზე თავს ვერ დავდებ, თუმცა ვეცდები ამ ფრაზების თავის არიდებით ჩემი მოგონებები გავაცოცხლო თბილისში და, პირიქით, თბილისი გავაცо-ცხლო ჩემს ნოსტალგიაში...

ამას წინათ, „ფეისბუქზე“ ვიღაცამ თბილი-სური, ასე ვთქვათ, სიმბოლოები „შემოყარა“ და რას დაამატებთო, გამოგვიწვია. წამოვ-იდა ნაირნაირი მოგონების ჩანჩქერი - აქეთ ლაღიძის წყლებიო, იქით „ფრანციაო“, „გოფილექტის ბაღი“ და „კირიჩნიო“, „პლე-ხანოვი“ და „ნახალოვკაო“, „ზემელის აფთიაქი“ და „ჩაშკას“ წამლებიო... მოკლედ, ვისაც რა ახსენდებოდა... რასაკვირველია, მეც ბევრი მივიწყებულ-მიძინებული თბილისური ფაქტი თუ სახელი ამომიტივტივდა გონებაში.

როგორც ადრე მოგახსენეთ, მთაწმინდელი ვარ და დღემდე არ მიღალატია ჩემი უბნი-სთვის. სახლი, სადაც ვცხოვრობ, არაფრით არაა გამორჩეული, მეტიც, უღიმღამოა და, მიუხედავად მხცოვანი ასაკისა, ისტორიული ძეგლის სტატუსი არ გააჩნია, მაგრამ ჩემთვის ის ვერსალის სასახლეცაა და ტაჯმაჰალიც.

როცა მეკითხებიან, სად ცხოვრობო, ხშირად ვუპასუხებ, რუსთაველზე, მთაწმინდაზე –თქო და არ ვტყუი, რადგანაც თბილისის უმთავრესი პროსპექტიდან სულ რაღაც ასიოდე მეტრი მაშორებს. ეს ადგილი მართლაც რომ ქალაქის გულის გულია და ამას აქ განლაგებული მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და კულ-ტურული დაწესებულებები ადასტურებს, თუმცა

ზოგი მათგანი დაანგრიეს, ზოგი დაწვეს, ზოგი გადააკეთეს, ზოგიც უცხოტომელებს მიჰყიდეს...

მე ვეკუთვნი თაობას, ვისაც ახსოვს, რომ მეცნიერებათა აკადემიის შენობაში „შახტასტროი“ იყო განლაგებული, ვინც კინო „სპარტაკსა„ და „დეკაში“ (ოფიცერთა სახლში) დადიოდა, ვინც „დომ კინოს“ საშვს დიდი ძალისხმევით შოულობდა არასაბჭოური ბაზრის ფილმების სანახავად ... ვინც გათითხნილ სამელნეში გამჭვირვალე ვარდისფერტარიანი ნახევარკალმით დაწერილ დეპეშებს აგზავნიდა „ფოსტა-ტელეგრაფიდან“, ვისთვისაც „პიონერთა სასახლე“ ბავშვური ბედნიერების მექას წარმოადგენდა, ვინც კაფე „მეტროში“ და სასტუმრო „თბილისის“ გვერდით, „ბამბუკებიან“ კაფეში დადიოდა ვითომხორციანი „ბლინჩიკების“ საქმელად, ვინც ზაფხულობით ალექსანდრეს (ანუ როგორც უმრავლესობა ეძახის, „ალექსანდროვის“) ბაღის სანაყინეში ფეხიანი „ნერჟავეიკის“ თასიდან ალუმინის გაღუნული კოვზით მიირთმევდა პლომბირს, ვისთვისაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო „აჭარულები“ და დიდი მიტროფანე ლაღიძის წყლები, რომელთა შორისაც ყოველთვის ლიდერობდა უნიკალური და მთელ დუნიაზე არსადარსებული „ნაღები შოკოლადით“ და რომლის გასასინჯადაც საიდან აღარ მოდიოდა ხალხი; ვისაც „ბორჯომის“ მაღაზიაში ერთხელ მაინც დაულევია მინერალური წყალი გაქონილი თლილი ჭიქით, რომელსაც პირქუში დეიდა გაბრაზებული სახით გამოგიცურებდა ხოლმე წყლით დაჭუპჭუპებულ მარმარილოს ზედაპირზე შენ მიერ „გაცურებული“ ათკაპიკიანის სანაცვლოდ; ვისაც ახსოვს „ჩაი გრუზიას“ მაღაზია შოკოლადის არნახული „სუფლეთი“, „ზეფირით“, „ოცნებითა“ და ვაფლის „კაკლუჭებით“, ასევე კაფე-საკონდიტრო „ნარგიზის“ წყალწყალა კაკაო და ოცდაორკაპიკიანი ნამცხვრები; ვისთვისაც ძალიან ნაცნობი იყო „სგუშჩონკების“ პირამიდებით და შვეიცარიული ყველის წითელ-ყვითელი „დოლაბებით“ გაფორმებული რძის მაღაზიის თაროები და რკინის ბადურებში მოთავსებული მინის ბოთლების წკარუნი; ვისაც დარწმუნებით აჯერებდნენ, რომ „კვასის“ (ბურახის) ცისტერნა მატლების სავანე იყო და იმის დალევა კატეგორიულად არ შეიძლებოდა; ვინც „საუნჯეში“ ყიდულობდა წიგნებს (თუ დურმიშხანს იცნობდა - იშვიათ გამოცემებს!) და საკანცელარიო ნივთებს, მაგალითად, „ისკუსტვოს“ ფერად ფანქრებს, ნავთის სუნით გაჯერებულ უღიმღამო „ფერად“ პლასტელინს, „ჟატის“ ქაღალდებს, კალმებს და ნატურალური „ზამშის“ რამდენიმეფენიან კალმის საწმენდს და ა.შ.; ვინც განებივრებული იყო ქართული აბრეშუმის ქსოვილით, უპრობლემოდ რომ იყიდებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის კუთხის მაღაზიაში, რომლის გამყიდველიც ჯერ ოსტატურად გადაჭიმავდა ნაჭერს რკინისბოლოებიან გაპრიალებულ მეტრიან საზომზე და მერე მაკრატლის უსწრაფესი „ამოტარებით“ გადაგიჭრიდა, აუცილებლად ირიბად; ვისაც ახსოვს მაღაზია „ლუქსი“ თავისი „ქსოვილების კარუსელებით“ და უზარმაზარი სარეკლამო ფეხსაცმლით ვიტრინაში; ვინც მელიქ აზარიანცის სახლში მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადიოდა და სპექტაკლიდან გამოსული მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რვაკაპიკიანი „პონჩიკები“ რომ ეყიდა იქვე, კუთხის გასტრონომში; ვისაც ახსოვს აეროფლოტის სალაროების „აჟურული“ შენობა და აეროპორტისკენ მიმავალი „იკარუსების“ ბოლო გაჩერება, მათი გამონაბოლქვით გაშავებული შოთა რუსთაველის ოდესღაც თეთრი ძეგლი რომ დაჰყურებდა ზემოდან; ახსოვს ფუნიკულიორზე მიმავალი საბაგირო გზის ქვედა სადგურის რიკულებიანი „სერპანტინები“;

დიახ, ის თაობა ვარ, ვისაც ასეთი რუსთაველის გამზირი შემორჩა მეხსიერებაში, ვინც მეტროს წინ ქალის წვრილქუსლიანი ფეხსაცმელებით დაკეჭნილ ასფალტზეც დააბიჯებდა და ქართველისაგან ქართველის მისამართით გასროლილი ტყვიის ჰილზებზეც... ვისაც საშვიდნოემბრო და საპირველმაისო პარადზე ჩავლილი სასულე ორკესტრის საზეიმო მარშების ხმაც გაუგონია და რუსი „სპეცნაზელების“ მიერ გამჭვირვალე ფარებზე „დუბინკის“ ბრაგუნისაც... ვისაც საკუთარი თვალით აქვს ნანახი ცეცხლში გახვეული ოპერის თეატრი და პირველი გიმნაზიის დაბომბვა ვერტმფრენიდან...

ამ თემაზე აღარ გავაგრძელებ ...

ჩემს თაობას კომუნისტურ და პოსტკომუნისტურ წყობილებათა გასაყარზე მოუწია ცხოვრებამ. ერთპარტიული, ერთმიზნიანი, დეფიციტებისა და კორუფციის გაქვავებული ქვეყანა ერთ მშვენიერ დღეს გადაიქცა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დომხლად და ზოგი იმ „ბედნიერი

და წყნარი“ ცხოვრების გამტირებლად აქცია, ზოგიც კიდევ თავისუფლებისა და ცივილიზებული მომავლის მჭვრეტლად. რამდენჯერ ოხვრით წარმოგვითქვამს ფრაზა „ნეტავ იმ დროს!..“, მაგრამ ის ხომ სხვადასხვა შინაარსს იტევს. ვიღაცას დანგრეული სსრკ ენანება, ვიღაცისთვის კი სამი სიტყვა ნოსტალგიური შინაარსისაა და გულისხმობს იმ უზრუნველ ხანას, როცა გარს გეხვეოდნენ საყვარელი ადამიანები, როცა შეძლებისდაგვარად უზრუნველ ბავშვობასა და ახალგაზრდობას გიქმნიდნენ, როცა ყველაფერს სუფთად და ნათლად ხედავდი შენ ირგვლივ... ასეა, გვენატრება ის, რაც აღარ დაბრუნდება და გამეორდება...

ვიღაც დაჟანგებული კომუნისტი რომ იტყვის, რა ქვეყანა დაგვინგრიესო, დიაგნოზი ხომ დასმულია! მაშინვე ეტრატივით ჩამოიშლება ხოლმე ასეთების ცხოვრება-კა-



რიერის გზა. რას იზამ, მათი ნოსტალგია კიდევ ეს არის! ახალმა ცხოვრებამ ახალი წესები შემოგვთავაზა, რასაც ყველამ ვერ აუღო ალღო. თუმცა, ზოგი ალბათ დამეთანხმება, რომ ბევრი ქართველისთვის ნებისმიერი სიახლე რთულად შესაგუებელ-გადასახარშია, ამიტომაც ის და იქ ურჩევნია, სადაც ასე თუ ისე მოკალათებულად გრძნობს თავს (დიდება სულმნათი ილიას სახელს!). ჰოდა, ბევრ „კარგქვეყანადანგრეულს“, რომლებიც ზემოდან დარეკვით, თვალის ჩაკვრით, „ჩაწყობით“, დახლქვეშა პრივილეგიებით, „ბლატით“ და ათასი ხრიკით ცხოვრებას იყვნენ მიჩვეული, გამოყოლილი აქვს ის „გემო“ და დღემდე ვერ იჯერებს, რა სიმახინჯის შედეგი იყო ყოველივე. გვინდოდა თუ არ გვინდოდა, მეტ-ნაკლებად ყველა ასეთ ყოფაში ვიყავით ჩართული. ვერაგი სისტემა თავის ჭკუაზე გვაცეკვებდა. „გოსსტანდარტის“ ბეჭედი იგრძნობოდა ყველგან და ყველაფერში. სიტყვა „სტანდარტი“ ტყუილად არ გამხსენებია. როგორც ვთქვი, მისი მნიშვნელობა მკაფიოდ იყო გამოკვეთილი „მაშინდელი“ ყოფის ფონზე, თუმცა სტანდარტს გააჩნია... ბევრი მათგანი მავნებელი იყო, ბევრი კი რაღაცნაირად სიტყვა „ტრადიციას“ მიუახლოვდა და, კაცმა რომ თქვას, მთლად ცუდიც არაფერი „ჩაუდენია“.

თბილისს თბილისური ჰქონდა სტანდარტიც, ტრადიციაც, წესიც და, თუ გნებავთ, მოდაც! რამდენ სითბოს და ზოგჯერ ღიმილს გვგვრის მაშინდელი ნივთები, ადგილები, ფაქტები ან ეპიზოდები. ერთი-ორზე შევჩერდები...

ჩვენი ბავშვობა წარმოუდგენელი იყო ქალაქის სამი მთავარი, როგორც დღეს უწოდებენ, სარეკრიაციო ზონის გარეშე; ეს გახლდათ და გახლავთ ვაკის პარკი, მუშთაიდის ბაღი და მთაწმინდის პარკი, ანუ როგორც ვუწოდებთ - „ფუნიკულიორი“ (არადა, ეს თავად სატრანსპორტო საშუალებას აღნიშნავს და არა პარკს, მაგრამ არა უშავს). უფრო მცირე სკვერებიც იყო და თავის საქმეს უდავოდ აკეთებდა, მით უმეტეს, რომ ასეთი მაღალ- და უხვშენობიანი არ იყო მაშინ თბილისი. ყველა პარკს თავისი „იმიჯი“ ჰქონდა.

ჩემთვის ყველაზე ახლო და ხელსაყრელი სწორედ მთაწმინდის პარკი გახლდათ. იქ ასასვლელად იყო და არის სამი გზა: სამანქანო, ტრამვაის და საბაგირო (თუ არ ჩავთვლით მრავალწლიან პაუზას, რადგანაც 1990 წლის 1 ივნისის საბაგირო გზის საშინელი ტრაგედიის შემდეგ ეს ტრანსპორტი გაუქმდა და ახლახან

აღდგა სრულიად ახლებური ტექნოლოგიით აღჭურვილი).

ყველაზე მეტად ტრამვაი მიყვარდა და, მიუხედავად იმისა, რომ მასაც ჰქონდა გარკვეული „საავარიო ისტორია“, მაინც დღესაც მისკენ მიმიწევს გული.

გასული საუკუნის დასაწყისში ვიღაცას უთქვამს, რა მშვენიერი პლატოა მამადავითის ეკლესიის თავზე, „ზედა ქალაქი“ ხომ არ გაგვეშენებინაო. იდეა მოსწონებიათ, მაგრამ მთაზე ასვლა-ჩამოსვლა მთლად ადვილი საქმე რომ არ იქნებოდა „ზედაქალაქელებისა“ და, გნებავთ, მათთან მიმსვლელებისთვის, ხომ ცხადია. იმხანად თბილისის ტრამვაის ქსელს თურმე ბელგიური კომპანია განაგებდა. ინჟინერი ჰყოლიათ მეტად გამჭრიახი სპეციალისტი - ალფონს რობი და უთქვამს, ამ საკითხს ფუნიკულიორით, ანუ სამთო ტრამვაით, თუ გადავჭრითო. დატრიალებულან ჩვენი და



ევროპელი ბიჭები. ფრანგი ინჟინრის ბლანშის სამშენებლო პროექტის არქიტექტურული ნაწილი თბილისელ ხუროთმოძღვარს, წარმოშობით პოლონელ ალექსანდრ შიმკევიჩს შეუსრულებია, ჩართულან საქმეში ბელგიელი და იტალიელი ინჟინრები, მაგრამ კარგი ხარისხის მშენებლობას ასეთივე ხარისხის მასალაც ხომ სჭირდებოდა. ჰოდა, ნათელში იყოს ნიკო ნიკოლაძის სახელი, მისი მხარდაჭერით შესრულდა ყველაზე მთავარი – რკინა-ბეტონის სამუშაოები და ასე ქართულ-ევროპული მეგობრობა-თანამშრომლობით აშენდა თბილისის ერთ-ერთი სიმბოლო, რომელიც 1905 წლის 27 მარტს გაიხსნა თავისი სტუმრებით და „დუხავოი ორკესტრით“. ვითომ საიდუმლოდ გეტყვით, რომ ბელგიურმა ანონიმურმა საზოგადოებამ კარგი ფულადი ჯილდო გამოაცხადა პირველი გულადი მგზავრებისათვის, მაგრამ მათი ვინაობა შეერია ისტორიას. სამაგიეროდ, არსად დაკარგულა და თან არავის წაუღია ეს ჩვენი საბაგირო რკინიგზა, რომელიც სულ რაღაც 45 წლით იყო იმ უსახელო ბელგიელების კუთვნილება და მერე, პირობისამებრ, უსასყიდლოდ გადაეცა ქალაქს. ფაქტია, „ზედა ქალაქის“ პროექტი თავისი ქუჩა-სახლებითა და მიდი-მოდით ვერ შედგა, სამაგიეროდ, საყოველთაოდ საყვარელი პარკი გაშენდა.

ისე, სიტყვამ მოიტანა და, თბილისის მთები დღეს ძალიან გადაიტვირთა შენობებით, მაგრამ არა მგონია, ეს „ზედა ქალაქის“ იდეის ცოდნით იყოს განპირობებული. უსისტემოდ მიმოფანტულ, ბევრწილად უგემოვნო ნაგებობებს ვერ იხდენს ჩვენი ქალაქი ვერც მთებზე და ვერც უბნებში, მაგრამ ვინც უნდა კრძალავდეს ამას, სწორედ ის „აშენებს“ და რას ვიზამთ... არადა, დარწმუნებული ვარ, ის მაშინდელი იდეა ნაკლებად ვანდალური იყო ბუნების და, გნებავთ, ხედის მიმართ...

და მაინც, ამ პარკს ყოველთვის ჰქონდა ჯადოსნური ანდამატი, რითაც იზიდავს ჩვენიანს თუ სტუმარს. ჰოდა, აბა, როგორ გამოვაკლდებოდი ამ „მოჯადოებულთა“ ლაშქარს! არაფრით განვსხვავდებოდი ატრაქციონების მოყვარული და მათზე „კატაობით“ გულგახარებული ბავშვებისაგან. მეც ჩვეული გულისფანცქალით ვიდექი კარუსელების რიგში შაურიანით ხელში, თავგამოდებით ვუქნევდი ხელს დედას ყოველი ბრუნის დროს, ვქანაობდი ჯერ პატარების, მერე დიდების „ნავებზე“, რომელსაც „დასპეცებული“ ბუქნით

ავკრავდი ხოლმე სიმაღლის დასაპყრობად, ვკიოდი ჯაჭვებიან კარუსელზე, როცა უკანა „მეზობელი“ დატრიალებით „გაისროდა“ ჩემს დასაჯდომ სკამს; კანკალით, მაგრამ მაინც ვჯდებოდი „ეშმაკის ბორბალზე“... ტირი? ვგიჟდებოდი ტირში სროლაზე. ცალთვალდაკარგული (იმ დროს რატომღაც ბევრ მეტირეს შეხვდებოდით ამ პრობლემით. მათი თვალი ვინმეს მიერ აცდენილი ტყვიის მსხვერპლი იყო თუ სხვა მიზეზი ჰქონდათ, ვინ იცის...) პირქუში კაცი გულგაწყალებული გამომეტყველებით დაგიგდებდა ე.წ. თოფს დახლზე, მერე ჩაშავებულფრჩხილიანი საჩვენებელი თითით გადმოგითვლიდა ფუნჯიან „ფისტონებს“ და უგულოდ აგიხსნიდა, რა წერტილს უნდა დაუმიზნო „მუშკა“. განსაკუთრებით აღიზიანებდა მეტიჩარა გოგოები, მაგალითად მე, მაგრამ სამსახური ჰქონდა ასეთი და რა ექნა.

ერთხელ ბიძაჩემმა დედა და მე დაგვპატიჟა რესტორანში. ძველებს აუცილებლად გახსოვთ ფუნიკულიორის რესტორანი, ოღონდ ის კი არა, მთლად თბილისს რომ გადმოჰყურებს და მთელი თბილისი რომ უყურებს, უფრო პარკის სიღრმეში, სტალინის ნაძეგლარი კვარცხლბეკისკენ კიბეს რომ აუყვებოდი, ხელმარცხნივ ... ეს კვების საზოგადოებრივი ან, თუ გნებავთ, საზოგადოებრივი კვების პუნქტი, ცისფრად შეღებილი ცხაური მოაჯირით შემოვლებული, რამდენიმე მრგვალი ფანჩატურისაგან შედგებოდა და ერთიდან მეორეში დარბოდნენ თეთრწინსაფრიანი და თეთრივე გახამებული „გვირგვინით“ თავშემკული „ოფიციანტკები“ ალუმინის გადაძეძგილი სინით ხელში. ეს რესტორანი მე ავირჩიე, იმიტომ რომ მის გარშემო ყველაზე მეტი ატრაქციონი იყო და ჭამის შემდეგ „გართობა-დესერტიც“ გარანტირებულიმქონდა (გეგონება, ვინმე ამაზე უარს მეუბნებოდა). რადგან რესტორანი ჩემი მოწონებული იყო, ბიძაჩემმა ვახშმის მენიუს შერჩევაც მე მომანდო. საჭმელების ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, გაქონილ მუყაოზე დაბეჭდილი სახითაც ჰქონდათ, მაგრამ შეკვეთა ხშირად კლიენტისა და ოფიციანტის დიალოგით მიმდინარეობდა. ოფიციანტი - მეტწილად უხეში - თავზე გედგა ფურცლებაპრეხილი ბლოკნოტითა და ქიმიური ფანქრით და დაღეჭილ-დაზეპირებული ტექსტის მონოტონური და შეღონებული შესრულების შემდეგ გამოღმა კითხვების დასმის გარეშე იწერდა შეკვეთას. ვინც არ იცით, მოგახსენებთ, რომ საბჭოთა რესტორნები არ გამოირჩეოდა დიდი კრეატიულობით, თუმცა, ოფიციანტი ქალის „მონოლოგში“ ერთმა დასახელებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, ეს იყო „ჩიჟი-ბიჟი“. შევატყვე, ჩემს გადაწყვეტილებას ჩვენების დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია, მაგრამ სიტყვა სიტყვა იყო და ნიორწყალში წამოწოლილ წიწილასთან, ვარდისფერხახვებმოყრილ ნამდვილად ჭოპორტის პომიდვრიან და ნამდვილად მუხრანის კიტრიან სალათთან, კიდევ სხვა რაღაც-რაღაცებთან ერთად ბიძაჩემმა ისიც შეუკვეთა. ჰო, კიდევ თბილი და საშინელი ლიმონათი და ღვინო პატარა დოქით.

გაიშალა სუფრა. „ჩიჟი-ბიჟი“ აღმოჩნდა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, პომიდვრიანი ერბოკვერცხი, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და ცოტა გეახელით. შებრაწული წიწილის თეთრმა ხორცმა მაინც თავისი გაიტანა და

„შემოსწრებულმა“ ცხელ-ცხელმა ხაჭაპურმაც არ დააყოვნა, დაეგვირგვინებინა ტრაპეზი.

ასე დაწვრილებით ეს დღე მახსოვს იმიტომ, რომ ატრაქციონებზე პირველად „მოვიგე“ რაღაც, რამაც უზომოდ გამაბედნიერა. ჩვენი ფანჩატურის გვერდით იყო ატრაქციონი „სერსო“. ყიდულობდი, ვთქვათ, 10 რკინის რგოლს, რომლებსაც ქსოვილის ტურტლიანი ლენტი ჰქონდა შემოხვეული (ძირითადად მაინც ალაგ-ალაგ მოგლეჯილი) და გარკვეული მანძილიდან ნასროლი უნდა ჩამოგეცვა საგანგებო ხის პალოებზე, რომელთაც ქულები ჰქონდა მიწერილი. თამაშის წესებს არ ჩავუღრმავდები, უბრალოდ გეტყვით, რომ ამ ატრაქციონზე სრული მარცხი განვიცადე. გადავინაცვლეთ გვერდით ფარდულთან, სადაც ბურთებით უნდა გაგენადგურებინა კონსერვის ცარიელი ქილებით აღმართული პირამიდა. ამ ჟანგიან ქილებს კიდევ რა

უჭირდა, მაგრამ ბურთები იყო მეტად შთამბეჭდავი: როგორც ჩანს, სადღაც, „ცეხში“, მათ კერავდნენ ყავისფერი ბამბის გადაყრილი „ჩულქებისაგან“ და მერე ურიგებდნენ მსგავს ატრაქციონებს, რადგანაც ყველგან იმავეს ნახავდით. ფაქტია, რაღაც ხარახურით გამოტენილი „ბურთები“ ცვდებოდა და ახლით ანაცვლებდნენ ხოლმე, „ჩულქებს“ კიდევ რა გამოლევდა... ბიძაჩემმა „ჩამიწყო“, რომ შედარებით ახალი ბურთები მოეცათ ჩემთვის, მერე მომიბრუნდა და დამიწყო ახსნა, თუ როგორ უნდა დამემიზნებინა. ერთი ახედვა ავხედე საპრიზო თაროზე შემოსკუპებულ ფუმფულა სათამაშო ლეკვს, რომელიც არცერთ საბჭოურ სტანდარტს არ აკმაყოფილებდა, რადგანაც ფერიც ნორმალური ჰქონდა და ფორმაც. ეს აღსანიშნავი ფაქტია! ვიცი, ბევრს გაგახსენდებათ გია დანელიას „მიმინოდან“ ნარინჯისფერი ნიანგის ამბავი, რომლის მწვანედ შეღებვის მცდელობა ჰქონდა გულდაწყვეტილ რუბიკ ხაჩიკიანს თავისი „ალბერწიკას“ გულის გასახარად. რას ვიზამთ, ასეთი „არანჟევი“ იყო მაშინ ყველაფერი...

ჰოდა, დავილაგე ერთი სეანსის ხუთბურთიანი ულუფა და დავიწყე თვალით ზომვა, ვითომ რამე მესმოდა. ავიღე ერთი ჩულქბურთი და სანამ ბიძაჩემის ხმა მომწვდა, ჯერ ქვემოთ დაუმიზნეო, მოვისროლე სადღაც მოუსავლეთში. დამრჩა ოთხი „ყუმბარა“. ავიღე მომდევნო და... მოვახდინე სასწაული! ეს ბურთად წოდებული რაღაც პირდაპირ ქვედა რიგს მოხვდა (შემთხვევით, რასაკვირველია!) და ერთიანად წალეკა მთელი კონსტრუქცია. დარჩა სამი ქილა. ატრაქციონის მუშაკი დამემუქრა, ესაა, რაცაა, ამას ვერაფერს უზამო. მოვიკრიფე მთელი სნაიპერული ძალები და იმ სამიდან ორი ქილა არ გავისტუმრე კულისებში?! იმ ორი ბურთით რომ დარჩენილ ეულ ქილას ვერაფერს დავაკლებდი, ცხადია. ვისროლე ერთი და, შენც არ მომიკვდე, აი მეორემ კი ქილა გვარიანად გასწია გვერდით, თუმცა ვერ გადმოაგდო...

უკნიდან შეძახილები გავიგონე, რა ყოჩაღი ხარო, ვიღაც ბიძები სროლის „იშტაზეც“ მოვიდნენ. მე გულდაწყვეტილი გამოვბრუნდი, დედა რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ ჩემი ყურადღება იმ საპრიზო სათამაშოსთან დამრჩა. ამ დროს ბიძაჩემმა დაიძახა, სად მიდიხარ, საჩუქარი არ მიგაქვსო? ყურებს არ დავუჯერე, მივბრუნდი და პატიოსნად ჩავილუღლუღე, ყველა ხომ არ გადამიგდია-

მეთქი. რას ჰქვია არ ჩამოგიგდია, იმხელა მანძილზე გასწიე ბოლო ქილა, ყველას კი არ შეუძლიაო, მითხრა ბურთების დამრიგებელმა და საზეიმოდ გადმომცა საყვარელი სათამაშო. ბიძაჩემის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დღემდე არ ვიცი, იმ ატრაქციონის მუშაკმა გამოიჩინა ადამიანობა თუ ბიძაჩემი „ჩაერია“ ამ საქმეში, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ბედნიერი დავბრუნდით.

მთაწმინდის პარკში ჩემს ყურადღებას იპყრობდა კიდევ ერთი ობიექტი, რომელსაც ვიღაც ობსერვატორიას უწოდებდა, ვიღაც ტელესკოპს, ვიღაც ასტრონომიულ ოთახს, მაგრამ მთავარი არა სახელი, არამედ დანიშნულება იყო. თუ სწორად მახსოვს, არცთუ დიდი, მომრგვალებული ოთახი იყო, ასევე მომრგვალებულად განლაგებული სკამებით. სანახევროდაც რომ შევსებულიყო ეს ადგილები, სეანსი გარკვეული დროის რიტმით



მეორდებოდა: დარბაზს ჩააბნელებდნენ, შიდა გუმბათზე ჩნდებოდა მთელი კოსმოსი თავისი პლანეტებით, ვარსკვლავებით, კომეტებით და ინსტრუქტორი გიტარებდა ჩვეულებრივ ლექცია-გაკვეთილს. შესანიშნავი შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდა ამ ოთახს და მართლა ძალიან მიყვარდა იქ შევლა. ახლა მინდოდა რაიმე ცნობა მომეძიებინა მის შესახებ, მაგრამ ვერაფერს გადავაწყდი. ალბათ აღარც არსებობს და, რომც ეარსება, მაინც ვეღარ დაეწეოდა თანამედროვე ტექნოლოგიებს, მაგრამ თავის დროზე, ოდნავ დაინტერესებული ბავშვი და, ვინ იცის, მოზრდილიც, მშვენიერ ინფორმაციას იღებდა და ატრაქციონებზე გართობასთან ერთად - კარგ განათლებასაც ამ თვალსაზრისით. თანაც კოსმოსი 60-იან წლებში ხომ განსაკუთრებულად აქტუალური იყო.

როგორ ავუარო გვერდი სატელევიზიო ანძას, რომელიც მთაწმინდის ადმინისტრაციულ შენობასთან ერთად თბილისის სიმბოლოდ იქცა. დაინტერესებული ადამიანი სულ ადვილად მოიძიებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პირველი ტელეანძა 1955 წელს დაიდგა და მალე იქვე აშენდა ტელევიზიის სასტუდიო-სააპარატო ბლოკიც, საიდანაც პირველი გადაცემა 1956 წლის 30 დეკემბერს გავიდა ეთერში. მაგრამ ჩემთვის ეს ანძა და სატელევიზიო სტუდია განსაკუთრებულად ძვირფასია, რადგანაც სულ რაღაც ოთხი წლის ასაკში აღმოვჩნდი ამ სამყაროში. ალბათ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ კარგად მახსოვს კამერები და მათგან გამოსული იატაკზე გაშლილი შავი, მსხვილი კაბელები... იქაურობის სუნიც მახსოვს და ტელემუშაკების ფუსფუსიც... კედელთან პიანინო იდგა. „როიალისთვის“ ან ადგილი იყო არასაკმარისი, ან ბიუჯეტი... ასე იყო თუ ისე, „პატარა ვირტუოზის“ სტატუსით შემკული, დედას შეკერილ ულამაზეს ჟოლოსფერ კაბაში გამოწყობილი მივუჯექი ინსტრუმენტს და დავუკარი მაიკაპარის ორი პატარა პიესა. ფეხები რაღაც ყუთზე შემომაწყობინეს, რადგანაც იატაკამდე გვარიანი მანძილი იყო. მაშინ სასცენო ღელვა რა იყო, არ ვიცოდი და მშვიდად და გულდასმით შევასრულე ჩემი მისია. ვიღაცა ლექსებს კითხულობდა, ვიღაც მღეროდა, ვიღაც ცეკვავდა. გადაცემა კი მიჰყავდა უმშვენიერეს ლია მიქაძეს, რომელიც თითოეულ ჩვენგანს განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით აცნობდა მაყურებელს.

არ დაგავიწყდეთ, პირდაპირი ეთერი იყო!

1972 წელს პირველი ანძა შეცვალეს 274.5-მეტრიანი კონსტრუქციით, რომელიც დღეს დაჰყურებს ჩვენს დედაქალაქს და საღამოობით სხვადასხვა ფერის განათებით გვახალისებს. სხვათა შორის, ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული დღესასწაულის პატივსაცემად მას შესაბამისი დროშის ფერებში ანათებენ ხოლმე.

დაბოლოს, შენობა! დიახ, ესეც ისტორიული და თბილისის ხედებთან შეზრდილი, რომლის ახალგაზრდა არქიტექტორებმა - ზაქარია და ნადეჟდა ქურდიანებმა - ოსტატურად განალაგეს მასში ფუნიკულიორის ტრამვაის ზედა სადგური და რესტორანი, საიდანაც მთელი ქალაქი მოჩანს. 60-იანი წლების ბოლოს სადგურის ნაგებობა შეიცვალა, მაგრამ ხელუხლებელი დარჩა თვით ლავრენტი პავლოვიჩ ბერიას მიერ „ნაკურთხი“ რესტორანი. მას დაემატა ერთი სართული და კოკა იგნატოვის პანო, რომელიც ამ შენობის, შეიძლება ითქვას, ორგანულ ნაწილად იქცა. ამ რესტორანს არასდროს დაუკარგავს თავისი პოპულარობა. ჯერ მარტო რამდენ ფილმშია გადაღებული. სულ მახსენდება ხოლმე „აბეზარა“, როდესაც აკაკი კვანტალიანის გმირი ოფიციანტს უკვეთავს შებრაწულ გოჭს ტყემლით... ეს ისე, გასაღიმებლად, თორემ როგორ გამოეპარება თვალს აივნის რიკულებს შორის თბილისის მოლიცლიცე ხედი სულხან ცინცაძის შესანიშნავ მუსიკის თანხლებით. იმაზე ხომ აღარცაა ლაპარაკი, რომ თბილისის თითქმის არცერთი საპატიო სტუმარი არ გაუშვიათ აქ გამასპინძლების გარეშე.

მთაწმინდის პარკის შესახებ კიდევ ბევრი ამბის მოყოლა შეიძლება, მაგრამ სხვა თემაში ამოვყოფ თავს. უბრალოდ, ჩემი გულწრფელი სიყვარული გამოვხატე ამ ადგილის მიმართ, სადაც ბავშვობის უტკბესი დღეები გამიტარებია.

გიგი გიგინეიშვილი

გაგრა 1992 – რუსული განაჩენი, პირველი მოქმედება

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან ორ დღეში, 1992 წლის 16 აგვისტოს, ქართულმა საჯარისო ნაწილებმა განახორციელეს საზღვაო დესანტირება გაგრის ზონაში. იმ პერიოდში საქართველოს სამხედრო დანიშნულების მცურავი საშუალებები არ გააჩნდა, ამიტომ შევარდნაძის ხელისუფლებას „მეგობრული დახმარება“ რუსულმა არმიამ გაუწია. სეპარატისტული პროპაგანდა რუსეთის ამ ნაბიჯს დღემდე ისე ფუთავს, თითქოს აფხაზთა რიგებში დაბნეულობის შესატანად, დესანტირებისას ქართულმა სამხედრო კატარღებმა რუსული დროშები აღმართეს გემებზე. უფრო სარწმუნო ვერსიით, რუსებმა ამ გზით წინასწარ დაგებულ ხაფანგში გააბეს სამხედრო გადატრიალების შედეგად ისედაც ქაოსში მყოფი საქართველო. შესაბამისად, რა გასაკვირია, რომ სეპარატისტების უკანონო სამხედრო ფორმირებებმა წინასწარ იცოდნენ დესანტირების დროცა და ადგილიც და ქართულ შენაერთს ცეცხლი გაუხსნეს. შეტაკებისას დაიჭრა ათამდე ქართველი მებრძოლი და გარდაიცვალა ერთი. დესანტის პირველადი ამოცანა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფსოუს მონაკვეთის კონტროლი იყო, რაც წარმატებით შესრულდა. სეპარასტისტების უკანონო ფორმირებებმა ფრონტის ხაზი მდინარე ბზიფის მარცხენა სანაპიროზე მოაწყვეს. შევარდნაძის ხელისუფლება ფიქრობდა სეპარატისტული შენაერთის ბლოკირებას ბიჭვინთა-გუდაუთა-ახალი ათონის მონაკვეთში. შევარდნაძის გათვლით, ზამთარში აფხაზური დაჯგუფებების მომარაგება გართულდებოდა და სეპარატისტები მსხვერპლის გარეშე დანებდებოდნენ. საგულისხმოა, რომ ამ დროს ქართულ შეიარაღებულ ძალებს რუსული არმია, სულ მცირე, ნეიტრალური მხარე ეგონა თუ მოკავშირე არა, თუმცა მალე ყველაფერი თავის

ადგილს დაუბრუნდა. წინასწარ შეთანხმებული სცენარით, რუსმა სამხედროებმა და აფხაზმა სეპარატისტემა გაითამაშეს გუდაუთასთან რუს მედესანტეთა ბაზის ალყაში მოქცევის სპექტაკლი, რომელსაც „შეშინებულმა“ რუსმა მედესანტეებმა თითქოს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, რის შედეგადაც სეპარატისტებმა დიდძალი იარაღი ჩაიგდეს ხელში. იგივე სცენარი გათამაშდა მომდევნო დღეს გუდაუთის რუსულ სარაკეტო-სამხედრო ბაზაზეც. ასე დაიწყო რუსეთის იმპერიამ თავისი ნამდვილი სახის გამოჩენა, მას შემდეგ, რაც სამხედრო საბჭოს წევრმა, თენგიზ კიტოვანმა, „პირნათლად" შეასრულა მათი რჩევა-დარიგებანი.

გაგრის ზონაში ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გადასვლა ეტაპობრივად დაიწყეს, იქ იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 101-ე, 102-ე, 103-ე ბატალიონები, ბატალიონი „ავაზა“, „თეთრი არწივი“, „შავნაბადა“, „მხედრიონი“ და ადგილობრივი თუ სხვადასხვა რეგიონიდან ჩასული მოხალისეთა ჯგუფები. მთელი ამ დროის განმავლობაში, ვერ მოხერხდა სამხედრო ნაწილებში წესრიგის დამყარება, მათ შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა. ხშირი იყო სპორადული კრიმინალური შემთხვევებიც. შეიარაღებული პირები თავიანთი სურვილისამებრ, გაუფრთხილებლად შედიოდნენ გარკვეულ პოზიციებზე და ასევე გაუფრთხილებლად ტოვებდნენ მათ. მამზიშხას მთების მხრიდან გაგრა თითქმის მთლიანად დაუცველი იყო, ამ განუკითხაობის შემხედვარე, „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანიც კი აღშფოთდა და კატეგორიულად ითხოვდა თბილისიდან სამხედრო საქმეში ჩახედული ხალხის გაგრაში გაგზავნას.

ამავე პერიოდში, საქართველოს ომი გამოუცხადა ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ“ (რომელიც, როგორც შემდგომ დადგინდა, რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მიერ შეიქმნა და კონტროლდებოდა, მათ საბოლოო თვითლუსტრაცია ჩეჩნეთის პირველი ომის დროს მოახდინეს, როდესაც კონფედერაციამ უარი განაცხადა, დახმარებოდა ჩეჩენ ხალხს რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში, ხოლო აფხაზეთში თითქმის შეუზღუდავად მარაგდებოდნენ რუსული იარაღით, ГРУ უზრუნველყოფდა მათ დაქირავებას სპეციალურ სამობილიზაციო პუნქტებში (მოსკოვში, პეტერბურგში, მაიკოპში, სოჭსა და სხვა დიდ ქალაქებში), მათ წვრთნას, დაფინანსებას, ხშირ შემთხვევაში ტრანსპორტირებას, სამედიცინო მომსახურებასა და ა.შ.). ე.წ. კონფედერაციამ 1992 წლის 19 აგვისტოს მიიღო დადგენილება აფხაზეთში მებრძოლების გაგზავნის შესახებ:

„კონფედერაციაში შემავალმა ყველა დაჯგუფებამ უზრუნველყოს მებრძოლთა გადასროლა აფხაზეთში; კონფედერაციის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართველი ეროვნების ადამიანი გამოცხადდეს სამხედრო ტყვედ"; საქართველოსათვის განკუთვნილი ყველა ტვირთი დაკავდეს; თბილისი გამოცხადდეს უბედურების ზონად; ამ მიზნების შესასრულებლად გამოყენებულ იქნეს ყველა მეთოდი, მათ შორის ტერორისტული აქტები."

„კონფედერაციაში შემავალმა ყველა დაჯგუფებამ უზრუნველყოს მებრძოლთა გადასროლა აფხაზეთში; კონფედერაციის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართველი ეროვნების ადამიანი გამოცხადდეს სამხედრო ტყვედ"; საქართველოსათვის განკუთვნილი ყველა ტვირთი დაკავდეს; თბილისი გამოცხადდეს უბედურების ზონად; ამ მიზნების შესასრულებლად გამოყენებულ იქნეს ყველა მეთოდი, მათ შორის ტერორისტული აქტები."

ამჟამად უკვე ცნობილია, რომ ბზიფის ხეობის გავლით, რომელიც სეპარატისტებს და მათ რუს ინსტრუქტორებს წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი, 15 აგვისტოდან (ანუ ზემოხსენებულ დადგენილებამდე) დაიწყეს დაქირავებული ბოევიკების შემოყვანა რუსეთის ფედერაციიდან. შამილ ბასაევი, მუჰამედ კილბა და სხვები სწორედ ასე გადმოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. საგულისხმოა, რომ 1992 წლის აპრილში აფხაზეთში ჩამოვიდნენ ГРУ-ს მიერ შერჩეული უმაღლესი რანგის რუსი სამხედროები, მათ შორის სულთან სოსნალიევი და წინასწარ დაგეგმეს საომარი მოქმედებების დეტალები, იარაღით მომარაგების წყაროები, ბოევიკების გადასროლის ძირითადი და ალტერნატიული გზები, შეარჩიეს სამხედროები და მოამზადეს სხვა საორგანიზაციო-ლოგისტიკური დეტალები, შეუთანხმდნენ აფხა-

ზეთში დისლოცირებული რუსული ბაზების ხელმძღვანელებს, რომ გარკვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მათ უნდა გადაეცათ ბაზაზე არსებული შეიარაღების დიდი ნაწილი.

რუსეთისა და აფხაზეთის მხრიდან ყველა ე.წ. სამშვიდობო შეთანხმება რეალურად წარმოადგენდა კონკრეტული სამხედრო შეტევითი ოპერაციის შემადგენელ კომპონენტს, რომელიც გამოიყენებოდა ამა თუ იმ სამხედრო მიზნით ეფექტურად მომზადებისათვის და არავითარ შემთხვევაში მშვიდობის დასამყარებლად. სამშვიდობო ხელშეკრულების ფარგლებში რუსული მხარე უფრო მშვიდ გარემოში ახერხებდა დაზვერვას, დაქინებით ითხოვდა და აღწევდა კიდევაც ქართული ბრძოლისუნარიანი ძალების გაყვანას ამა თუ იმ მონაკვეთიდან.

აფხაზეთში დაქირავებული ბოევიკების გამოჩენა არ გამოჰპარვია ქართულ სარდლობასაც. ტყვედ აყვანილი ბოევიკები ზუსტად ასახელებდნენ იმ საფეხმავლო გზებს ბზიფის ხეობაში, რომლებითაც შეიარაღებული პირები გადმოდიოდნენ კავკასიონის ქედზე. როგორც შემდგომ აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე მუჰამედ კილბა და ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ჰყვებიან სატელევიზიო ინტერვიუებში, იმ რაოდენობით ჩამოვიდნენ მებრძოლები რუსეთის ფედერაციიდან, რომ მათ მთლიანად შეავსეს გუდაუთის სასტუმრო-სანატორიუმები. საქმე ისე წავიდა, რომ მათი გამოკვებაც კი ძალზე გართულდა, ამიტომ ისინი მოუწოდებდნენ ახალ მსურველებს, აღარ წამოსულიყვნენ აფხაზეთში.

ამ ვითარებაში, ქართული მხარისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანად იქცა ბზიფის ხეობის ჩაკეტვა. იმ პერიოდში ისე ჩანდა, თითქოს, თუ ქართული ძალები მდინარე ბზიფს გადალახავდნენ და ბიჭვინთის მიმართულებით წინ წაიწევდნენ, გადაიკეტებოდა სეპარატისტებისათვის სასიცოცხლო საკომუნიკაციო არხი. ბზიფის ხეობას აფხაზებიც საკმაო მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან ეს იყო ГРУ-ს მიერ შერჩეული ერთ-ერთი (და არა ერთადერთი, როგორც ეს ქართველებს ეგონათ) საკომუნიკაციო მიმართულება. აგვისტოს ბოლოს ქოსში მყოფმა ქართულმა შენაერთებმა ხეობის ჩაკეტვა სცადეს, ზერელე და მოუმზადებელი მანევრით. საპირისპიროდ, რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულმა პროფესიონალი სამხედროების ჯგუფებმა ხაფანგი დაახვედრეს ქართველებს. მანევრი 28 აგვისტოს დილიდან დაიწყო. ცენტრში, საავტომობილო გზაზე, ჯავშანტექნიკის მხარდაჭერით ბატალიონი შავნაბადა გადაადგილდებოდა, გეგმის მიხედვით, მისთვის ფლანგებზე მხარი უნდა დაეჭირა გაგრაში მყოფ სხვადასხვა ქართულ შენაერთს. შეტაკებები დაბა კოლხიდიდან რამდენიმე მეტრში დაიწყო, საავტომობილო გზაზე ჯავშანტექნიკით მოძრავმა დაჯგუფებამ, ბუნებრივია, უფრო სწრაფად წაიწია წინ, ვიდრე ფლანგებზე უსწორმასწო რელიეფზე და ტყეში ქვეითად მოძრავმა ძალებმა. დაჯგუფებებს შორის ფაქტობრივად არ არსებობდა კავშირი, შედეგად, საავტომობილო გზაზე მოძრავ ქართულ ძალებს მოწინაარმდეგემ ცეცხლი სამი მხრიდან გაუხსნა. ვითარება საგანგაშო იყო. რამდენიმე საათში დიდი მსხვერპლის გამო ოპერაცია შეჩერდა, ქართულმა ნაწილებმა უკან დაიხიეს.

პირველ ეტაპზე რუსეთს აწყობდა საქართველოსთვის ახალციხის ბაზის შეიარაღების გადაცემა, რათა კრემლის მიერ შექმნილი და მართული სეპარატისტული ძალების მხრიდან პროვოკაციული ქმედებების კასკადის ფონზე შექმნილიყო ომის გაჩაღების წინაპირობა.

ეს იყო პირველი დიდი მსხვერპლი ქართულ ლაშქარში. სამხედრო მარცხმა და დატრიალებულმა ტრაგედიამ მცირედით პირველად დააფიქრა საზოგადოება, თუ რა მასშტაბის პროვოკაციასთან გვქონდა საქმე. დაიღუპა არაერთი ახალგაზრდა, თუმცა ამ ეპიზოდმა ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა ქართველთა მობილიზების, წინდახედულებისა

თუ პრობლემის დიაპაზონის გააზრების კუთხით. მეორე დილიდან ბზიფის ხეობიდან ბოევიკების შემოდინება თითქმის გაორმაგდა.

24 აგვისტოს გაძლიერებულმა რუსულ-აფხაზურმა შენაერთებმა მძლავრი იერიში მიიტანეს გაგრაზე. მიუხედავად დაქსაქსულობისა, ქართველმა მებრძოლებმა პირადი თავდადებითა და სიმამაცით შეძლეს და სამი დღის განმავლობაში გაუძლეს შემოტევას, ხოლო მეოთხე დღეს მაშველი ჯგუფების დახმარების შედეგად კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მტერი უკუაგდეს.

1992 წლის 3 სექტემბერი. მოსკოვი. ვ. არძინბა, ბ. ელცინი, ე. შევარდნაძე.

კარგა ხნის დაგვიანებით გაგრაში მივლენილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე ბატალიონი პოლკოვნიკ მიხეილ მარინაშვილის მეთაურობით და, ასევე, პროფესიონალი სამხედრო პაატა დათუაშვილი. დაიწყო გარკვეული სამხედრო ვერტიკალის ჩამოყალიბება, იყო წესრიგის დამყარების მცდელობები, თუმცა, საერთო ხელმძღვანელობის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა, აღარაფერი ითქმის გამართულ ლოგისტიკასა და მებრძოლთა როტაციაზე. რუსულ-აფხაზური შენაერთი კი გაგრის ზონაში სტრატეგიულ სიმაღლეებს გეგმაზომიერად იკავებდა. პოლკოვნიკი მარინაშვილი შეეცადა, ტაქტიკური უპირატესობა მოეპოვებინა და წამოიწყო შეტევა ბზიფის ხეობაში სოფელ იფნარის მიმართულებით, წაიწია კიდეც წინ, თუმცა მიიღო ბრძანება, დაბრუნებულიყო საწყის პოზიციაზე. იგივე სცენარი განმეორდა მდ. ბზიფის სიახლოვეს არსებულ მეფრინველეობის ფაბრიკასთან - სამხედრო წარმატების მიუხედავად, თბილისიდან მიღებული ბრძანების საფუძველზე, ქართველებმა ბრძოლით მოპოვებული პოზიციები უბრძოლველად დათმეს.

3 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა, მოსკოვში მიიწვია ქართული დელეგაცია, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით (ასევე, სახელმწიფო საბჭოს წევრები, თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა). ფორმალურად, ეს იყო ორი ქვეყნის ლიდერის შეხვედრა, მაგრამ მისი ფორმატი მაინც სპეციფიკური იყო. სინამდვილეში, რუსული სცენარის მიხედვით, ეს იყო „მოლაპარაკებები ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის რუსეთის პრეზიდენტის შუამავლობით“, რომელიც არბიტრის როლში გამოდიოდა.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელები. ხელი მოეწერა ე.წ. „მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტს“. უნდა შექმნილიყო კონტროლისა და ინსპექციის კომისია, რომელსაც დაევალებოდა „უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და ჯგუფების“ განიარაღება და დაშლა, მათი არდაშვება აფხაზეთში, აგრეთვე, „კონფლიქტის ზონის მთელ პერიმეტრზე“ მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა. აფხაზეთში უნდა დარჩენილიყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მცირე კონტინგენტი (იმდენი, რამდენიც საჭირო

რუსეთმა აფხაზეთში მიავლინა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ ე.წ. პრეზიდენტი, მუსა შანიბოვი, რომელმაც მოუწოდა რუს და აფხაზ ბოევიკებს, „სიღრმისეულად გაეაზრებინათ ყველა სამხედრო ოპერაცია, შეესწავლათ ყველა წვრილმანი და დაეწყოთ მოქმედებები პროფესიონალურად, სასწრაფოდ შესდგომოდნენ მტერი ქართველების ხოცვას, ნაკუწებად დაჭრას, ცხვირების მოჭრას და ა.შ.“

იყო რკინიგზებისა და სხვა ობიექტების დაცვისათვის). 1992 წლის 5 სექტემბრის 12:00 საათიდან მხარეებს უნდა შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები და დაეწყოთ მოლაპარაკებები კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით.

ერთი შეხედვით, ეს ქართული მხარისათვის წარმატებას ნიშნავდა, თუმცა კრემლის კულუარებში აბსოლუტურად სხვა სცენარი მუშავდებოდა. მოსკოვში მყოფ შევადრნაძეს რუსმა მაღალჩინოსნებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს საქართველოს დსთ-ში შესვლის საკითხი, რაზედაც შევარდნაძემ მისთვის ჩვეულ სტილში არც უარი უთხრა და არც თანხმობა მისცა. ქართული დელეგაცია გახარებული დაბრუნდა თბილისში, ხოლო არძინბა მოსკოვში

გაზეთ „იზვესტიისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალ-ლეიტენანტი სილფიან ბეპაევი აღნიშნავდა, რომ ქართულმა მხარემ შეასრულა 3 სექტემბრის შეთანხმება და 30 სექტემბრისთვის 1200 კაცი გაიყვანა კონფლიქტის ზონიდან.

5 სექტემბრამდე დაიტოვეს. გუდაუთაში დაბრუნებულ არძინბას გაგრის შტურმის გეგმა დაახვედრეს, რომლის ავტორი რუსი ოფიცერი, მუჰამედ კილბა, იყო. მიუხედავად გვარის მსგავსებისა, კილბა ჩერქეზული წარმოშობის იყო და არა აფხაზი (ის თავად აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ 1992 წლის აგვისტომდე აფხაზეთში ნამყოფიც კი არ იყო). კილბამ გეგმაზე მუშაობა ჯერ კიდევ 3 სექტემბრის შეთანხმებამდე დაიწყო, თუმცა რუსულ-აფხაზური პროპაგანდა გაგრის ოპერაციის ავტორობას აფხაზ სეპარატისტ სარდალს, ვლადიმერ არშბას, მიაწერს, მისი

იმ აღგილას, სადაც 16 აგვისტოს რუსული სამხედრო გემები ქართულ ჯარს დესანტირებაში ეხმარებოდნენ, რეიდზე კვლავ საბრძოლოდ მზადმყოფი რუსული სამხედრო გემი დადგა. მაგრამ ამჯერად უკვე რუსულ სამხედრო გემს ნაბრძანები ჰქონდა არა ქართველების გადაყვანა გაგრაში, არამედ ქართული მაშველი ძალის არდაშვება გაგრა-ლესელიძეს ზონაში.

აფხაზური წარმოშობის გამო. თავად მუჰამედ კილბა იყო ავღანეთის ომგამოვლილი ოფიცერი, წითელი ვარსკვლავის ორდენით ორგზის დაჯილდოებული, უმაღლესი კლასის სამხედრო მზვერავი, ГРУ-ს კადრი. მასთან ერთად ოპერაციის მომზადებაზე მუშაობდა სულთან სოსნალიევი (ასევე უმაღლესი კლასის ოფიცერი რუსეთის ფედერაციიდან), რომელიც შემდგომ ე.წ. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი გახდა, ხოლო მუჰამედ კილბა მის მოადგილედ დაინიშნა). გეგმის შემუშავებასა და მომზადებაში ასევე ჩართულები იყვნენ სერგეი დბარი, ზემოხსენებული ვლადიმერ არშბა და გენადი ჭანბა. გაგრის შტურმის სამზადისი 9-10 სექტემბრიდან არძინბას განკარგულებით აქტიურად დაიწყო. დაზვერვა წარმოებდა სოჭის მხრიდან, რა დროსაც ქართული შეიარაღებული ძალების თითქმის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო საპირისპირო ბზიფის მიმართულებაზე. პროცესში, ГРУ-ს გარდა, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოჭის FSB და სოჭელი აფხაზები. რუსი მზვერავები ფსოუს

ხედი მამზიშხას მთიდან გაგრაზე

სასაზღვრო ზოლის მხრიდან შემოდიოდნენ გაგრის ზონაში და დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ გუდაუთაში არსებულ რუსულ-აფხაზურ სამხედრო შტაბს. აქტიური დაზვერვა 2 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. რუსმა მზვერავებმა ზუსტად შეისწავლეს როგორც ქართული სამხედრო ტექნიკის მდებარეობა, ისე თავდაცვის სხვა წერტილები, ასევე ცოცხალი ძალა და, გარდა წმინდა სამხედრო მითითებებისა, რაც უნდა უცნაური იყოს, დაზვერვის რეკომენდაციის საფუძველზე, სეპარატისტთა სარდლობამ გაგრის ზონაში მოქმედ/ჩატოვებულ აგენტურას პირდაპირ დაავალა, სექტემბრის ბოლოს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ალკოჰოლი, კანაფი და სხვა ნარკოტიკული საშუალებები დაერიგებინა

ქართველი მოხალისეებისათვის "საჩუქრად". როგორც შემდგომ გაირკვა, ქართველი მებრძოლების არცთუ მცირე ნაწილმა დიდი სიხარულით მიიღო ეს სასიკვდილო „ძღვენი".

ზოგადად, რუსებისა და აფხაზების მხრიდან ყველა ე.წ. სამშვიდობო შეთანხმება რეალურად წარმოადგენდა კონკრეტული სამხედრო შეტევითი ოპერაციის შემადგენელ კომპონენტს, რომელიც გამოიყენებოდა ამა თუ იმ სამხედრო მიზნების ეფექტურად მომზადებისათვის და არავითარ შემთხვევაში მშვიდობის დასამყარებლად. სამშვიდობო ხელშეკრულების ფარგლებში რუსული მხარე უფრო მშვიდ გარემოში ახერხებდა დაზვერვას, დაჟინებით ითხოვდა და აღწევდა კიდევაც ქართული ბრძოლისუნარიანი ძალების გაყვანას ამა თუ იმ მონაკვეთიდან.

რაც შეეხება გაგრის სტადიონზე ქართველების მოჭრილი თავებით ფეხბურთის თამაშის სადავო საკითხს, აქ მხოლოდ ვლადიმერ პუტინის მიერ 2001 წლის 18 ივნისს წარმოთქმულ სიტყვებს გავიხსენებთ: „იქვნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას დაავიწყდა, თუ როგორ თამაშობდნენ თავის დროს, აფხაზეთში კრიზისის დროს ქართველების თავებით ფეხბურთს. ასეთი რამ, სამწუხაროდ, მოხდა..."

19 სექტემბერს ქართულმა დაზვერვამ მოიპოვა ინფორმაცია, რომ მამზიშხას მთების მხრიდან რუსულ-აფხაზური საკმაოდ დიდი დაჯგუფება აპირებდა გაგრის სიახლოვეს ხელსაყრელი პოზიციების დაკავებას. სიტუაციაში გასარკვევად გაიგზავნა 32-კაციანი სადაზვერვო ჯგუფი ავტობუსით. მამზიშხას გზის მეექვსე კილომეტრზე, ავტობუსს ყველა მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს, დაიჭრა 14 მებრძოლი, დაიღუპა 6 ქართველი. აფხაზთა თავდასხმებს ყოველდღიური სახე მიეცა, ყოველდღე იღუპებოდა ხალხი, ხოლო მტრის რკალი ნელ-ნელა უახლოვდებოდა გაგრის ზონას.

25 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციის დუმას დეპუტატ სერგეი ბაბურინის (შემდგომში აფხაზური ღირსების ორდენის კავალერი) ინიციატივით, გაიმართა უმაღლესი საბჭოს დახურული სხდომა, რომელზეც მიიღეს დადგენილება, რომლის საფუძველზეც რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ დაგმო საქართველოს მიერ „ძალის გამოყენება აფხაზეთში", მოითხოვა საქართველოსგან შეიარაღებული ძალების გაყვანა აფხაზეთიდან და მათ ნაცვლად „რუსეთის სამშვიდობო ძალების" განლაგება. საბჭომ რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინისგან ასევე მოითხოვა, შეეწყვიტა საქართველოსთვის

1992 წლის ოქტომბერი, გაგრის სიახლოვეს რუსული სამხედრო გემი პატრულირებს.

ადრე დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული შეიარაღების გადაცემა. მოგეხსენებათ, 1992 წლის მაისში საქართველო შეუერთდა ტაშკენტის ხელშეკრულებას ყოფილი საბჭოთა სამხედრო ქონების გაყოფის შესახებ, რომლის მიხედვითაც, რუსეთი ვალდებული იყო საქართველოსთვის გადაეცა ყოფილი საბჭოთა შეიარაღება, მისთვის გათვალისწინებული კვოტით. პირველ ეტაპზე რუსეთს აწყობდა საქართველოსთვის ახალციხის ბაზის შეიარაღების გადაცემა, რათა კრემლის მიერ შექმნილი და მართული სეპარატისტული ძალების მხრიდან პროვოკაციული ქმედებების კასკადის ფონზე შექმნილიყო ომის გაჩაღების წინაპირობა. შემდგომ ეტაპზე შეიარაღების გადაცემა რუსეთის ინტერესებში უკვე აღარ შედიოდა. ამიტომ, რუსეთმა შეაჩერა ტაშკენტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იარაღის გადმოცემა. 27 სექტემბერს რუსეთმა აფხაზეთში მიავლინა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" ე.წ. პრეზიდენტი, მუსა შანიბოვი, რომელმაც მოუწოდა რუს და აფხაზ ბოევიკებს, „სიღრმისეულად გაეაზრებინათ ყველა სამხედრო ოპერაცია, შეესწავლათ ყველა წვრილმანი და დაეწყოთ

მოქმედებები პროფესიონალურად, სასწრაფოდ შესდგომოდნენ მტერი ქართველების ხოცვას, ნაკუწებად დაჭრას, ცხვირების მოჭრას და ა.შ.“ არსებობს ამ მოწოდების ვიდეოჩანაწერი. შანიბოვის აფხაზეთში ჩასვლისთანავე არძინბამ განაცხადა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებული ფორმირებების მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დატოვების პროცესის შეჩერების შესახებ, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა 3 სექტემბრის შეთანხმებას.

1992 წელი, აფხაზეთი. მებრძოლები რუსეთის ფედერაციიდან.

29 სექტემბერს გაგრის მოსახლეობა შეიკრიბა გაგრის სტადიონზე და მიხეილ მარინაშვილისგან ითხოვდა ახსნა-განმარტებას, იყვნენ თუ არა ისინი დაცულნი. პოლკოვნიკი მარინაშვილი ადგილზე არ მივიდა, მაგრამ მივიდნენ სხვა სამხედრო პირები, რომლებმაც ხალხი დაამშვიდეს და უთხრეს, რომ გაგრაში „ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო“. ამ დროს აფხაზებს

უ. დაშაევი და შ. ბასაევი

ხ.ხანკაროვი

გაგრის გარშემო უკვე ყველა სტრატეგიული წერტილი ეკავათ, სრულად ისმინებოდა ქართული სამხედრო რადიოსიხშირეები და ელოდნენ ქალაქის აღების ბრძანებას. მეორე დღეს რუსები და აფხაზები უკვე ქალაქს მიადგნენ.

სექტემბრის ბოლოს ღრმა კრიზისში მყოფი გაგრის ქართული დაჯგუფება ყველა მიმართულებით სერიოზულ პრობლემებს განიცდიდა - არ ხდებოდა მებრძოლების როტაცია, სერიოზული შეფერხება იყო კვების, სამედიცინო და სხვა საჭიროებების უზრუნველყოფის კუთხით. თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანს შორის ურთიერთობა ამ დროს გამწვავებული იყო. როგორც პოლკოვნიკმა მარინაშვილმა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ინტერვიუში განაცხადა, გაგრა მიჩნეული იყო ჯაბა იოსელიანის გავლენის ზონად. ამის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იქ ტყვია-წამალს არ გზავნიდა. პროკურატურის მასალებიდან ირკვევა, რომ გაგრისკენ ახალციხიდან გაიგზავნა სამი ტანკი და ოთხი ბმპ, რომელიც გაგრის მისადგომებიდან უკან დაატრიალეს და სოხუმში გადმოტვირთეს, მეორე შემთხვევაში გაგზავნილ იქნა ორი ტანკი, რა დროსაც ადგილზე შემოწმებისას გაირკვა, რომ ერთს ძრავა არ უმუშავებდა, მეორე არ ისროდა. საუბარი ზედმეტია გაგრაში ჯავშანტექნიკის მომსახურე ტექნიკური დახმარების პუნქტების არსებობაზე (რაც აფხაზებმა სექტემბრის პირველ დღეებშივე მოაგვარეს/ააწყვეს გუდაუთაში რუსი ინსტრუქტორების მითითებით). რუსულ-აფხაზურ შეტევამდე რამდენიმე დღით ადრე გაირკვა, რომ გაგრაში ტყვიების სერიოზული დეფიციტი იყო რადგან აღმოჩნდა, რომ სექტემბრის ბოლოს გაგზავნილი 40 ყუთი ტყვია-წამალი მთლიანად გაფუჭებული იყო.

მიუხედავად დანაკლისისა, უნდა აღინიშნოს, რომ გაგრის ზონაში 1992 წლის 1 ოქტომბრისთვის მაინც საკმარისი შეიარაღება, ტექნიკა და ცოცხალი ძალა იყო, თუმცა იქ მყოფი მებრძოლების დიდმა ნაწილმა არ იცოდა, სად უნდა შეკრებილიყვნენ, შეევსოთ ტყვია-წამალის მარაგი ან რა გეგმის მიხედვით ემოქმედათ. არსებულ კრიზისს კარგად ასახავს გაგრაში მომხდარი ერთი შემთხვევა: იმის გამო, რომ თავდაცვისათვის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთებში არ იყო გათხრილი სანგრები, საჭირო გახდა ბეტონის ფილების დალაგება პოზიციების მცირედით გასამაგრებლად, მაშინ როდესაც რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ, ქართველებმა ვერ იპოვეს საამისოდ მომზადებული ამწე, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ამ გააფთრებული შემოტევისას გაგრის პორტში იყო წაყვანილი მოროდიორების მიერ ნაძარცვი მანქანების დასატვირთად.

* * *

გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალ-ლეიტენანტი სილფიან ბეპაევი აღნიშნავდა, რომ ქართულმა მხარემ შეასრულა 3 სექტემბრის შეთანხმება და 30 სექტემბრისთვის 1200 კაცი გაიყვანა კონფლიქტის ზონიდან.

გაგრის ოპერაციას რუს-აფხაზებმა კოდური სახელწოდება „ქარიშხალი“ მიანიჭეს, ქართველებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის კი შეტევით ოპერაციას „კონტრშეტევა გაგრის გათავისუფლებისათვის“ დაერქვა. იგი 30 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, თუმცა გარკვეული ხარვეზების გამო 1 ოქტომბრისთვის გადაიდო. გეგმის მიხედვით, ქალაქისთვის 3 მიმართულებიდან ერთდროულად უნდა შეეტიათ - მამზიშხას მთებიდან; ცენტრალურ მიმართულებაზე - საავტომობილო ტრასიდან და ზღვის მხრიდან - დესანტის მეშვეობით. ნიშანდობლივია, რომ გაგრის ზონაში, იმ ადგილას, სადაც 16 აგვისტოს რუსული სამხედრო გემები ქართულ ჯარს დესანტირებაში ეხმარებოდნენ, რეიდზე კვლავ საბრძოლოდ მზადმყოფი რუსული სამხედრო გემი დადგა. მაგრამ ამჯერად უკვე რუსულ სამხედრო გემს ნაბრძანები ჰქონდა არა ქართველების გადაყვანა გაგრაში, არამედ ქართული მაშველი ძალის არდაშვება გაგრა-ლესელიძის ზონაში.

გაგრის შტურმისას მტრის ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა რუსეთიდან

„ღალატია, როცა გაქვს უპირატესობა, შანსი, შესაძლებლობა და არ იყენებ. დანაშაულია არა მხოლოდ ქმედება, უმოქმედობაც“.

მოვლენილი რაზმები (ძირითადად, ГРУ-ს მიერ დაქირავებული ოფიცრები რუსეთის სამხრეთ რეგიონებიდან). დაჯგუფებებს ხელმძღვანელობდნენ უმალატ დაშაევი, ჰამზატ ხანკაროვი, იბრაჰიმ იაგანოვი (რომლის ხელმძღვანელობით გადაისხა საზღვაო დესანტი გაგრის ზურგში, ე.წ. ცივ მდინარეებთან), იური მალხოჟოვი და შამილ ბასაევი. ეს უკანასკნელი თავისი დაჯგუფებით მთების მხრიდან უტევდა და მაქსიმალური სიღრმისკენ მიიწევდა, შედეგად, ალყაში მოქცევის მუდმივ საფრთხეს უქმნიდა ქართულ შენაერთებს. აფხაზურ შენაერთს ხელმძღვანელობდა გენადი ჭანბა, რომელიც მართალია ცენტრალური გზიდან უტევდა, მაგრამ ფაქტობრივად ე.წ. მეორე ეშელონის ფუნქციას ასრულებდა. გაგრის შტურმში მონაწილეობისათვის სპეციალურად ჩამოვიდნენ დონისა და ყუბანის კაზაკთა ყველაზე ბრძოლისუნარიანი და გამოცდილი დაჯგუფებები.

ასეთ მაღალ დონეზე ორგანიზებული და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი შეტევის წინააღმდეგ დაქსაქსულ ქართულ ნახევრად მოხალისე ლაშქარს ძალიან მცირე შანსები ჰქონდა. 1 ოქტომბერს, 18:00 საათზე, რუსული გეგმის ფარგლებში მტერმა ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყო. ე.წ. წითელი ჯვრის ქართული საგუშაგოს წინააღმდეგობა რამდენიმე წუთში დაძლიეს, ძალთა უთანასწორობის გამო წინააღმდეგობა ვერ გასწია და უკან დაიხია ბატალიონ „ავაზის“ ქვედანაყოფმაც. ერთ საათში მტერი უკვე კოლხიდას მიუახლოვდა. კიდევ რამდენიმე საათში აფხაზებმა კოლხიდაში მდებარე შტაბი და უნივერმაღის შენობა დაიკავეს. 1 ოქტომბერს, ღამით, კოლხიდა დაეცა.

მიუხედავად სექტემბერში არსებული ზოგადი დაძაბულობისა, გაგრაზე თავდასხმა მოლაპარაკებებში ჩართული ქართული სარდლობისათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თავზარდამცემი ეფექტი იქონია, არა მარტო გაგრაში, არამედ სოხუმში, ოჩამჩირესა და თბილისშიც. 1 ოქტომბერს, გვიან ღამემდე, სოხუმში მიმდინარეობდა კონტროლისა და ინსპექციის კომისიის სამმხრივი სხდომა. ქართულ მხარეს, ბუნებრივია, უკვე ჰქონდა ინფორმაცია გაგრის მიმართულებით თავდასმმის შესახებ და წამოაყენა კიდეც ეს საკითხი. რუსული მხარე ითხოვდა, დღის წესრიგით გათვალისწინებლი საკითხებიდან არ გადაეხვიათ და ემსჯელათ 3 სექტემბერის შეთანხმების გარკვეულ პუნქტებზე. აფხაზური და რუსული დელეგაციები ტრადიციულად თვალთმაქცობდნენ და ცდილობდნენ, დრო გაეწელათ უსაგნო საუბრით „სამშვიდობო შეთანხმებაზე“. რუსები და აფხაზები არ აღიარებდნენ შეტევის მზადებას, თუმცა, როდესაც გაგრის მიმართულებით გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა, სეპარატისტების ლიდერმა, არძინბამ, ბრალი საქართველოს დასდო, ხოლო აფხაზთა ქმედებებს, საინფორმაციო ომის რუსული მეთოდიკის მიხედვით, „კონტრშეტევა“ უწოდა.

ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ არ დაურღვევია 3 სექტემბრის შეთანხმება და ქართული საჯარისო ნაწილების ყველაზე ბრძო-

ლისუნარიანი ძალები კონფლიქტის ზონიდან მართლა გაიყვანა. შედგა სხდომის ოქმი, რომლის მიხედვით საჯარისო ნაწილები უნდა დაბრუნებულიყვნენ საწყის პოზიციებზე, მეორე დილის 9 საათამდე უნდა აღდგენილიყო სტატუს-კვო. მიუხედავად ამისა, რუსულ-აფხაზურმა დაჯგუფებამ არ შეასრულა ვალდებულება. ბრძოლები მთელ ღამეს გაგრძელდა. მეორე დილის ექვსი საათისთვის მტერი გაგრისკენ დაიძრა. ქალაქს უტევდნენ მამზიშთის მხრიდან, ზღვიდან და ტრასიდან. ქართველები დაბა ლესელიძისკენ იხევდნენ. 2 ოქტომბერს, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა, გაგრა დაეცა.

იმავე დღეს სახელმწიფო საბჭომ გაავრცელა განცხადება და დაგმო რუსეთის ფედერაციის ქმედებები აფხაზეთში. ეს განცხადება ერთობ უსუსურად და სასაცილოდ იკითხებოდა.

"გამარჯვებული" სეპარატისტები

რუსული პროპაგანდის წესების შესაბამისად, დღეს აფხაზურ მოსახლეობას ასწავლიან, რომ თითქოს გაგრას უტევდა 296 მებრძოლი, ძირითადად აფხაზები და მცირე რაოდენობის ჩერქეზი მოხალისეები, 2 ტანკის ამარა და რომ ქართული შეიარაღებული ძალები, რომელიც თავს იცავდა გაგრაში, ითვლიდა 4500 მებრძოლს, რომლებსაც ჰყავდათ 40 ერთეული მძიმე ტექნიკა, ავიაცია და 50-ზე მეტი საარტილერიო საშუალება. ასწავლიან, რომ თითქოს გაგრის „გათავისუფლების" ოპერაცია მსოფლიოს სამხედრო სასწავლებლებში ისწავლება, როგორც სამხედრო ხელოვნების ისტორიაში უნიკალური შემთხვევა. ამავე ვერსიით, აფხაზურ მხარეს დაეღუპა 53 მებრძოლი, ხოლო ქართულ მხარეს - 900 მებრძოლი. საერთოდ არ ახსენებენ იმ საკვანძო გარემოებას, რომ 3 სექტემბრის ხელშეკრულების შესაბამისად, ქართულმა მხარემ გაგრიდან გაიყვანა ყველაზე ბრძოლისუნარიანი ძალები და რომ გაგრის აღება, რასაც ქართველთა გენოციდისა და ეთნოწმენდის სადისტური სცენები მოჰყვა, მხოლოდ 3 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმების განზრახ, ვერაგულმა დარღვევამ გახადა შესაძლებელი. (იგივე განმეორდა შემდგომშიც: სწორედ სამშვიდობო შეთანხმების მზაკვრულად დარღვევის შედეგად იქნა დაკავებული რუსულ-აფხაზური მხარის მიერ მზაკვრულად სოხუმის ჩრდილოეთ სიმაღლეები - შრომა და კამანი (14.05.1993 წლის შეთანხმების დარღვევის შედეგად) და ბოლოს, სოხუმი, ოჩ-ამჩირე და გალი (27.07.1993 წლის შეთანხმების დარღვევის შედეგად.)

უმძიმეს ვითარებაში, გია ყარყარაშვილმა სოხუმში შეკრიბა მებრძოლები და განწირულ გაგრაში ვერტმფრენებით ჩაიყვანა 120 ქართველი გმირი, რომელთა ნაწილი დღემდე უგზოუკვლოდ არის დაკარგული, თუმცა უკვე გვიანი იყო, სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა. თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, გაგრის ზონაში ხელფასს იღებდა 3000 მერბძოლი, თუმცა რეალურად რუსებისა და აფხაზების შემოტევისას ყველაზე საჭირო და კრიტიკულ მომენტში 4-კილომეტრიან მონაკვეთზე მხოლოდ 100-120 კაცის მობილიზება შეძლო პოლკოვნიკმა მარინაშვილმა. მთელი ამ ოპერაციის განმავლობაში ქართულმა სარდლობამ 400-500 კაცზე მეტი ვერ შეიკრიბა. ქართველ მებრძოლებს ლოკალურ ბრძოლებში მცირე ჯგუფებით რაოდენობრივად ბევრად მრავალრიცხოვან ბოევიკთა ჯგუფებთან უწევდათ შეტაკებებში ჩართვა, იყო საარაკო გმირობის არაერთი ეპიზოდი, თუმცა ეს შემთხვევები საერთო სურათს ვერ ცვლიდა. გაგრაში სისხლიანი კალოს დატრიალების შემდეგ, 5 ოქტომბერს სეპარატისტებმა აიღეს განთიადი და ლესელიძე, ხოლო 6 ოქტომბერს, 06:40 საათზე, სეპარატისტებმა ფსოუს გამშვები პუნქტიდან ჩამოხსნეს ქართული დროშა და აღმართეს თავიანთი სიმბოლო.

ქართულმა მხარემ მოულოდნელობის, შეიარაღებულ ძალებში არსებული ქაოსისა და პანიკის გამო, ორგანიზებული წინააღმდეგობა ვერ გაუწია მტერს. როგორც ყაბარდოელი ბოევიკი იხსენებს, ქართველთა წინააღმდეგობა საკმაოდ უცნაური იყო, 20-30-კაციანი ჯგუფები პანიკურად გარბოდნენ, ხოლო 2-5-კაციანი ჯგუფები სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოდნენ. ბოევიკი გაგრაში შეესწრო ასეთ ეპიზოდს, ქარ-

თული ნაწილები პანიკურად ტოვებდნენ ქალაქს, ერთმა ქართველმა მებრძოლმა რაღაც მომენტში ვეღარ აიტანა მომენტის სიმწარე, მოტრიალდა, იქვე შეკრიბა გადაყრილი შეიარაღება, ამოეფარა ერთ-ერთი სახლის ჭიშკართან არსებულ პატარა ბეტონის ჯებირს და მარტომ დაიწყო რამდენიმე ათეულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა, ქართველის სიმამაცით განცვიფრებულმა ბოევიკებმა შეაჩერეს დაწოლა დაახლოებით ერთი საათით, ვინ იცის, რამდენ ქართველს მისცა ამ კაცმა უბედურების ზონიდან გასვლის სასიცოცხლო წუთები, თუმცა შემდეგ ზურგიდან მოუარეს სისხლსმოწყურებულმა გადამთიელებმა და ასე გააჩერეს ბეჭდაუდებელი ქართველი.

გაგრის ოპერაცია გამოირჩევა არა მხოლოდ მისი სამხედრო კომპონენტის გამო. გაგრის შტურმს ჰქონდა მეორე, მთავარი, არასამხედრო ნაწილიც, რომელიც გულისხმობდა მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის გენოციდს. გაგრაში 2 დღეში დახოცეს ათასამდე მშვიდობიანი ქართველი. საჩვენებელი სისასტიკით უსწორდებოდნენ მოხუცებს, ბავშვებს და ქალებს. ხშირი იყო ადამიანებისთვის თავის კვეთა, მათი ცოცხლად დაწვა. იყო შემთხვევები, როცა ბოძებზე ახრჩობდნენ და რამდენიმე დღე არ ხსნიდნენ გვამებს, მიცვალებულებს უკეთებდნენ ე.წ. კოლუმბიურ ჰალსტუხებს, მშობლების თვალწინ აუპატიურებდნენ გოგონებს, მათ შორის არასრულწლოვანებს, და შემდეგ ხოცავდნენ მთელ ოჯახს, დახოცილებს ღორებს აჭმევდნენ, ორსულებს ფატრავდნენ, მანქანების სახურავზე ამაგრებდნენ გაშიშვლებულ ქართველებს და ასე დადიოდნენ მერე ხმამაღალი მუსიკით ქალაქში. რამდენიმე დღეში, როდესაც ეგზეკუცია დასრულდა, გვამები და ადამიანთა ნარჩენები შეაგროვეს, ტრაქტორებით აურიეს ერთმანეთში და ბზიფის სიახლოვეს დიდ ორმოში ჩაყარეს.

რაც შეეხება გაგრის სტადიონზე ქართველების მოჭრილი თავებით ფეხბურთის თამაშის სადავო საკითხს, აქ მხოლოდ ვლადიმერ პუტინის მიერ 2001 წლის 18 ივნისს წარმოთქმულ სიტყვებს გავიხსენებთ: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას დაავიწყდა, თუ როგორ თამაშობდნენ თავის დროს, აფხაზეთში კრიზისის ჟამს ქართველების თავებით ფეხბურთს. ასეთი რამ, სამწუხაროდ, მოხდა...“

გაგრის დაცემიდან ერთ თვეში საქართველოს პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარის ნაწილების მიერ გაგრის, ლესელიძისა და განთიადის დატოვების ფაქტთან დაკავშირებით“. საგამოძიებო ჯგუფს ხელმძღვანელობდა პროკურორი არჯევან ლომიძე: „კვლევას ისეთი გზით მივყავდით, ძაფები ისეთ პირებთან მიდიოდა, ისეთი ინფორმაციები შევკრიბეთ, რომ გამოძიების შედეგი სერიოზული და დამაფიქრებელი იქნებოდა. მუშავდებოდა შემდეგი ვერსიები: (1) ღალატი; (2) ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობა; და (3) პირად შემადგენლობაში მოშლილი სამხედრო დისციპლინა. საჭირო იყო ფაქტების გადამოწმება, ინფორმაციის დაზუსტება და ვერსიების ბოლომდე დამუშავება“. არჯევან ლომიძე აცხადებდა, რომ: „ღალატია, როცა გაქვს უპირატესობა, შანსი, შესაძლებლობა და არ იყენებ. დანაშაულია არა მხოლოდ ქმედება, უმოქმედობაც“. ამ განცხადებიდან სულ მალე, არჯევან ლომიძე თანამდებობიდან გადააყენეს, დაშალეს საგამოძიებო ჯგუფი და შექმნეს ახალი, მაგრამ მალევე ისიც დაიხურა – პროკურატურამ საქმე უპერსპექტივოდ მიიჩნია. ლომიძის ადგილას პროკურორად დაინიშნა ალექსანდრე შუშანაშვილი, თუმცა საქმეს რამე ქმედითი შედეგი არ მოჰყოლია. რამდენიმე თვეში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა გაგრის დაჯგუფების ხელმძღვანელი, პოლკოვნილი მიხეილ მარინაშვილიც.

გაგრაში რუსებისა და აფხაზების მიერ მოწყობილი გენოციდის შემდეგ 34 წელი გავიდა, ქართულ საზოგადოებაში კი გაგრის დაცემის მიზეზები დღემდე არც გააზრებულია და არც - სამართლებრივად და პოლიტიკურად შეფასებული.

ირაკლი ლაითაძე

დისტოპიური რეალობა

მე ბანაკში შევიტყვე და გავიგე, რომ ადამიანური კულტურა, ცივილიზაცია ძალიან მყიფეა. ადამიანი ცხოველი ხდება სამ კვირაში - მძიმე სამუშაოთი, სიცივით, შიმშილით და ცემით.
ვარლამ შალამოვი

ერთმა ძალიან ჭკვიანმა კაცმა თქვა - რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს. მე ასე არ ვფიქრობ. თუ უნივერსალურ გამოთქმას (ან ფორმულას ან მოვლენას) აქვს გამონაკლის(ებ)ი, მაშინ ის ვერ იქნება უნივერსალური. სიტუაციამ, მდგომარეობამ შეიძლება არ მოკლას ადამიანი, მაგრამ, ამავე დროს, შეუძლია დიდი ხნით დაუზიანოს ფსიქიკა. ჩემი აზრით, თუ ადამიანი განსაცდელის მერე ისევ ძლიერია - ასე ხდება არა გადატანილი გასაჭირის გამო, არამედ ამ გასაჭირის მიუხედავად. განსაცდელი მხოლოდ აშიშვლებს იმას, რაც უკვე ჩვენშია.

საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში (ოფიციალურად, ცინიკურად: შრომა-გასწორების კოლონიები) მომხდარ, აბსურდულად სასტიკ ამბებსა და მათში მონაწილე თუ მათ შემსწრე და, შედეგად, ფსიქიკადასახიჩრებულ ადამიანებზეა მწერალი ვარლამ შალამოვის წიგნი - Колымские Рассказы (კოლიმური მოთხრობები). ის, ჩემი აზრით, ნობელიანტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ წიგნები შალამოვის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, იგი ვიწრო წრეში მხოლოდ „სამიზდატით“ ვრცელდებოდა. შალამოვიც, დიდი მწერლების მსგავსად, იღებს რა კონკრეტულ ლოკალს და დროს, ზოგადსაკაცობრიო ორბიტაზე გაჰყავს ადამიანის სულის ძიებანი და ადამიანის არაადამიანობა.

ვარლამ შალამოვი 12 წელი პატიმარი იყო. ის იყო გულაგის არქიპელაგის ყველაზე საშინელ ადგილს - კოლიმის ბანაკებს - გადარჩენილი კაცი. „რაც არ გვკლავს, გვაძლიერებზე“ საუბარიც კი არ არის: „დარწმუნებული ვარ, რომ ბანაკი მთლიანად უარყოფითი სკოლაა. მასში ერთი საათის გატარებაც კი არ შეიძლება - ეს იქნება გახრწნის საათი. არავისთვის, არასდროს, არაფერი დადებითი ბანაკს არ მიუცია და ვერც შეძლებს მიცემას“.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ნაცისტური გერმანია, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, დასავლური ცივილიზაციის შვილია, მუტანტი შვილი. კომუნიზმის იდეები არ იწერებოდა სადმე ბნელ სარდაფებში. ის იწერებოდა ბერლინის, ლონდონის თუ ჟენევის უნივერსიტეტებსა და ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზებში. ეს მომაკვდინებელი თეორიები გახდა ამ ცივილიზაციის როგორც შიდა მოხმარების, ისე საექსპორტო პროდუქტი. თავად პროექტი პირველად განხორციელდა მეფის რუსეთის ტერიტორიაზე და მისი ერქვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ). სსრკ იყო უკანასკნელი ევროპული იმპერია და როგორი ძალადობითაც დაიბადა, ისეთივე ძალადობით არსებობდა. საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკები, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 30-50-იან წლებში, ამ სახელმწიფოსათვის წარმოადგენდა როგორც ცოფიანი ტერორით ძალაუფლების განმტკიცების ინსტრუმენტს, ისე მის განუყრელ ატრიბუტს. თუ ნაცისტური ოსვენციმისა და დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკების კარიბჭეებზე ცინიკურად ეწერა - შრომა ათავისუფლებს, საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების შესასვლელებზე არანაკლები ცინიზმით იყო გამოყვანილი: სსრკ-ში შრომა არის

ღირსების, დიდების, ბრწყინვალების და გმირობის საქმე. რეალურად კი საქმე ეხებოდა მინუს 25 გრადუსში ყოველდღე 12-13 საათის განმავლობაში ხე-ტყის ჭრასა და მაღაროებში მომაკვდინებელ მუშაობას.

1929-1954 წლებში სტალინური ბანაკები გაიარა დაახლოებით 17 მლნ. ადამიანმა, აქედან დაახლოებით 2 მლნ. დაიღუპა. კოლიმის ბანაკები არ იყო ჯოჯოხეთი. შემთხვევით შერჩეული, ძირითადად უდანაშაულო პატიმრების გამო, ის ჯოჯოხეთზე უარესი იყო. ჯოჯოხეთში ცოდვილები იტანჯებიან, რაც ბიბლიური სამართლიანობის მანიფესტაციაა, ხოლო აბსოლუტური ბოროტების მანიფესტაცია იყო საბჭოთა ბანაკები, სადაც ასეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანი იღუპებოდა და სიკეთე კი ვერ იმარჯვებდა ბოროტებაზე.

საბჭოთა ბანაკები ამსხვრევს ჩვენს წარმოდგენას სამყაროს გონივრულად მოწყობის, ბოროტების, სიკეთისა და იმ ზღვრის შესახებ, რომლის შემდეგაც ადამიანი წყვეტს ადამიანად არსებობას. ახალი რეალობის ფონზე ყველაფერი სხვანაირად ჩანდა: მასშტაბები იცვლებოდა. პატიმარი ცხოვრობდა ერთი დღით: მხოლოდ აქ და ახლა (ვარლამ შალამოვი - ერთი კაცის საზომი, ალექსანდრე სოლჟენიცინი - ივან დენისოვიჩის ერთი დღე. ბევრისთვის სახალისო და ოპტიმისტური ლოზუნგი „აქ და ახლა“ სხვა დროს და სხვა განზომილებაში, მილიონობით ადამიანისთვის უმძიმეს დატვირთვას ატარებდა: უნდა გადავრჩე დღეს, აქ და ახლა. და კიდევ ხვალ - აქ და ახლა. და კიდევ ზეგ - აქ და ახლა და ასე თვიდან თვემდე და წლიდან წლამდე. ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით წარმოვიდგინოთ, ფაქტებად ვიცოდეთ, თუ რა და როგორ ხდებოდა, მაგრამ შეუძლებელია გავითავისოთ ის დამცირება და სასიკვდილო შიში, რომელიც კოლიმის პატიმრების ყოველდღიურობა იყო.

სტალინურ ბანაკებგამოვლილ ადამიანებს ჰქონდათ ის უღრმესი და უმძიმესი ცოდნა ადამიანის ბუნების შესახებ, რომელიც მათ თითქმის ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან ატოლებდა. პარადოქსულად ჩანს, მაგრამ სწორედ ამ მიღმიერი ცოდნის და გამოცდილების გამო მათ ბევრჯერ თავიანთ თავს არ მისცეს უფლება, რომ ყოფილიყვნენ ვინმესთვის ჭკუის დამრიგებლები. მათ შეიმეცნეს საოცარი რამ: „მე ბანაკში შევიტყვე და გავიგე, რომ სამყარო არ უნდა დაყო კარგ და ცუდ ადამიანებად, არამედ მშიშრებად და არამშიშრებად. ადამიანების დიდი უმრავლესობა მშიშარაა და მსუბუქი საფრთხის შემთხვევაშიც კი მზად არის ყოველგვარი ნაძირლობისთვის, სასიკვდილო ნაძირლობისთვის“. შალამოვი თვლიდა, რომ ზემოხსენებული არის ადამიანის ფსიქიკის კარგად შეფუთული და დამალული ბირთვი. კულტურა კი ამ ბირთვზე ზედნადები თხელი ფენაა, რომელიც მცირე დროის განმავლობაში მძიმე სიტუაციებში იოლად იმსხვრევა (იხ. ეპიგრაფი). ეს არის ადამიანის ბუნება და ამაოა ქარის წისქვილებთან ბრძოლა.

გერმანიისგან განსხვავებით, რომელმაც სრული დენაციფიკაცია მოახდინა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოსაც, დესოვიეტიზაცია რეალურად არ განუხორციელებია: არათუ არ დასჯილან, არამედ არც კი გამოაშკარავებულან დიდი საბჭოთა ტერორის სხვადასხვა დონის მმართველები. არ გამოაშკარავებულან ტერორის ათეულ ათასობით შემსრულებელი, მათთვის ტაშისდამკვრელები და დაბეზღების წერილების ავტორები. პრაქტიკულად დიდი ტერორი სისტემურად და საჯაროდ არ განხილულა. არ ყოფილა კათარზისი, არ ყოფილა მონანიება. და ნელ-ნელა ყველაფერი დავიწყებას ისე მიეცემა, რომ შესაბამისი დასკვნების გამოტანის საშუალება არ იქნება, რითაც ეს ტვირთი მოუშორებელი დარჩება თაობიდან თაობას.

ანატოლი ფრანსს აქვს მოთხრობა, რომელშიც ჯვარცმიდან 17 წლის შემდეგ პილატე პონტოელი ვერ იხსენებს ქრისტეს. ■

„ოცნების" ყოფილ მაღალჩინოსანთა ბინებიდან ამოღებული საგანძური (შსს-ს ფოტოები)

ფოტოები საპროტესტო აქციებიდან 2025



ჟურნალში გამოყენებულია დავით სერგიას კარიკატურები
და გიორგი მოსიაშვილის ფოტოები.

ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებში გამოთქმული
მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება,
არ გამოხატავდეს „ახალი ივერიის“ რედაქციის პოზიციას.

ქავქავაძის ცენტრი
ილია ქავქავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

Auswärtiges Amt

საქართველოს უნივერსიტეტი
UNIVERSITY OF GEORGIA

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
www.akhaliiveria.ge

2026 თებერვალი, № 1(11)
ISSN 2720-8729

© ქავქავაძის ცენტრი, 2026

ახალი ქართული

www.akhaliiveria.ge

ISSN 2720-8729